

ისტორიანი

სიხვედის
ხაზები
№731



აღსანიშნავი
სოსანი-ქადაგი
დო. ვანდანიანი
და

ოხი ჯიხს
ბიხი
ვანდანიანი
თავსანიანი

ბიხოს იბიხი
ვიხვიანი ჯიხთვიანი
ჯიხსთვიანი

ქიხთვიანის ბიხიანი ქადაგი

ლაპანი ბოთანი

ბიხირთანი ვარაბი

8 ნიხანი

ნიხანი II

ფასი 3 ლარი

ნიხანი „ისტორიანიანი“ ერთად – 5 ლარი

აღსანიშნავი
ბიხსანიანი
ისტორიანიანი.
ბიხსანიანი
დასანიანი


ბიხსანიანი
ბიხსანიანი
ბიხსანიანი
ბიხსანიანი

ბიხსანიანი-ბიხსანიანი
– ბიხსანიანი
ბიხსანიანიანი
ბიხსანიანიანი

6



7



20

8



9

12



10



სახჩევნი

ახალი ამბები

მცხეთის ჯვრის რელიეფების კონსერვაციის
დასრულდა 6

გოდების კედელი ჰეროდე დიდს არ
აუშენებია?! 7

სასნიკვდილო დიაბნოზი 2 ათასი წლის
მუმიისთვის 8

კველი ჩინური მონეტა ოქროს
გაპიეპელთა მიწაზე 9

წმიდა გაბრიელის რეზიდენცია
აღღებნილია 10

598 ლოკუმენტი დავითგარეჯის
შესახებ 10

უკველესი „ნატურალისტი მხატვრები“ 11

აფხაზეთის ბაიუნების ისტორიიდან

გაუცხოების დასაწყისი 12

ქიზინაოზის ისტორია

ბაიუნ იბერი 20

ახითური ჯაილამუხაიში

ქუთლუ-არსლანი – დიდი ცვლილებების
ინიციატორი 22

დეაქაქია

ნაგრისის სასწავლი 28

ახითური მუმიები უსოფთში

ორი მრის გმირი 31

ჯაქანის ხანები

ბალყარები 36



42



44



59



51



64



78

სახიჯი

მსოფლიოს ხანება
 ამერიკის ინდიელები 42
ახიონაჯი ისტორია
 „მშრალი კანონი“ და ალ კაკონე 44
ჯოჯონაჯი ისტორია
 სიკვდილის კონვეიერი №731 51
ბონანის ისტორია
 მარსელ დასო — „ჯეციური“ მანათი 59
დამეხომის ისტორია
 ხეთური დამფარელობის საიდუმლოება 64

სმოჯება
 ნუნი გაბუნია: ვესოპრობ, როგორც
 შეიქლია 72
ახილი
 „სამართველოს ისტორიას საბჟოთა
 სკოლაში კარგად არ
 გვასწავლიდნენ“ 78
„ისტორიანი“ ბავშვებისთვის
 500 ფაქტი ისტორიიდან 82
 სკანვორდი 90

ხელახლოვის სვები

წინამდებარე ნომერი გამორჩეულია თავისი შინაარსით. ჩვენ გვინდოდა წარმოგვეჩინა ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნება — სწრაფვაროვორც სათნოებისკენ, ასევე ბოროტებისკენ. ამიტომაც თემატურად რელიგიის ისტორიის საკითხებს ცვლის კრიმინალური ამბები, მათ შორის კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა ისტორია.

საქართველოში ბევრისთვის უცნობია, რომ იაპონელებმა მეორე მსოფლიო ომის ჟამს შექმნეს საიდუმლო ლაბორატორია „კანტუნის არმიის წყალმომარაგებისა და პროფილაქტიკის სამმართველო“, რომელსაც მოგვიანებით უწოდეს „სიკვდილის რაზმი 731“. ამ საიდუმლო დაწესებულებაში იაპონელი მეცნიერები საშინელ ექსპერიმენტებს დგამდნენ ადამიანებზე. მასალის დაკაბადონებისას ჩვენ საგანგებოდ ვთქვით უარი ზოგიერთი ფოტოს გამოქვეყნებაზე, რომლებისთვისაც საუსებით სამართლიანად შეიძლება მიგვეწერა „შეზღუდა 18 წლამდე ასაკის მკითხველთათვის, ვინაიდან მათზე ასახული იყო ამ ექსპერიმენტების საზარელი შედეგები. სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის ბოროტი „გენია“, თქვენ სწორედ აღნიშნული სტატიის გაცნობის შემდეგ შეიტყობთ. არანაკლებ თავზარდამცემ ამბებს შეხვდებით ამერიკელ განგსტერ ალ კაპონზე მომზადებულ კორესპონდენციაში. ალ კაპონე ნამდვილად ვერ დაიკვნიდა კაცთმოყვარეობით. მეტიც, წმინდა ვალენტინის დღეს მისმა ბანდამ ჩიკაგოში არნახული სასაკლავო გამართა. ჩვეულებრივ, რიგით იტალიურ ოჯახში დაბადებული ეს ბიჭი უკვე ახალგაზრდობაში სცემდა შიშის ზარს ამერიკელ სამართალდამცველებს, თუმცა, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, იგი ციხეში გადასახადების დამალვის გამო გამოკეტეს.

ამ ისტორიებთან ერთად, ჟურნალში იხილავთ საინტერესო მასალებს პირველ ქართველ ქრისტიანზე — გაიოს იბერზე, პოლონეთის ქართველ გმირ ვალერიან თევზაძეზე, ნეკრესის სასწაულზე, აფხაზეთში მოღვაწე ქართველ მღვდელმთაფრებზე...

ასე რომ, სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე, ნათელი — ბნელზე. ეს ისტორიის დაუწყველი კანონია.



სიათეთ ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე, ნათელი — ბნელზე. ეს ისტორიის დაუწყველი კანონია

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდა აკრძალულია

ჟურნალის გამწვანისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91



მცხეთის ჯვრის რელიეფების კონსერვაცია დასრულდა

მცხეთის ჯვრის ხუთწლიანი კვლევითი სამუშაოები, რომელიც საგანგებოდ დამონტაჟებულ, დაზარულ ხარაჩოში მიმდინარეობდა, დასრულებულია. მცხეთის ჯვრის რელიეფების გადარჩენის მეთოდოლოგიაზე მრავალი წელია მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის სფეროს საერთაშორისო ორგანიზაცია იკრომის ქვის კონსერვაციის ექსპერტი საიმონ ვარაკი. ბოლო თვეების განმავლობაში ძეგლზე მიმდინარე სამუშაოებს ის თაყაძვე ხელმძღვანელობდა.

განადგურებას გადაურჩა მონასტრის აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალურ და გვერდით წახნაგებზე განთავსებული რელიეფები, რომელზეც მცხეთის ჯვრის მაშენებლები — სტეფანოზ ქართლის პატრიკიოსი, ადარნერსე ვიპატოსი და დემეტრე ვიპატოსი არიან გამოხატული.

ჯვრის ტაძრის ქვის დაზიანება დიდი ხანია მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 2005 წელს იკრომისა და იუნესკოს დახმარებით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ სასწავლო კურსი მოაწყო. იკრომის ექსპერტთა რეკომენდაციითა და იუნესკოს დაფინანსებით, მცხეთის ჯვარზე დროებითი, დამცავი ხარაჩო დამონტაჟდა, რომელიც აღმოსავლეთ ფასადზე განლაგებული უნიკალური რელიეფების ბუნებრივი პირობებისგან დაცვის ერთადერთი საშუალება აღმოჩნდა იმ დროისთვის.

2010 წელს საქართველოში იუნესკოს, იკრომისა და იკრომის (ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების დაცვის საერთაშორისო საბჭო) ერთობლივმა მისიამ მიიჩნია, რომ მცხეთის ჯვრის რელიეფების კონსერვაციის გადადება აღარ შეიძლებოდა. ამის შემდეგ იკრომის ექსპერტმა ქვის კონსერვაციის საკითხებში საიმონ ვარაკმა, სამუშაოების დასაწყებად კონკრეტული წინადადებები განხორციელებული კვლევების საფუძველზე დაამუშავა.



ბოღების ხელი ჰაიოე დის ახ აუშენებია?!

მორწმუნეთა ერთ-ერთი ყველაზე თავ-
ვანსაცემი — გოდების კედელი, ანუ დასაუღე-
თის კედელი იერუსალიმში ოცი წლით გვიან
აშენდა, ვიდრე ეს დღემდე ეგონათ. ამას მოწ-
მობს კედლის საძირკვლის ფილების ქვეშ აღ-
მოჩენილი მონეტები.

შეგახსენებთ, რომ საყოველთაოდ მიღებუ-
ლი მოსაზრებით, გოდების კედელი ააგო მეფე
ჰეროდემ. ამჟამად კი ისრაელელ არქეოლოგ-
თა მტკიცებით, ამ კედლის მშენებლობა რო-
მაელებმა დაასრულეს. ახალმა გათხრებმა
მკვლევრები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ
ჰეროდემ ტაძრის სამი კედელი ააგო, ხოლო
მეოთხის დასრულება ვერ მოასწრო (იგი
სრულიად ახალგაზრდა ადვანსულა ძვ.წ. 4
წელს). ამ კედლის დასრულების მისია რომა-
ელ პროკურატორებს ერგოთ.

ნაპოზნი მონეტები ახ.წ. 17-18 წელს განე-
კუთვნება, ანუ ისინი მოიჭრა ჰეროდეს გარ-
დაცვალებიდან 20 წლის შემდგომ. აღმოჩენის
ადგილი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ
ეს მონეტები აქ შემთხვევით მოხვედრილიყო.

უძველეს ძეგლზე ამჟამად არქეოლოგები
ძველ რიტუალურ განსაწმენდელთა (მიკვებ-
ის) საძირკვლების დამუშავება-შესწავლას



აწარმოებენ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მიკავში
მიანგნეს სენსაციურ მონეტებს ფილების ქვეშ.
სავარაუდოდ, ეს მონეტები მიკვების მშენებ-
ლებს დაუცვივდათ.

აღნიშნული მიუთითებს, რომ მსოფლიო
საისტორიო სახელმძღვანელოებში შესწორე-
ბათა შეტანა მოგვიწევს.

მოშაადებულია Israelinfo.ru-ს მიხედვით



სასიკვდილო დიაგნოზი 2 ათასი წლის მუმიისთვის



პტოლემეაოსების დროინდელი უსახელო მუმია M1

ძველევგვიპტურ მუმიას მცირე, მრგვალი ფორმის დაზიანებები ეტყობა — ამის მიზეზი მეტასტაზური პროსტატის კიბოს უძველესი შემთხვევაა. მუმია დაახლოებით 2250 წლისაა. რადიოლოგიურმა შესწავლამ დაადასტურა, რომ დღეისთვის ავთვისებიანი სიმსივნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ძველ ეგვიპტელებსაც არ ინდობდა.

ლისაბონის ეროვნულ არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული და კატალოგში პირობითად M1-ად შესული, პტოლემეაოსების დროინდელი უსახელო მუმია შემკულია ნილბითა და წინსაფრით, გახვეულია ოსტატურად მოხატულ სუდარაში. ლისაბონელმა რადიოლოგმა კარლოს პრატესმა და მისმა კოლეგებმა განაცხადეს, რომ მუმია 5 ფუტი სიმაღლისა და 51-60 წლის მამაკაცს ეკუთვნის. როგორც ჩანს, ის ნელი და მტანჯველი სიკვდილით გარდაიცვალა.

კომპიუტერული ტომოგრაფიული სკანერებით მაღალი ხარისხის სურათები მიიღეს. მუმიას აღენიშნება სიკვდილის შემდგომი რამდენიმე დაზიანება, რომელიც საზარაუდოდ

მიყენებულია ევროპაში ტრანსპორტირებისას. მრგვალი და სქელი სიმსივნის ნაკვალევი მოდებულია ძირითადად მენჯისა და წელის არეში, აგრეთვე, შეინიშნება კიდურების ძვლებსა და ნეკნებთან. პრატესი და მისი კოლეგები სხვა დაავადების შესაძლებლობასაც განიხილავდნენ, თუმცა სქესი, დაზიანებათა ნაკვალევები და მათი ფორმები ზემოხსენებულ ევროპის ამტკიცებს.

„ეს გახლავთ ძველ ეგვიპტეში აღმოჩენილი ამ სნეულების ყველაზე ძველი შემთხვევა, ხოლო უძველეს ისტორიაში ის მეორეა“, — განმარტავს პრატესი. უფრო ადრე (2007 წელს) პროსტატის კიბოს დიაგნოზი სამხრეთ ციმბირის სტეპებში ნაპოვნ 40-50 წლის სკვით მეფეს „დაუსვეს“, რომელიც 2700 წლის წინ გარდაიცვალა.

კვლევები აჩვენებს, რომ კიბო ძველ დროშიც არსებობდა, ხოლო მისი გამოვლენის ნაკლებობის მიზეზი ადრე კარცეროგენების სიმცირესა და ადამიანთა ხანმოკლე სიცოცხლეში უნდა ვეძიოთ.

Discovery News-ის მასალების მიხედვით

ლისაბონის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი



ძველი ჩინური მონეტა ოქროს მაძიებელთა მიწაზე

კანადაში, იუკონის ტერიტორიაზე XVII საუკუნის მონეტა აღმოაჩინეს. მასზე გასაოცარი ჩინური ეროვლიანობაა ამოკვეთილი. ის მანამდე მოჭრილი, სანამ ჩრდილოეთ ამერიკაში ოქროს ციებ-ცხელება დაიწყებოდა, რომლის ერთ-ერთი ცენტრი სწორედ იუკონი გახლდათ.

ცინის დინასტიის იმპერატორ კანგ ქისის მმართველობისას მოჭრილი მონეტა შეიცავს 60% სპილენძსა და 40% თუთიას. იგი 1667-1671 წლებით თარიღდება, ანუ დიდი ხნით უსწრებს წინ 1898 წლის მოვლენებს, როცა მსოფლიოს ყველა კუთხიდან უამრავი ხალხი გაემგზავრა დოუსონსა და კლონდაკის ოქროს საბადოებზე სიმდიდრის მოსახვეჭად.

იუკონის ტერიტორიაზე აქამდე სამი ჩინური მონეტა იყო ნაპოვნი. სამივე მრგვალია და ცენტრში ნახვრეტი აქვს. ხოლო ახალაღმოჩენილ მონეტას ცენტრალური ნახვრეტის გარშემო ოთხივე კუთხეში აქვს პატარა ნახვრეტები. არ არის გამორიცხული, ეს მონეტები იუკონში ოქროს მაძიებლებს მიეტანათ, რომლებიც ამ მონეტებს თილისმად დაატარებდნენ. ხოლო მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს მონეტები ოქროს ციებ-ცხელებამდე ვაჭრობას დამადასტურებელი საბუთია.

მონეტა იუკონში შესაძლოა რუს შუამავლებსაც შემოეტანათ ბეწვეულის სანაცვლოდ ჩრდილოეთამერიკელი მომთაბარეებისთვის. ამ ბეწვეულს რუსები შემდეგ ჩინელებზე ყიდდნენ. ცნობილია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში რუსებს საჯარო ურთიერთობები ჰქონდათ წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ-დასავლეთში, სანაპიროების ბინადარ ტლინკიტების ხალხთან. რუსები თამბაქოს, ჩაის, ჩინურ მინის მძივებს, აბრეშუმსა და სხვა საქონელს ტლინკიტებს უცვლიდნენ სხვადასხვა ცხოველის – წვის, თხვის, მელიისა თუ კვერნის ბეწვში. ტლინკიტები, თავის მხრივ, ვაჭრობდნენ კონტინენტის შიდა ოლქების ხალხებთან, ჩილკუტის უღელტეხილის საშუალებით. ისინი მკაცრად აკონტროლებდნენ აქ მიმდინარე ვაჭრობას. ჩილკუტი გახლავთ 33 მილი სი-



გრძის გასასვლელი მაღალ მთებს შორის. მონეტა ნაპოვნი, ფაქტობრივად, საჯარო გზაზე, სუარაუდოდ, ღამის სათევ ადგილას. ახლა აქ სელკერკების ხალხის ტერიტორიაა.

მეცნიერთა ვარაუდით, ტლინკიტი ვაჭრები ჩინურ მონეტებს აზჯრადაც იყენებდნენ და სამოსზე გადაცემულ ნახევარტყავს ამაგრებდნენ. მონეტაზე აღმოჩენილი დამატებითი ხერხელების არსებობაც შესაძლოა სწორედ ამით აიხსნებოდეს.

Discovery News-ის მასალების მიხედვით

წმინდა გაბრიელის რეზიდენსია აღდგენილია

გელათში დასრულდა წმინდა გაბრიელ ქიქოძის რეზიდენციის რეაბილიტაცია. შენობა აგებულია წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელის გელათში მოღვაწეობისას (1860-1896 წლები) და მონასტრის კარიბჭის აღმოსავლეთით მდებარეობს. მონასტრის ეზოს მხარეს ნაგებობა ერთსართულიანია, ხოლო უკანა მხარეს — ორსართულიანი. აგებულია ეკლარის ქვით და ორივე მხარეს ხის აივნით იხსნება.

განაზღდა სახურავი და სხენი, მოეწყო და მთლიანად გარემონტდა ინტერიერი (სამზარეულო და სველი წერტილები), განაზღდა ძველი აივანი და სარდაფი, მოწესრიგდა გარე ტერიტორია.



598 დოკუმენტი დაპითბარეჯის შესახებ

გარეჯის კვლევის ცენტრმა და საქართველოს ეროვნულმა არქივმა გამოსცა ორტომეული „გარეჯის ისტორიული დოკუმენტები“ (გამოსაცემად მოამზადეს დოდო ლომიძემ, მანანა ჭუმბურიძემ, ზაზა სხირტლაძემ შეინაბ გურჯიძისა და ლევან ბუკიას მონაწილეობით), რომელზე მუშაობა 2003 წელს დაიწყო. პროექტში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული არქივი და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

თეონა იაშვილი (ეროვნული არქივის ხელმძღვანელი): „ამ მნიშვნელოვან გამოცემაში თავმოყრილია XIII-XVIII საუკუნეების წერილობითი მასალები დავითგარეჯის შესახებ,

რომლებიც ქრონოლოგიურადაა დალაგებული და 598 დოკუმენტს აერთიანებს. მათგან 420 საქართველოს ეროვნული არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაშია დაცული“.

გარეჯის მონასტრის დოკუმენტები, მიუხედავად დიდი ნაწილის განადგურებისა, კარგად ასახავს სამონასტრო ცხოვრების ისტორიას. საბუთები მოვლენათა თანადროული იურიდიული დოკუმენტებია.

დავითგარეჯის მონასტერს, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასულიერო კერას, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. შესაბამისად, იგი ქართველ მეფეთა ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა და ისინიც უშუაგვლად სწირავდნენ მონასტერს ყმა-მამულს და ზრუნავდნენ მისი აღდგენისა თუ გაძლიერებისთვის. სწორედ ამიტომ გამოცემაში შესული საბუთების უმრავლესობა წარმოადგენს: წყალობის, გადასახადებისგან გათავისუფლების, შეწირულების წიგნებს, არზა-მოსხენებებს, არზა-ოქმებს, განჩინებებს, ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტებსა და ეპისტოლეებს.



უძველესი „ნატურალისტი მხატვრები“

ლაქებიანი ცხენი, რომლის გამოსახულებები პირველყოფილ ადამიანთა გამოქვაბულების კედლებზეა აღმოჩენილი, მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფის დასკვნით, ათასობით წლის წინ რეალურად არსებობდა. ეს ნიშნავს, რომ უძველესი მხატვრები ზატყადნენ იმას, რაც მათ გარშემო იყო და არ გამოსახვდნენ აბსტრაქციებს ან სიმბოლიკას.

ვროპასა და ციმბირში ნაპოვნი 30-35 ათასი წლის წინანდელი 31 ცხენის ძვლებისა და კბილების გაანალიზებისას, მათგან ექვსს აღმოაჩნდა გენები, რომლებიც ცხენის ლაქებიან შეფერილობას განაპირობებს. აქამდე მეცნიერებს ნაპოვნი ჰქონდათ მხოლოდ ერთგვაროვანი შეფერილობის, მაგალითად, წაბლისფერი და შავი ცხენების დნმ-ის მონაცემები.

ექსპონატი, რომელმაც დაუა წარმოშვა, საფრანგეთში ნაპოვნი 25 ათასი წლის წინანდელი ნახატი, რომელზეც გამოსახულია თეთრი ცხენი შავი ლაქებით, ე.წ. პეშ-მერლეს მოხტუნავე ცხენი. წამოიჭრა საკითხი, ხომ არ იყო ეს ლაქებიანი ნახატი სიმბოლიზმის ან აბსტრაქციის გამოხატულება. მაგრამ დღეს უკვე დადასტურდა, რომ ადამიანები უბრალოდ ზატყადნენ იმას, რასაც ხედავდნენ.


მკვლევართა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ლაიბნიცის სახელობის ზოოპარკისა და ველური ბუნების ინსტიტუტის ევოლუციური გენეტიკის დეპარტამენტის, აგრეთვე ბერლინის გერმანული არქეოლოგიის ინსტიტუტის



პეშ-მერლეს მღვიმის „მოხტუნავე ცხენი“

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტის წევრი მელანი ფრუვოსტი. კვლევებში ჩართული იყო სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებიც. ფრუვოსტის თქმით, გენეტიკის დახმარებით იგეგმება უძველეს ცხოველთა გარეგნობის ადგენა.

Discovery News-ის მასალების მიხედვით



ადამიანის ხელი 25 ათასი წლის წინანდელ ნახატზე



talizi

თმის გალანეგვის ცენტრი

ტაშკენის 27. ტელ: 2141515
WWW.TALIZI.GE

გაუცხოების დასაწყისი



რუსეთის საიკლესიო პოლიტიკა XIX საუკუნის აფხაზეთში

XIX საუკუნეში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ ურთულესი გზა განვლო. საქართველოს ეკლესია და მისი სამღვდელთა დევნილობაში იმყოფებოდა მეფის რუსეთის მთავრობის დროს. შევიწროება თანამიმდევრული გვემის მიზეზებით მიმდინარეობდა, რაც გამოიხატა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით, საეკლესიო ქონების კონფისკაციითა და სხვა ანტიქართული ღონისძიებებით.

რუსული რელიგიური და შოვინისტური პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას კავკასიის რეგიონში ქრისტიანი კავკასიელი მთიელების გარუსება წარმოადგენდა. ამ მიზანს ემსახურებოდა რუსული ღვთისმსახურების დანერგვა, რუსულ-სლავურის საფუძველზე ადგილობრივი ხალხებისთვის ანბანის შექმნა, სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების შემოღება. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში გამიზნული პოლიტიკით გამოწვეულმა პრობლემებმა, რომელსაც მეფის რუსეთი წარმართავდა ქართველთა ნების წინააღმდეგ, სამომავლოდ ნიადაგი მოუშხადა ე.წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, რომელიც ჩვენთვის დღესაც აქტუალურ და მტკივნეულ თემად რჩება.

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს ორგანულ ნაწილად მოიხსენებოდა, ხოლო რუსეთის

სეთის უწმინდესი სინოდის მიზანმიმართული სამისიონერო საქმიანობა სხვა არაფერი იყო, თუ არა ეთნიკური აფხაზების რუსიფიკაცია და ასიმილაცია. აღნიშნულის გამო, აფხაზეთის მოსახლეობა დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. აფხაზეთში რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით სოხუმის რუსული ეპარქია შეიქმნა და ამ აქტით ქართველი სამღვდელთა აფხაზეთში სამისიონერო საქმიანობას ჩამოშორდა. ეს მოქმედება ქართველთა საზოგადოებამ ადეკვატურად შეაფასა. ფაქტი უთუოდ აფხაზებისა და ქართველების ეკლესიური ერთიანობის დარღვევის, მათი ურთიერთგაითიშვის ერთგვარი წინამძღვარი იყო და საფუძველშივე საფრთხეს შეიცავდა.

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი საზოგადო და სასულიერო

მოღვაწეები უკმაყოფილებას გამოხატავენ. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში თბილისში სამღვდელოების კრებაზე ქართველებმა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი წამოჭრეს. ხელისუფლების მხრიდან ერთგვარი კომპრომისის გამოხატულება უნდა ყოფილიყო 1906 წლის 3 თებერვალს სოხუმის ეპარქიაში ეპისკოპოს კირიონის (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917-1918 წლებში) განჩინების ფაქტი. აფხაზეთში ეპისკოპოს კირიონის მიერ „პროქართული“ ორიენტაციისა და ეკლესიებში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღსრულების მცდელობამ რუსი შოვინისტი სასულიერო პირები აღაშფოთა.

ამ მიზეზით, 1906 წელს რუსულენოვან გაზეთ „კოლოკოლის“ 45-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია „ხმა სოხუმიდან“ ფსევდონიმით „რუსი“, რომელიც სინამდვილეში რუსი სასულიერო პირი, დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი იყო (ის, სხვათა შორის, რუსეთის ეკლესიაში წმიდანად შერაცხა). ავტორი ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობასა და მის დადგინებას სოხუმის კათედრაზე „რუსული საქმის დაღუპვად“ განიხილავდა. 1906 წლის 8 მარტით დათარიღებულ წერილში არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში) იმხანად პეტერბურგში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვაზე მყოფ ეპისკოპოს კირიონს ულოცავდა სოხუმის მღვდელმთავრად დანიშვნას და აქვე გადმოსცემდა ამ ფაქტით გამოწვეულ საზოგადოების კეთილგანწყობას: „თქვენმა სოხუმში დაბრუნებამ სოხუმის სამღვდელოება და მთლად ქართველობა მეტად გაახარა და გასახარებელიც არის, მაგრამ... პოლიტიკანებს როგორც ეტყობა, ლაზერად დაესო გულში. ეტყობა ვერ მოუნელებათ ის გარემოება, რომ ბოლო მოედება სოხუმის ეპარქიაში იმ უსამართლობას, რომელიც მეფობდა იქ ქართველების შესახებ“. ამავე წერილში საუბარია გაზეთ „კოლოკოლში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციის თაობაზე. არქიმანდრიტი ამბროსი მღვდელმთავარ კირიონს წუხილით ესაუბრება ამ პოლიტიკანების დამოკიდებულების არსზე. არქიმანდრიტი მეთოდს, რომელიც „ბნელი ძალების წარმომადგენლებს საბრძოლველად შეურჩევიათ“, ხულიგნურს უწოდებს. „აკი კიდევ ხულიგნურად გამოილაშქრეს თქვენს წინააღმდეგ გაზეთ „კოლოკოლ-



ეპისკოპოსი კირიონი, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



ქართველებისადმი განსაკუთრებული „სიყვარულით“ გამორჩეული რუსი სასულიერო პირი ივანე ვოსტორგოვი



ბიჭვინთის ტაძარი ქრისტოფორო დე პასტელის ალბომიდან



რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I

ში“. იმედია, ღირსეულ პასუხს გაცემთ. შეიძლება თქვენს შემდეგ მეც რაიმე მოვასწენო ამ ხულიგნური წერილის ავტორს“.

აღნიშნული სტატიის გამოხმაურებაა არქიმანდრიტ ამბროსის ნაშრომი „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“, რომელიც იმავე წელს „საქართველოს საეპარქოსოს სასულიერო მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. არქიმანდრიტი ამბროსი, ეპისკოპოს კირიონის ერთ-ერთი თანამოაზრე, თავს ვალდებულად მიიჩნევს, დაიცვას „ქართველოფილ“ ივანე ვოსტოროვის უსაფუძვლო ბრალდებებისგან. ავტორი ზრუნავს „აფხაზეთში ქართველი სამღვდლოების დასაცავად... ქრისტეს ეკლესიის ინტერესების დასაცავად... კავკასიაში ქართველთა და რუსთა ინტერესების სწორი გაგებისთვის“.

ამბროსი ხელაია თითქმის 14 წელიწადს მოღვაწეობდა აფხაზეთში. თავდაპირველად როგორც მღვდელი, მოგვიანებით კი როგორც მღვდელმთავარი. ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა, საფუძვლიანად გაცნობოდა აფხაზეთში შექმნილ პოლიტიკურ და დემოგრაფიულ პრობლემებს.

პრობლემებმა აფხაზეთში თავი იჩინა ჯერ კიდევ საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ. ოსმალეთის გავლენის ზრდამ აფხაზეთში ქრისტიანობას დიდი საფრთხე შეუქმნა. რეგიონში გავრცელდა განსხვავებული რწმენა-წარმოდგენები. ამას მოწმობს დომინიკანელი მისიონერის, ჯოვანი ჯულიანო და ლუკას ცნობები, რომელმაც აფხაზეთსა და სამეგრელოში 1630 წელს იმოგზაურა: „აფხაზები ცხოვრობენ მთებში, რომლებიც გადაჭიმულია ჩერქეზეთამდე... ამ ქვეყანაში არ არის ქალაქები, მაგრამ ბევრი სოფელია მთებში... რწმენით ისინი ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შესრულების გარეშე. ბევრი ჯვარი ენახე ამ ქვეყანაში“.

უკვე მოგვიანებით, XVIII საუკუნის შუა წლებში გერმანელი იაკობ რაინეგსი აფხაზეთში მოგზაურობისას აღნიშნავდა: აფხაზები „იკვებნიან, რომ ადრე ქრისტიანები იყვნენ, ამჟამად ქრისტიანობის მოსაგონებლად შემორჩათ მხოლოდ ზემოთ ნახსენები წმინდა ანდრიას ეკლესია ბიჭვინთაში და კიდევ რამდენიმე დანგრეული ეკლესია; აგრეთვე ის, რომ იბერიის პატრიარქი აფხაზთა მთავარეპისკოპოსად იწოდება; მაჰმადის მოძღვრება საკმაოდ სუსტად იცინა; ზოგი თავის ბავშვებს წი-

ნადაცვეთას უკეთებს, ზოგი კი არა. არავინ ჭამს ღორის ხორცს და ქორწინებისას იცავენ ნათესავთა სისხლის აურეგლობის წესს“.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ აფხაზეთში, პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში, სრული რელიგიური ქაოსი სუფევდა.

რუსეთი აფხაზთა სამთავროში 1810 წლიდან დამკვიდრდა. მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გიორგი შერვაშიძის ე.წ. „სათხოვარი პუნქტები“ დაამტკიცა. 1864 წელს ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შერვაშიძის ვორონეჟში გადასახლებით სამთავროს ისედაც შესუსტებულმა დამოუკიდებლობამ არსებობა შეწყვიტა. ამბროსი ხელაია თავის ნაშრომში გვიხატავს რუსეთის მიერ აფხაზეთში წარმართულ მისიონერულ საქმიანობას და მის თავისებურებებს წარმოაჩენს. ხელისუფლება აფხაზეთში მართლმადიდებლობის პროპაგანდას ეწეოდა. ამ პროცესს განსაკუთრებით ხელს უწყობდა 1860 წელს შექმნილი „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“. ის რეგიონში რუსეთის ინტერესების დამცველად მოგვევლინა. ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მოტივით, აფხაზთა ნაწილი ისლამს იღებდა, რაც თავის მხრივ ანტირუსული, ანტიეკლესიური გამოსვლების მთავარი მიზეზი გახდა. მღელვარება და დაძაბულობა, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა, 1866 წელს აჯანყებაში გადაიზარდა. ამას მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან რეპრესიები და აფხაზების თურქეთში გადასახლება. ხელისუფლების მცდელობა, ამბოხებულები დაეწინაურებინა, უშედეგო იყო. აჯანყებულთა შემორიგების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა. რომ არა მისი ავტორიტეტი, პროცესები უმართავ სახეს მიიღებდა. ნაშრომის ავტორის შეფასებით, დეკანოზი დავით მაჭავარიანი დაქირავებული კი არა, ჭეშმარიტი მოძღვარია. პრაქტიკულად, ეთნიკური აფხაზისთვის გაქრისტიანება გარუსებას ნიშნავდა. ცნობისთვის: დეკანოზი აფხაზეთში სამისიონერო საქმიანობას მისდევდა. როცა გარდაიცვალა, ეპისკოპოსმა არსენმა უარი განაცხადა მისი ცხედრის სოხუმის საკათედრო ტაძარში დასვენებაზე. ამან მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია.

ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) აფხაზეთში, დეკანოზ დავით მაჭავარიანთან ერთად, სა-



აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე

მისიონერო საქმიანობას 1869 წელს იწყებს. არქიმანდრიტი ამბროსი იმოწმებს ეპისკოპოს კირიონის მონაცემებს და მათ მოღვაწეობას დადებითად აფასებს. დაახლოებით შეიძლება წლის განმავლობაში გამუსლიმებული აფხაზეთი „ქრისტიანულ ქვეყნად“ იქცა. ამ პიროვნებათა დაუღალავი, უანგარო ღვაწლით აფხაზეთის მოსახლეობის სამი მეოთხედი მართლმადიდებელი გახდა.

მდგომარეობა რადიკალურად იცვლება რუსეთ-თურქეთის ომის დროს. თურქეთმა აფხაზეთის ფრონტზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და ქალაქი სოხუმი დაიკავა. იძულების წესით დაიწყო აფხაზთა ინტენსიური გადასახლება თურქეთში. ძირითადად 1867 და 1877 წლებში განხორციელდა აფხაზეთიდან ორი დიდი მუჰაჯირობა. მართალია, მოგვიანებით მუჰაჯირთა ერთი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მათი ეროვნული ცნობიერება უკვე ისლამთან იყო შესისხლხორცებული. მათი უსაზღვრო ფანატიზმი, მისწრაფება მუსლიმობისკენ რუსეთის ასიმილაციურულმა პოლიტიკამ განაპირობა. არქიმანდრიტ ამბროსის განმარტებით, კავკასიაში ისლამის გავრცელება რუსული მმართველობის დამყარების შედეგია.

აფხაზეთში ქართველ სამღვდლოებას ურთულეს პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა, არ არსებობდა პიროვნული უსაფრთხოების გარანტიები. თავგანწირვით სასულიერო პირებს არაერთხელ მიუციათ ზნეობრივი მაგალითი თანამებრძოლებისთვის. ასე მაგალითად, როდესაც მუჰაჯირებმა აფხაზეთში ქრისტიანობის შევიწროება დაიწყეს, ლიხნის მღვდელმა იოანე გეგიაძემ არ მიატოვა თავისი სამრევლო,



იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

თავშესაფარზე უარი თქვა და მოწამებრივად აღესრულა მუჰაჯირთა ხელით. ასევე მღვდელ-მონაზონი ბესარიონ მიქაბერიძე და მისი სიძე მღვდელი ახვლედიანი, საფრთხის მიუხედავად, სამისიონერო საქმიანობის ერთგული დარჩნენ. მოგვიანებით თურქთა ტყვეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ დახვერტას სასწაულებრივად გადაურჩნენ. ეპისკოპოს გაბრიელის თავდადებული მოღვაწეობა აფხაზეთის სამღვდლოების გმირობას განაპირობებდა.

1885 წელს სოხუმის რუსული ეპარქია შეიქმნა. რუსეთის ეკლესიის უმაღლესმა იერარქებმა არ გაითვალისწინეს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა და დეკანოზ მაჭავარიანის დამსახურებები და აქ სამისიონერო საქმიანობას ჩამოაშორეს. ამ დროიდან მხარეში მუსლიმობის სწრაფი განმტკიცება შეინიშნება. დამახინჯდა მისიონერული საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მოსახლეობის იძულებითი გაქრისტიანებით და აჩქარეს ეკლესიასა და ხალხს შორის გაუცხოება. უთუოდ კურიოზულია რუს ეპისკოპოს აგაფედორის დავალება, რომელიც ოჩამჩირელ მღვდელ იოანე კერესელიძეს მისცა. გვემის შესასრულებლად, მწყემსმთავარი ქართველ მღვდელს განსაზღვრული რაოდენობის პირ-

თა მონათვლას ავალდებულებდა. აქედანაც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რამდენად უნაყოფო და წინააღმდეგობრივი იყო რუსეთის საეკლესიო ოფიციალური პირების მხრიდან აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის აღქმა. არქიმანდრიტი ამბროსი იმედოვნებს, რომ მომავალში ეკლესია გაემიჯნება კავკასიაში ასიმილაციურ პოლიტიკას.

არქიმანდრიტი ამბროსი აფხაზეთში სავალალო ვითარების შექმნას დიდმნიშვნელოვნად ეპისკოპოს არსენის, დეკანოზების — ვოსტოროვისა და იასტრებოვის სახელებს უკავშირებს. ისინი თავიანთ საქმეს არ ემსახურებოდნენ, რითაც ეკლესიისა და სამღვდლოების ავტორიტეტი შელახეს.

ნაშრომში მწვავედაა დასმული და განხილული აფხაზეთში საღვთისმსახურო ენის საკითხი. ეპისკოპოსმა არსენმა ქალაქ სოხუმსა და დაბა ოჩამჩირის ყველა ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აკრძალა. გადაწყვეტილი იყო, აფხაზეთისა და სამურზაყანოს სამრევლოში ღვთისმსახურება მრევლისთვის სრულიად გაუგებარ, საეკლესიო სლავურ ენაზე აღსრულებულიყო. კითხვაზე, რომელ ენაზე უნდა სრულდებოდეს ღვთისმსახურება სამურზაყანოში, არქიმანდრიტი ამბროსი ისტორიული, სტატისტიკური, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემების გამოყენებით პასუხობდა: „სამურზაყანოელები ქართული ენის იმავე მეგრულ კილოზე ლაპარაკობენ, რითაც მთელ სამეგრელოში მეტყველებენ და რადგან იქ საღვთისმსახურო ენა ქართულია, ცხადია იგივე უნდა მოვითხოვოთ სამურზაყანოელებისთვის“.

სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი დეკანოზი იასტრებოვი სამრევლო სკოლის მასწავლებლებს მიუთითებდა, რომ ახსნა-განმარტებები მხოლოდ რუსულ ენაზე ეწარმოებინათ. არ გამოყენებინათ მეგრული, აფხაზური, მით უფრო, ქართული. მშობელთა აზრის გათვალისწინებით სოხუმის ეპარქიის მასწავლებელთა საბჭომ მიიღო დადგენილება, სადაც აღნიშნული იყო: „იმ სამრევლოთა სკოლებში, სადაც მოსახლეობა ლაპარაკობს ქართული ენის მეგრულ დიალექტზე, ქართული ენის სწავლება აუცილებელია“. რასაკვირველია, ეპისკოპოსმა არსენმა არ გაითვალისწინა აღნიშნული საბჭოს რეკომენდაცია. არქიმანდრიტი ამბროსი კი ასკვნია: „საღვთო რჯულის გაკვეთილების რუსულ ენაზე ჩატარება აზარალებდა როგორც

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) სიტყვა, წარმოთქმული სასამართლო პროცესზე: „ჩემი 37 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას. ვიბრძოდი როგორც მოქმედებით, ისე პრესის საშუალებით, რამაც შემიძინა აუწერელი დევნულობა და ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ტკბილი და მყუდრო დღეები. ორჯერ განვიცადე საშობლოდან ექსორიობა“.

საგნის ძირითად მიზანს, ისე რუსული ენის შეგნებულ სწავლებასაც“.

ამბროსი ხელაია ლაპარაკობს რუსი და ქართველი სამღვდელოების ურთიერთდაშორებულებებზეც. აფხაზეთში ქართველი სასულიერო პირები ზმირ შემთხვევაში დამცირებასა და შეურაცხყოფას განიცდიდნენ. საკმარისი იყო საერო ხელისუფლების წარმომადგენელს ანდა ეროვნებით არაქართველ კერძო პირს შეეტანა ყალბი ბრალდება მღვდელზე, რომ ამ უკანასკნელს თავის მართლების გზა მოჭრილი ჰქონდა. აღსანიშნავია ეპისკოპოს არსენის პასუხი მოქვის ეკლესიის მღვდელ იესე ჟორდანიას თხოვნაზე, რომელიც გამოძიების დანიშვნას სთხოვდა თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. „რუსი ჩინოვიკისა უფრო მჯერა, ვიდრე ადგილობრივი სამღვდელოსი“.

ამ მხარეში „სამოდგვრო ღვაწლის ღირსება“ მეტ-ნაკლებად შეღახული იყო. საერო ადმინისტრაცია სამღვდელო პირთან უშუალო მიმოწერას თავს არიდებდა, ვინაიდან მას რიგითი ადამიანებისგან არ განასხვავებდა. არქიმანდრიტ ამბროსის მაგალითისთვის მოჰყავს ილორის მამასახლისისადმი ბრძანებულების ნიმუში: „გაუწყებთ თქვენ, რომ იახლოთ მღვდელი ზოსიმე ხელაია (ამბროსის მამა), კეჩიხი და პეტრე ვარდანიები და ახლავე გამოცხადდეთ უბნის გამგეობაში“. რეალურად ქართველი სასულიერო პირი სოფლის თავკაცზე დაბლა იდგა. შემთხვევითი არ იყო ვინმე ავტონომოვის მიერ ადგილობრივი სამღვდელოების პიროვნული ღირსების დამაკნინებელი კრიტიკული შეფასება: „აქაურ მღვდლებს არ დაეჯერებათ“.

არქიმანდრიტი ამბროსი უწმინდესი სინოდისა და მისი წარმომადგენლების მოქმედე-



კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსის ხელაია (1921-1927)

ბას აფხაზეთში მწვავედ აფასებს. იგი ცდილობს, ერთმანეთისგან გამიჯნოს სახელმწიფოებრივი და რელიგიური პრინციპები. ეკლესია არ უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლებას, ჭეშმარიტ ქრისტიანულ საფუძვლებს მოკლებული. კატეგორიულად მიუღებელია ეკლესიის საერო ხელისუფლებასთან გაიგივება. რუსეთის ხელისუფლება სწორედ აქტიური რელიგიური პოლიტიკის გატარებით ცდილობდა საკუთარი ნების თავს მოხვევას სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე, ამ შემთხვევაში ქართველებსა და აფხაზებზე. საზოგადოდ, უგუნურებაა „რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევა“, არქიმანდრიტ ამბროსის განმარტებით კი საქართველოში ყოველივე კანონზომიერება დაირღვა. სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა მთლიანად შეცვალა ეკლესიის რეალური დანიშნულება, რაც მხარის გარუსების მისწრაფებაში გამოვლინდა.

„დაე დაზარალებეს ეკლესია ამა თუ იმ კანონების მიერ, ოღონდ სახელმწიფომ ხეირი ნახოს“. ეს პრინციპი მოქმედებდა იქ, სადაც რუსეთის გავლენა, მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა. საქართველოში ჩამოსული, ამ იდეით დასნეულებული ტიპური რუსი მოხელეები ქართველებისადმი, ეროვნული მეძვიდრე-



რუსების აგებული საკათედრო ტაძარი სოხუმში

ობის შელახვის მიზნით, კრიტიკას არ იშურებდნენ. აღსანიშნავია თბილისის სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტ სერაფიმეს მიერ ქართული გალობის შეფასების ფაქტი. ამბროსი ხელაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ რუსიფიკატორ „ეკლესიის მწვემსებს შეუძლიათ უწოდონ ქართულ ენას ძაღლებს ენა, ქართულ საეკლესიო გალობას — ძაღლების ყეფა. მხოლოდ რუსიფიკატორ მღვდელმთავარს შეუძლია მთელი ერის დაწვევლა“. აქ იგულისხმება ეგზარქოს პავლეს სიტყვა („წყეულიმც იყოს ხალხი და ქვეყანა, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედებას შობს“), რომელიც მან 1886 წელს სემინარიის რექტორის ჩუდცკის დაკრძალვისას წარმოთქვა.

ამბროსი ხელაია საერთო მანკიერების გვერდით რუსეთის სასულიერო წრეებში მრავალ ღირსეულ პიროვნებას ხედავდა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა სასულიერო პირმა

უარი განაცხადა ილორში მღვდელმსახურებაზე ენის არცოდნის გამო. ეპისკოპოსი სერაფიმე მღვდლის გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა, რაზეც სასულიერო პირს მღვდელმთავრისთვის მიუგია: „ამ საგანზე თავად მასაც მართებდა დაფიქრება მანამ, სანამ სოხუმის კათედრის დაკავებას დათანხმდებოდა“.

არქიმანდრიტი ამბროსი იმედოვნებდა, რომ მომავალში ეკლესია გაემიჯნებოდა კავკასიაში ასიმილატორულ პოლიტიკას. რამდენად გამართლდა ეს იმედები, ამაზე წერილის მეორე ნაწილში ვისაუბრებთ.

საეკლესიო პოლიტიკას აფხაზეთში რუსეთის უწმინდესი სინოდი ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიზანმიმართულად წარმართავდა, მისი საშუალებით ახდენდა აფხაზი ხალხის ასიმილაციას. აფხაზეთში უგულვებლყოფდნენ ქართველი სამღვდლოების უფლებებს... სამწუხაროდ, ვითარება აფხაზეთში დღესაც სავალალოა. რუსეთის ეკლესია, მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ მიღებული კანონების უხეში დარღვევით, კვლავ ცდილობს აფხაზეთი მოსწყვიტოს ქართულ საეკლესიო სივრცეს და აქ ქართველი სამღვდლოების კანონიკურ უფლებებს მუდმივად აკნინებს. აფხაზები, როგორც ეთნოსი გადარჩება მხოლოდ ქართველებთან, ერთიან ქართულ კულტურულ სივრცეში თანაცხოვრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსული პოლიტიკის მორჩილნი, განწირული არიან გადაშენებისთვის.

ოდროპირ ჰიძე

(დასასრული მომდევნო ნომერში)



მინიატიურა მოქვის სახარებიდან (გადაწერილია 1300 წელს). ელისაბედისა და მარიამ ღვთისმშობლის შებვედრის სცენა

ყოველ პარასკევს,
 ჟურნალ „საბავშვო
 ქარუსელთან“ ერთად,
 დიდი ქართულების
 ბიოგრაფიების
 თითო წიგნი!



მაღე გამოვა:

- 32 მიხეილ ჯავახიშვილი
 - 33 იპოლიტე ხვიჩია
 - 34 გიორგი მაზნიაშვილი
 - 35 ამბროსი ხელაია
 - 36 ვანო სარაჯიშვილი
 - 37 სოლომონ II
 - 38 მარო მყაშვილი
 - 39 სესილია თაყაიშვილი
 - 40 მერაბ ჟოსტავა
- და სხვა დიდი ქართულები



**ქამლები
 გონაშვილი**

წიგნის ფასი 2.50
 (ჟურნალთან ერთად 3.50)



**გამოქანილი
 აღამიანების ბიოგრაფიები**

წიგნების სერია ბავშვებისთვის

**შემდეგი
 მიხეილ
 ჯავახიშვილი**

გაიოს იბერი

მოხუცენახად დადასტუხებული ჰიხვიანი ქაიოვიანი ქრისტიანი



მწვემსი კეთილი. ადრექრისტიანული გამოსახულება რომის სან-კალისტოს კატაკომბებიდან

საქართველოში (კოლხეთი/ლაზიკა, ქართლი/იბერია) ქრისტიანობის ქადაგებას უშუალოდ ქრისტეს მოციქულს, ანდრია პირველწოდებულს მიაწერენ, რომელიც ტრაპიზონიდან შემოსულა და ჯერ დასავლეთ საქართველოში, შემდეგ კი აწყურის მიდამოებში უქადაგია ქრისტიანობა.

რა შედეგი გამოიღო ანდრია პირველწოდებულის ქადაგებამ, ჩვენთვის უცნობია. არის მხოლოდ მოსაზრებები, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადრექრისტიანული თემები არსებობდა, რომელშიც, სავარაუდოდ, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული.

ერთი რამ ნათელია, საქართველოს ქრისტიანობას მეორედ მქადაგებელი დასჭირდა. ასეთ პიროვნებად ქვეყანას IV საუკუნეში წმინდა ნინო მოეწვინა. IV საუკუნეიდანვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს ქრისტიანობასთან დაკავშირებული არქიტექტურული ძეგლები და სხვა არტეფაქტები.

ზუსტად კი ვიცით, რომ ადრეც იყვნენ ქართველი ქრისტიანები, მაგრამ ისინი ქვეყნის გარეთ ცხოვრობდნენ. ამის დამადასტურებელია ცენტრალურ საბერძნეთში, პლატეასთან აღმოჩენილი ბრინჯაოს ფილა, რომელზედაც მამაკაცის 40 სახელი წერია. სახელთა უმრავლესობა ბერძნულია, მცირე ნაწილი —



ბერძნულ-რომაული. თანამდებობითი აღნიშვნები მხოლოდ ზოგიერთს ახლავს, და ყველა ქრისტიანობას უკავშირდება — **πρεσβύτερος, ἀναγνώστης** („წმინდა წიგნების წამკითხველი“). 11. 2,7,8,16.

2. **Διοπισθάρως πρεσβύτερος** — დიონისოლოროს პრესვიტერი.

7. **Εὐτρόπιος πρεσβύτερος** — ევტროპიოს პრესვიტერი.

8. **Φιλοκράτης ἀναγνώστης** — ფილოკრატეს ანაგნოსტისი.

16. **Φίλων πρεσβύτερος** — ფილონ პრესვიტერი.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პლატეაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ფილაზე ადრექრისტიანული თემა წარმოდგენილი. ფილა, რომელიც ახლა ათენის ეროვნულ მუზეუმში ინახება, II-III საუკუნეების მიჯნით თარიღდება.

ფილაზე ორი პიროვნების სახელს სპეციალური ეთნიკური ინდიკატორი ახლავს თან — 11. 4 და 12: **Κάιος ὁ Ἰβ(η)ρ** (გაიოს იბერი) და **Ἀθηνόδαρος Ἀρμ(ένιος)** (ათენოდოროს არმენიელი).

ესე იგი, გაიოს იბერი! აი, აქედან იწყება შეკითხვათა კასკადი: სად დაიბადა იგი, იბერიაში?! და მხოლოდ შემდგომ გადაინაცვლა სხვაგან?! თუ ასე ვივარაუდებთ, მაშინ გამოდის, რომ ის ორენოვანი ყოფილა. როგორ მოხვდა გაიოსი საბერძნეთში?! რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა?! ძალიან ბევრი შეკითხვა ჩნდება.



ქრისტიანობა. დაცულია ვატიკანის მუზეუმში

გაიოსის „შემთხვევა“ უფრო ბერძნულ-რომაული ჩანს, ვიდრე ქართული. მაგრამ მისი ეპითეთი — „იბერი“ სიმპტომატურია, ის ბოლომდე ასიმილირებული არ არის და იბერად არის დარჩენილი.

გამოდის, რომ გაიოსი დოკუმენტურად დადასტურებული პირველი ქართველი ქრისტიანია.

თელო ღუნღა

მწვემის კეთილი, ქრისტეს მონოგრამა, სვასტიკა, თევზი და სხვა ადრექრისტიანული გამოსახულებები რომის სან-სებასტიანის კატაკომბებიდან



ყუთლუ-არსლანი

დიდი

სვლილებების

ინისიატორი

საქართველოს ისტორიაში ყუთლუ-არსლანის გამოსვლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს არ ყოფილა მასშტაბური გამოსვლა და არც რამე განსაკუთრებული შედეგით დასრულებულა. ერთადერთი, რითაც ეს შეთქმულება მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იქცევს, არის ის პოლიტიკური მოთხოვნები, რაც აჯანყებულ მეჭურჭლეთუხუცესსა და მის მომხრეებს ჰქონდათ. მკვლევარი ვახტანგ აბაშმაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც საერთოდ შუა საუკუნეებში დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლის მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის შუქზე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია და ამდენად, თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს.

რა ვიციტ მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის შესახებ?

თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არაფერი.

მემატიანე მოგვითხრობს გიორგი III-ის გარდაცვალების ამბავს და დასძენს, რომ სასახლეში დამწუხრებულ საეკლესიო თუ საე-





რო პირთა შორის იდგა მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი. მეორედ კი მას უშუალოდ შეთქმულების შესახებ თხრობისას მოიხსენიებს. ზოგიერთი ქართველი მეცნიერის აზრით, თამარის მეჭურჭლეთუხუცესი მოხსენიებული უნდა იყოს ასევე კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ქართულ მინაწერებში. სწორედ ამგვარი მწირი ცნობების გამოა, რომ დღემდე ყუთლუს საგვარეულო კუთვნილების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

ნაწილი მეცნიერებისა ყუთლუ-არსლანს წარმოშობით ჯაყელთა გვარის წარმომადგენლად მიიჩნევს, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ იგი დაბალი სოციალური ფენიდან იყო გამოსული.

1184 წელს, თამარის გამეფების შემდეგ, ფეოდალთა დიდმა ნაწილმა შეფეს თავისი მოთხოვნები წარუდგინა, რომელიც „უგვარო“ მსახურთუხუცესის აფრიდონისა და ფილენჯის (დამბლის) ხენით დაავადებულ ამირსპასალარ ყუბასარის გათავისუფლებას ითვალისწინებდა. თამარი იძულებული იყო, თავისი მამის ერთგული მოხელეები თანამდებობიდან დაეთხოვა. ყუბასარს სიმდიდრე და მდგომარეობა შეუნარჩუნეს, მხოლოდ ლორეს ციხე ჩამოართვეს. აფრიდონი კი „დაემხო“. ამ გამოსვლას შემატყვევებელი უშუალოდ მოაყოლებს ყუთლუ-არსლანის აჯანყების ამბავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორი მოვლენა დიდად არ უნდა იყოს ერთმანეთს დაშორებული. მეტიც, ყუთლუ-არსლანის გამოსვლა ერთგვარ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ფეოდალთა იმ პროტესტისა, რომელსაც შეეწირა ყუბასარი და აფრიდონი. ყუთლუ-არსლანმა წარმოადგინა თავისი პოლიტიკური პროგრამა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანი“ მოგვითხრობს: „... და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სანედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა განმგებელნი მცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“.

მეჭურჭლეთუხუცესის გეგმა იმდენად თამამ პოლიტიკურ მოთხოვნებს შეიცავდა, რომ



ბრძოლის სცენა. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული ხელნაწერიდან

თამარმა და მისმა გარემოცვამ იგი ზოგადად სამეფო ხელისუფლების დასასრულად მიიჩნია. შემთხვევითი არ არის მემატიანის შეფასებაც, რომ „ესე ვიეთ საწყენელ იყო — დასასრულისა ხელმწიფობისაო“. სამეფო კარი შეაშფოთა ყუთლუ-არსლანის მოთავეობით დაწვებულმა მოძრაობამ და სასწრაფოდ მიიღო გადამწყვეტი ზომები: მეფის ერთგულმა პირებმა მოახერხეს მეჭურჭლეთუხუცესის შეპყრობა და ამით შეთქმულთა ბანაკს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გამოსვლის დასასრულს.

ყუთლუ-არსლანის შეპყრობის ამბავმა აჯანყებულთა რიგებში კიდევ უფრო გაამძაფრა ბრძოლის დაწყების სურვილი. ამჯერად შეთქმულებმა პოლიტიკური დეკლარაციის მაგიერ იარაღით დაპირისპირება გადაწყვიტეს. ვიდრე მეჭურჭლეთუხუცესის პოლიტიკურ პროგრამას შეეხებოდეთ, გუარკვიით, რა სოციალური წრე უჭერდა მხარს ამ შეთქმულებას. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზეც არ არის ერთიანი აზრი. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ყუთლუს დასაყრდენს ძირითადად ვაჭარ-ხელოსანთა ფენა, ე.წ. მესამე წოდება წარმოადგენდა. მეორე ნაწილი კი მი-

იჩნევს, რომ მეჭურჭლეთუხუცესი ძირითადად ფეოდალურ არისტოკრატias ეყრდნობოდა. ამ პრობლემის შესახებ საუბრისას მართებულად მიგვაჩნია, რომ მესამე წოდების გარდა ყუთლუ-არსლანს მხარს უჭერდა ფეოდალური არისტოკრატის ნაწილიც, რომელიც თავისი საქმიანობით ახლოს იდგა საქალაქო წრეებთან. ამასთანავე, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ასევე აჯანყებულებთან ზემაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის გაგზავნაც. ამ ორ მანდილოსანს არა მარტო თამარის დანაბარები უნდა გადაეცათ აჯანყებულთათვის, არამედ მოეხდინათ მთელი ამ კონფლიქტის დარეგულირება. ბუნებრივია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური კრიზისის დროს სამეფო კარი საგანგებოდ შეარჩევდა მედიატორებს, რომელთაც შეთქმულები უნდა დაეყოლიებინათ კომპრომისზე. ასეთ ვითარებაში საუკვოა, თამარის გარემოცვას მთელი აქცენტი მართოდენ ამ ქალბატონების გვარეულობაზე ან მათი ოჯახების გავლენაზე გაეკეთებინა. უმთავრესი უნდა ყოფილიყო ის, თუ რამდენად მიესვლებოდათ მათ აჯანყებულებთან, რამდენად ახლობელნი იყვნენ ისინი ყუთლუს მიმდევართათვის და რამდენად მისაღები და ყურადსაღები იქნებოდა მათი რჩევა და პირობა. ამ ვითარებაში კი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი უნდა ყოფილიყო შეთქმულების მოთავეებთან მათი ოჯახის ახლობლების ანდა ნათესავების გაგზავნა. კრავაი ჯაყელმა და ზემაქი ცოქალმა დავალბა საუცხოოდ შეასრულეს. აჯანყებულები კომპრომისზე წავიდნენ და სამეფო კართან შერიგება არჩიეს. როგორც ჩანს, თავად შეთქმულებიც დარწმუნდნენ, რომ მათი მოთხოვნები საკმაოდ მიუწვდომელი იყო. დღეისათვის შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყუთლუ-არსლანმა თავისი პოლიტიკური ნააზრევით ეპოქას გაუსწრო და ამიტომაც, არ არის გამორიცხული, ბევრს არც კი ესმოდა მეჭურჭლეთუხუცესის პროგრამის არსი.

რას მოითხოვდა და რის მიღწევას ცდილობდა ყუთლუ-არსლანი?

ერთი შეხედვით, „ისტორიანი და აზმანი შა-

თამარ მეფის ხელნაწერი



თანამედროვე მეტეხის ტაძრის სახელოვან მდებარეობდა სამეფო სასახლე, რომელიც წყაროებში იხსნი სასახლედ არის ცნობილი. მისგან აღმოსავლეთით (დღევანდელ სასტუმრო „მეტეხი პალასად“) გაშლილი იყო ვრცელი ველი, სადაც ყუთლუ-არსლანს სურდა კარვის მოწყობა

რაგანდეთანის“ ავტორის ცნობები საკმაოდ ნათელია, მაგრამ ისტორიოგრაფიას თუ გადაუვლებთ თვალს, დაერწმუნდებით, რომ როგორც ბევრი რამ ყუთლუ-არსლანის გამოსვლაში, ესეც აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს. მემატაინის ცნობით, მეჭურჭლეუხუცესი ითხოვდა სამეფო კარის გვერდით სრულიად ახალი დაწესებულების — კარვის შექმნას. იგი იხსნი ველზე „სანახებსა სალოდებლისას“ უნდა ყოფილიყო. ყუთლუ-არსლანს მეფის ხელისუფლება და კარვის კომპეტენცია გამიჯნულად წარმოედგინა. უწინ თუ დარბაზი, სავაზირო, მეფის ხელისუფლების განმხორციელებელი იყო და მონარქს ქვეყნის მართვაში ეხმარებოდა, ამჯერად, კარავსა და მეფის აპარატს შორის ურთიერთთანამშრომლობის ფორმა მკვიდრდებოდა. ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო საქართველოს სამეფოს ადმინისტრაციაში. მემატაინესთან ამკარად გაყოფილია სასახლე და კარავი. ამ უკანასკნელში უნდა დამსხდარიყვნენ ისინი, ვინც გადაწყვეტდნენ მიცემისა და მოღების, წყალობისა და შერისხვის საკითხებს, შემდეგ კი ეს მეფისთვის უნდა წარედგინათ და „მაშინდა სრულ იქმნებოდეს“. მაგრამ მემატაინის ეს ცნობა ბადებს ერთ კითხვას, რომელზეც პასუხის გაცემა ნაწილობრივ ბევრ საკითხს მოჰყენს ნათელს. ეს არის იმის გარკვევა, თუ რო-

გორ მოიქცეოდნენ კარვის მესვეურნი, თამარს მათი რომელიმე წინადადება რომ არ მიეღო. ბუნებრივია, დიდებულები შეეცდებოდნენ მეფე „დაერწმუნებინათ“ თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში. სწორედ ეს არის სამეფო ხელისუფლების აბსოლუტიზმის შეზღუდვა. საქართველოს სამეფო ბიუროკრატიაში ჩნდება ორგანო, რომელსაც მეფის ხელისუფლების პარალელურად უნდა ეარსება. შეიძლება თუ არა კარავი მივიჩნიოთ პარლამენტის მსგავს დაწესებულებად?

პარლამენტმა თავისი განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა განვლო. ბუნებრივია, ფეოდალურ ეპოქაში მას სრულებით არ გააჩნდა ის ფორმები, რაც ამჟამად აქვს. როგორც ცნობილია, პირველი ე.წ. წარმომადგენლობითი ორგანო, პარლამენტი შეიქმნა XIII საუკუნის შუა ხანებში ინგლისში.

სხვათა შორის ის პროცესები, რომელიც წინ უძღოდა ინგლისის პარლამენტის მოწვევას, რაღაცით ჰგავს კიდევ საქართველოში XII ს-ის 80-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს. რა თქმა უნდა, გამომწვევი მიზეზები საქართველოსა და ინგლისში განსხვავდებოდა, მაგრამ ფეოდალური არისტოკრატის ინტერესები, მათი პოლიტიკური მიმართულებები, ორივე ქვეყანაში თითქმის თანხვედნილი იყო.



მეფე იოანე უმიწაწყოლო ხელს აწერს „თავისუფლების დიდ ქარტას“



„მაგნა კარტა“, ანუ „თავისუფლების დიდი ქარტა“. 1215 წ.

1258-1265 წლებში ინგლისში მართლაც რომ რევოლუციური ვითარება სუფევდა. 1258 წლის 2 აპრილს ბარონები შეიკრიბნენ ჯერ ლონდონში, შემდეგ კი ოქსფორდში პარლამენტზე. მათ ჰენრი III-ს (1216-1272) მოსთხოვეს სამეფო კარიდან უცხოელთა დათხოვნა, ზოგიერთი გადასახადისა და ფულადი გამოძალკების აკრძალვა. ამასთანავე, ბარონებმა მეფისგან მოითხოვეს 26-კაციანი კომისიის არჩევა სახელმწიფოში რეფორმებისა და ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. სწორედ ეს პრინციპები იყო ფორმულირებული ისტორიაში კარგად ცნობილ „ოქსფორდის წინადადებებში“. ამ კომისიის მუშაობა გაგრძელდა ორი თვის განმავლობაში. ბარონებმა საბოლოოდ ქვეყნის მმართველობის შექმნის მიზნით შეიმუშავეს: სახელმწიფო სათავეში დიგებოდა მეფე, რომელსაც სამეფო 15-კაციან საბჭოსთან ერთად უნდა ემართა. 1258-1259 წლებში, თითქმის 15 თვის განმავლობაში ეს საბჭო განაგებდა სახელმწიფოს ძირითად საქმიანობას, მაგრამ ბარონთა ნაწილს, რომელსაც მხარს უჭერდა რაინდობა და მესამე წოდების წარმომადგენლები, სურდა საბჭოს ფუნქციების გაზრდა. 1259 წლის ოქტომბერში, ვესტმინსტერში, დიდებულთა ნაწილმა, სიმონ დე მონფორის ხელმძღვანელობით, ახალი მოთხოვნები წამოაყენეს ე.წ. „ვესტმინსტერის წინადადებები“. ჰენრი III-მ არ მიიღო ეს მოთხოვნები. ბარონებმა სამხედრო დაპირისპირებით სცადეს მიზნის მიღწევა. ინგლისი სამოქალაქო ომმა მოიცვა. გადაწყვეტი ბრძოლა 1264 წლის 14 მაისს მოხდა. ამ შეტაკებისას აჯანყებულებმა თვით მეფეც შეიპყრეს. 1265 წლის იანვარში სიმონ დე მონფორმა მოიწვია პარლამენტი, რომელზეც პირველად ერთად დასხდნენ ბარონები, რაინდები და მოქალაქენი. სწორედ ამ მოვლენიდან აითვლიან ინგლისის პარლამენტის არსებობას. როგორც ვხედავთ, ინგლისში ფეოდალური არისტოკრატია ცდილობდა თავისი უფლებების გაფართოებას ძირითადად პოლიტიკური გავლენის გაზრდის გზით. 15-კაციანი საბჭოს შექმნა თუ წარმომადგენლობითი პარლამენტის მოწვევა სხვა არაფერია, თუ არა ახალი ადმინისტრაციული სტრუქტურის მეშვეობით მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მცდელობა.

თუ 1258-1265 წლებში ინგლისში განვითარებულ მოვლენებს შევადარებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, მსგავსება აშკარად შეიმჩნევა. ყუთლუ-არსლანი „კარვის“ მეშვე-

ობით მეფეს ართმევდა იმ ფუნქციებს, რომელიც სამეფო ტახტს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა. ბუნებრივია, საქართველოსა და ინგლისში ყოველივე ერთი გეგმით არ წარმართებოდა. ამჯერად ჩვენთვის მთავარია ერთმანეთს შევედართო ის ძირითადი ტენდენციები და მოთხოვნები, რომლებიც ამ ორი ქვეყნის წარჩინებულთა პოლიტიკურ გეგმებში იყო. აქვე დავძენთ, რომ მეჭურჭლეთუხუცესის მოთავეობით დაწვებული დიდებულთა ბრძოლა შუა ეტაპზე შეწყდა და მან გაგრძელება ვერ პოვა. ამიტომაც ყუთლუ-არსლანის გამოსვლა ბევრ კითხვას ბადებს, მაგრამ ერთი რამ ნათელია: საქართველოში წარჩინებულები იმ სახის დაწვებულების შექმნას მოითხოვდნენ, რომელსაც მეფისთვის ხელისუფლება უნდა გაეყო. ეს პროცესი კი შეიძლება მივიჩნიოთ პარლამენტის შექმნის წინაპირობად. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური გეგმა შეიძლება ჩაითვალოს პირველი ქართული პარლამენტის შექმნისკენ გადადგმულ ნაბიჯად. პროცესი რომ თავისი დინებით წარმართულიყო, შესაძლებელია საქართველოში წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოს უფრო სრულყოფილი სახე მიეღო. მაგრამ სამეფო კარის მოხერხებულმა დიპლომატიურმა ნაბიჯმა ეს მოძრაობა დროულად შეაჩერა და ქვეყანას მძიმე სამოქალაქო დაპირისპირება ააცილა თავიდან. აქვე დავძენთ, რომ ჩვენ საგსებით ვეთანხმებით აკადემიკოს როინ მეტრეველს, რომ არ უნდა იყოს მხარდასაჭერი ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება ყუთლუ-არსლანის გამოსვლის შედეგებისა და 1215 წლის 15 ივლისს ინგლისის მეფე იოანე უმეცურესის მიერ ხელმოწერილ ე.წ. „თავისუფლების დიდ ქარტიას“ შორის მსგავსების შესახებ. 1215 წლისთვის დიდებულები მიისწრაფოდნენ არა მეფის ხელისუფლების შეზღუდვისკენ, არამედ ისინი მონარქის თავგასულობის აღაგმვას ცდილობდნენ. უპირიანია პარალელი გავაკლოთ ყუთლუ-არსლანის გამოსვლასა და 1258-1265 წლებში ინგლისში მიმდინარე მოვლენებს შორის.

ყუთლუ-არსლანის გამოსვლა უმედეგოდ დასრულდა. ამიერიდან არავის გასსენებია „კარვის“ შექმნის იდეა. თვით მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანიც დავიწყებას მიეცა. ერთადერთი, „ისტორიანი და აზმანი შარაუნდელთანს“ უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ეს მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენა შთამომავლობას შემოუნახა. ამის შემდეგაც საქარ-



სიმონ დე მონფორის ქანდაკება ლესტერის ტაძრის კოშკზე

თველოში ბევრჯერ დაპირისპირებულან ერთმანეთს დიდებულები და სამეფო ხელისუფლება, მაგრამ თამარის მეჭურჭლეთუხუცესის მსგავსი პოლიტიკური პროგრამით არავინ გამოსულა. სწორედ ამაშია ყუთლუ-არსლანის გენიალობა.

ჯაბა სამუშია



XIII საუკუნის ინგლისის პარლამენტი

ნეკრესის სასწაული

ნეკრესის ძველთაძველი ტაძარი ყვარლიდან დაახლოებით რვა კილომეტრის დაშორებით, ნეკრესის მთაზე მდებარეობს, მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე.

ნეკრესი მეტად საინტერესო ნაგებობათა ანსამბლია. ის ნაშთია ნეკრესად წოდებული უძველესი ქალაქისა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაარსებული. ლეონტი მროველის ცნობით, მეფე ფარნაოზმა: „უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება და... იწყო შენებად კახეთს ქალაქს — ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“. მომდევნო საუკუნეებში ქართველ მეფეებს ბევრი რამ გაუკეთებიათ ქალაქ ნეკრესის ზრდისა და გამშენებისთვის.

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი სხვადასხვა ნაგებობებისგან შედგება. ზოგი მათგანი IV-V საუკუნითაა დათარიღებული, ზოგიც VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. ადრინდელთა რიცხვშია ბაზილიკური ტიპის მცირე ეკლესია, რომელიც „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, აშენებულია ბაკურის ძმის, მირიანის შვილიშვილ თრდატ მეფისა და საქართველოს მთავარეპისკოპოს იობის დროს. მთავარი ტაძარი დათარიღებულია VI საუკუნით, რომელიც წმიდა აბიბოს ნეკრესელმა ააშენა და აქვე საეპისკოპოსო კათედრაც დააარსა. ეს ტაძარიც ბაზილიკური ტიპისაა, აქვს მომცრო სარკმლები. სამხრეთ მიწაში სასულიერო პირთა საფლავებია, ხოლო მის გვერდით, სამხრეთის მხარეს აშენებულია ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე მარანია (იქ დღესაც უამრავი ქვევრია შემორჩენილი), ხოლო მეორე სართულზე სენაკები. ამ შენობის წინ, დასავლეთის მხარეს არის სამრეკლო, რომელიც პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე მიდგმულია სატრაპეზო.

ნეკრესის მესამე ტაძარი გუმბათიანი ეკლესიაა, რომელსაც VIII-IX საუკუნეს მიაკუთვნებენ. ეკლესიის სამრეკლო, როგორც



ჩანს, სათვალთვალ კოშკადაც გამოიყენებოდა. ის რამდენიმე სართულიანია და ირგვლივ სათოფურები აქვს ამოჭრილი.

2010 წელს დასრულდა ნეკრესის არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად კახეთის ერთ-ერთმა უდიდესმა სამონასტრო კომპლექსმა პირვანდელი სახე დაიბრუნა.

მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისას XII საუკუ-



ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი. საერთო ხედი. მარჯვნივ — საქალე და მარანი

ნის ტერასები და ამავე პერიოდის დაკონსერ-
ვებული ორრეზერვუარიანი წყარო აღმოაჩი-
ნეს. მოწყო ტურისტული ბილიკები და დას-
რულდა მონასტრამდე მისასვლელი გზის მშე-
ნებლობა. გუმბათოვან ეკლესიასთან, ორ მცი-
რე და სამნავიან ბაზილიკასთან ერთად აღ-
დგენილია ნეკრესელის სასახლე, კოშკი-სამ-
რეკლო, სატრაპეზო, საწნახელი, საცხოვრე-
ბელი ოთახი და ორი მარანი.

ნეკრესის ეკლესიას ხალხი ერთ სასწაულ-
საც უკავშირებს: მტერს ალყაში მოუქცევია
ნეკრესის სალოცავი და იქ თავშეფარებული
ქართველები. ყოველი დღე, ყოველი საათი

მტერს გამარჯვებასთან აახლოებს. საკვებიც
გამოილია და ხსნაც არსაიდან ჩანს. შეწუხდა
ხალხი, ქალებმაც იარაღი აისხეს, ილოცეს და
ბრძოლისთვის მოემზადნენ. მაგრამ როგორ
გინდა გაარღვიო ალყა — მტერი ხომ შენზე
ათჯერ მეტია და უკეთ შეიარაღებული!

უცბად ჩოჩქოლი ატყდა: სამკედრო-სასი-
ცოცხლო ბრძოლისთვის თავგადადებულ რაზ-
მში ერთს აზრად მოსვლია, მოდი, ღორები დაე-
სეროთ და მტერზე მიეუშვათო. „ეგრე ვქმნათ,
ეგრეო“, — სიხარულით აიტაცეს სხვებმაც.
ჯერ ღორების ჭყვიტინმა გააყრუა იქაურო-
ბა, მერე კი ნეკრესის გალაენის კარი გაიღო



ნეკრესელი
მიტროპოლიტის
პარანი

და ტკივილისგან გადარეული კოლტი პირდაპირ მოაღყეებისკენ გაქანდა.

სპარსელები ერთხანს გაკვირვებული უცქერდნენ ამ სანახაობას, მერე კი გონს მოვიდნენ და მიხვდნენ: პირუტყვი მათ „დასალაშქრად“ მიუქანებოდა და თან ირგვლე ყველაფერს „უწმინდური“ სისხლით ბილწავდა. „ოო, წყველი გიაურები, ეს რა მოიფიქრესო!“ — ყვირილით გაიფანტნენ ურჯულოები. ალყა გაირღვა. ღორების კოლტს ქართველთა რაზმი მოჰყვა, რომელთაც ადვილად დაამარცხეს დაბნეული მტერი და სამშვიდობოს გუიდნენ.

ღვთის მადლით, იმ დღეს ყველა გადარჩა — დიდიც და პატარაც.

მას შემდეგ ყოველ წელიწადს, შობა დღეს (იმ დღეს, როცა ეს სასწაული მოხდა) იწყება ნეკრესობის დღესასწაული, რომელიც ერთ კვირას გრძელდება. საიდან არ მოდის ხალხი! მაგრამ მთავარი ის არის, რომ ტაძარში შესაწირად ღორები მოჰყავთ. თუმცა ღორის შწირვა რა გასაკვირია, — აკი „უფლისა ქვეყანა და სავსება მისი“.


კახაბარ კანკიშვილი

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი. VIII-IX საუკუნეების გუმბათიანი ეკლესია



ორი პრის გმირი

პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცერი, პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს არმიაში მსახურობდა და საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდა ბოლშევიკთა წინააღმდეგ წარმოებულ ხანმოკლე ომში. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ვალერიან თევზაძე სხვა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, იმ იმედით, რომ ბოლშევიკები მალე დამარცხდებოდნენ და ისევ სამშობლოში დაბრუნდებოდა. სამწუხაროდ, ვალერიან თევზაძეს სამშობლოში დაბრუნება აღარ ეწერა.



პოლკოვნიკი
ვალერიან თევზაძე

„ჩემი იმედი, რომ ბოლშევიკთა მმართველობა რუსეთში დიდხანს არ გასტანდა, უსაფუძვლო აღმოჩნდა. რუსეთის ხალხი, მიჩვეული მონობას ჯერ მონღოლებისას და მერე 400-წლოვან დესპოტურ მეფის რეჟიმს, უყოყმანოდ დაემორჩილა ბოლშევიკურ ხელისუფლებას“, — წერდა ვალერიან თევზაძე თავის მეგუარეებში.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა პოლონეთთან, რათა მას თავის უმაღლეს სამხედრო სკოლებში მიეღო ქართველი ოფიცრები. პოლონეთის მაშინდელმა პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელმა, რუსეთის იმპერიის დაუძინებელმა მტერმა, პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის დაუღალავმა მებრძოლმა მარშალმა იუზეფ პილსუდსკიმ ორასამდე ქართველი სამხედრო მიიწვია პოლონეთში. მათ შორის იყო ვალერიან თევზაძეც. სამხედრო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ქართველებმა საკონტრაქტო ოფიცრებად დაიწყეს სამსახური პოლონეთის არმიაში. უნდა აღინიშნოს, რომ მათ პოლონეთის არმიაში სამსახურის ბოლომდე შეინარჩუნეს საქართველოს მოქალაქეობა და ამიტომ, როგორც

უცხოელები, არ იყვნენ ვალდებული ომის შემთხვევაში მასში მონაწილეობა მიეღოთ. მიუხედავად ამისა, ყველა ქართველმა ოფიცერმა გამოთქვა სურვილი ემსახურა პოლონეთის არმიის საფრონტო ერთეულებში. ამ დროს პოლონეთი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და ქართველი ოფიცრები სწორედ ამ ბრძოლაში ჩაებნენ. ოფიცერმა ვალერიან თევზაძემ 1920-1930 წლებში პოლონეთის მიერ წარმოებულ ყველა სამხედრო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა.

1939 წლის სექტემბერში პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე სარდლობდა ვარშავის დაცვის ჩრდილოეთ სექტორს და გამოჩენილი თავდადებისა და გმირობისთვის პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოს — ვირტუტი მილიტარის ვერცხლის ჯვარი დაიმსახურა. „თავმდაბალი, მორიდებული, კეთილი ადამიანი, მაგრამ კაჟეთით მტკიცე... ბოლომდე გამართლა მასთან დაკავშირებული ჩვენი იმედები, მიუხედავად არნახულად მძიმე პირობებისა... სამაგალითო იყო ყველა თვალსაზრისით“, — ასე იხსენებს ვალერიან თევზაძეს ვარშავის დაცვის შტაბის პოლკოვნიკი ტადე-

უმ ტომაშვესკი. ვალერიან თევზაძის გმირობით გერმანელებიც კი ისე მოიხიბლნენ თურმე, რომ პირადად ფიურერს უპატიაკეს, ყველა პოლონელი ჟოლნერი (პოლ. ჯარისკაცი) რომ პოლკოვნიკ თევზაძის მსგავსად იბრძოდეს, პოლონეთის აღება ძალიან გაგვიჭირდებოდაო. ქართველი პოლკოვნიკი ისეთი გმირული შემართებით მიუძღოდა თურმე პოლონელ კავალერისტებს გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ, რომ გერმანელებმა რამდენიმე წამით შეაჩერეს შეტევა და მოხიბლულებმა შესძახეს: „ბრაუო, ჰერ ოფიცერ!“

პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცერთა შესახებ ცნობები კრემლამდეც აღწევდა. როდესაც სტალინმა ამის შესახებ პირველად შეიტყო, გაბრაზებულმა ბერიას უბრძანა, „ვისკო პოლსკეს“ ნებისმიერი ქართველი ჟოლნერი ხელში ჩაგდებისთანავე დაეხვრიტათ.

გერმანელთა ტყვეობიდან ვერმახტის ქართველი ოფიცრების დახმარებით გათავისუფლებული ვალერიან თევზაძე „ტომაშის“ ფსევდონიმით უერთდება პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობას და არმია კრაიოვას მე-7 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად ინიშნება. პოლონეთის დაპყრობის შემდეგ გერმანელებმა „ვისკო პოლსკეს“ ყოფილი

მარშალი იუზეფ პილსუდსკი



პოლკოვნიკის თავი დიდ თანხად – 200 ათას რაიხსმარკად შეაფასეს, მაგრამ ხელში მანც ვერ ჩაიგდეს. ვალერიან თევზაძე, რომელსაც გერმანელები მთელ პოლონეთში ეძებდნენ, ვალერი კრეფიანოვსკის სახელით სრულიად ლეგალურად ცხოვრობდა იქვე, სილენიის ერთ პატარა ქალაქში. დღისით ჩვეულებრივი მშვიდობიანი მოქალაქე ღამით მრისხანე მოწინააღმდეგედ იქცეოდა ხოლმე და ერთგული თანამებრძოლების რაზმთან ერთად მოსვენებას არ აძლევდა ფაშისტებს. პოლონელი პარტიზანების მოუხელთებელ მეთაურს, რომელსაც პოლონელები „კაკუასი-ელ არწივს“ უწოდებდნენ, პოლონეთის ტერიტორიაზე არსებულ საკონცენტრაციო ბანაკებში თავისი აგენტურაც ჰყავდა, რომლის საშუალებითაც მან ტყვე ქართველებთან კონტაქტის დამყარება მოახერხა, ბანაკებიდან გაქცევაში დაეხმარა მათ და თავის პარტიზანულ რაზმში ჩარიცხა. პოლკოვნიკ თევზაძის პარტიზანული რაზმი მკვეთრად გამოხატული ანტირუსული განწყობით გამოირჩეოდა. ამიტომ ემიგრაციაში მყოფ პოლონეთის მთავრობას ლონდონიდან სწორედ ვალერიან თევზაძესთან ჰქონდა ყველაზე მჭიდრო კავშირი. თევზაძის მოუხელთებლობის ამბავი სტალინმაც იცოდა. მას კრეფიანოვსკის სახელის გაგონებაც კი აცოფებდა. პოლონეთში ჩვენს არმიას სრული მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება გარანტირებული, თუ იქ ვალერი კრეფიანოვსკის რაზმი აღარ იარსებებსო, ხშირად ეუბნებოდა სტალინი ბერიას.

1944 წლის ივლისში არმია კრაიოვას ხელმძღვანელობამ ურჩია ქართველ ოფიცრებს, მოსალოდნელი რეპრესიების გამო წითელი არმიის შემოსვლამდე დაეტოვებინათ პოლონეთი. პოლკოვნიკმა ვალერიან თევზაძემ პოლონეთში დარჩენა ამჯობინა და საბჭოთა რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით გარდაცვალებამდე ვალერი კრეფიანოვსკის სახელით ცხოვრობდა. მან არც თავისი მკუდლის, მალგოჟაჰა ხმელნიკოვსკას ნამდვილი ვინაობა გაამხილა და სიცოცხლის ბოლომდე საკუთარ დად აცნობდა საზოგადოებას. როცა საბჭოთა არმიამ პოლონეთი დაიპყრო და იქ თავისი რეჟიმი დაამყარა, ბოლშევიკები ბევრს ეცადნენ, რომ თევზაძე ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ მის კვალსაც კი ვერ მიაგნეს. ვალერიან თევზაძემ და მისმა თანამოაზრეებმა კიდევ ერთხელ შეაფარეს თავი იატაკქვეშეთს და ანტი-

კომუნისტური ორგანიზაცია „მებრძოლი პოლონეთი“ დააარსეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვალერი კრეჭიჟანოვსკის სახელით ვალერიან თევზაძე ორმოცი წელი ცხოვრობდა და მუშაობდა პოლონეთის ქვემო სილეზიის საოლქოლოს ქალაქ ძერჟონიუვში, სადაც გარდაიცვალა კიდევ ღრმად მოხუცებული, 93 წლის ასაკში, 1985 წელს. ანდერძის თანახმად, მის საფლავზე მისი ნამდვილი სახელი და გვარია მითითებული და აწერია ეპიტაფია: „როგორც ქართველი, ვისურვებდი, რომ საქართველოში ვყოფილიყავი დაკრძალული, მაგრამ ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დავიკრძალე გმირი და კეთილშობილი პოლონელი ერის მიწაში“.

1988 წლის მაისში პარიზში გამომაგალ ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა პოლკოვნიკ თევზაძის მიერ პოლონურ ენაზე დაწერილი მემუარები სახელწოდებით „განვლილი გზა“, რომელიც ქართულად თარგმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილმა იუნკერმა, პოლონეთის არმიის კიდევ ერთმა ქართველმა ოფიცერმა ნიკოლოზ მათიკაშვილმა. მემუარები ვალერიან თევზაძის ცხოვრების მხოლოდ ქართულ პერიოდს მოიცავს. 1990 წელს ეს მემუარები სახელწოდებით „ქართველი ოფიცრის ჩანაწერები“ ცალკე წიგნად დაიბეჭდა თბილისში.

პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის მამა, რომელიც პოლონეთის წინააღმდეგობის ფრონტის ოფიცერი იყო, განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებდა პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცრებს, რომლებიც პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ და რომლებთანაც მას განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა. თავად პრეზიდენტ კაჩინსკის ახსოვდა ათეულობით ქართველი ოფიცრის გვარი.

2009 წლის მარტში ძერჟონიუვში გაიხსნა პოლკოვნიკ ვალერიან თევზაძისადმი მიძღვნილი ობელისკი, ხოლო იმ სახლს, სადაც 40 წელი ცხოვრობდა პოლონეთის არმიის ქართველი პოლკოვნიკი, გაუკეთდა მემორიალური დაფა. ყვაილებით შეამკეს თავისუფლებისთვის მებრძოლი პოლკოვნიკის საფლავი ძერჟონიუვში, ხოლო პოლონეთის არმიის ქვედანაყოფებმა სამხედრო ზღაპრით პატივი მიაგეს პოლონეთის ქართველ გმირს.

როდესაც 2011 წლის იანვარში ვროცლავში ვიმეოფებოდი, ჩემმა პოლონელმა მეგობარმა მაჩეი ძიუბანსკიმ, რომელმაც აღმომა-



მაჩეი ძიუბანსკი და იაროსლავ კრესა ვალერიან თევზაძის საფლავთან



ვალერიან თევზაძის საფლავის ქვა ეპიტაფიით

ჩენინა ვალერიან თევზაძე-კრეჭიჟანოვსკი, შემომთავაზა წავსულიყავით ძერჟონიუვში და პატივი მიგვეყო ქართველი და პოლონელი ხალხების საერთო გმირისთვის. ძერჟონიუვში ჩასულებმა პოლკოვნიკ თევზაძისადმი მიძღვნილი ობელისკი ადვილად ვიპოვეთ (მოკრძალვებული ობელისკი იმ შენობის წინ დგას, სადაც ვალერი კრეჭიჟანოვსკი მრავალი წელი მუშაობდა ომის შემდეგ). ობელისკთან სანთლები ავანთეთ და ყვაილები დავდეთ. შემდეგ ვეცადეთ მისი საფლავი გვეპოვა ქალაქის რამდენიმე სასაფლაოზე, მაგრამ ამაოდ. იმ

სახლის შესახებ კი, სადაც პოლკონიკი კრფი-ჯანოვსკი-თევზაძე ორმოცი წელი ცხოვრობდა, მაშინ არაფერი ვიცოდით.

ობელისკთან გადაღებული სურათები „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნე. რამდენიმე ხნის შემდეგ დამიმეგობრდა პოლონელი იაროსლავ კრესა. როგორც აღმოჩნდა, ეს ობელისკი სწორედ იაროსლავ კრესას თაოსნობითა და დასახურებით დაუდგამთ ქალაქში. თურმე მე და იარეკს საერთო მეგობარი გვეყოლია „ფეისბუქზე“. სწორედ მას უთქვამს იარეკისთვის, რომ მისი ინიციატივით დადგმული ობელისკი მოვინახულეთ და პატივი მივაგეთ გმირი პოლკონიკის ხსოვნას. სახლში, კედელზე, ახალგაზრდა ვალერიან თევზაძის სურათი მიკიდიაო, მითხრა მაშინ იარეკმა. როგორც აღმოჩნდა, იარეკის ბაბუაც მონაწილეობდა 1939 წლის სექტემბრის ვარშავის დაცვაში და, იარეკის ვარაუდით, შეიძლება პირადადაც კი იცნობდა პოლკონიკ თევზაძეს.

განსაკუთრებულ დღეებში იაროსლავ კრესა და მისი მეგობრები საგანგებოდ შეკერილ ძველ პოლონურ სამხედრო ფორმებს იცვამენ და საპატიო ყარაულში დგებიან პოლკონიკ თევზაძის ობელისკთან.

მაჩვი ძიუბანსკიმ მითხრა, იაროსლავმა სურვილი გამოთქვა, ძერჟონიუვში თუ კიდევ ჩავალთ, პირადად გაგვეცნოს და გვაჩვენოს პოლკონიკ თევზაძის სახლიცა და საფლავიცო. 2011 წლის სექტემბერში ისევ ჩავედით ვროცლავიდან ძერჟონიუვში. იაროსლავ კრესა მისივე დამსახურებით დადგმული ობელისკის წინ სკვერში გველოდებოდა. იქვე ახლოს იყო მოედანი, რომელსაც „საქართველოს მოედანი“ ეწოდება. ობელისკთან ავანთეთ წითელი და თეთრი სანთლები, დავდეთ წითელი და თეთრი ვარდები და საქართველოსა და პოლონეთის დროშები. ასევე შევამკეთ ქართველი პოლკონიკისა და მისი პოლონელი მეუღლის საფლავები და სახლის ის კუთხე, რომლის კედელზეც მემორიალური დაფაა. სწორედ იაროსლავ კრესასა და მისი მეგობრების დამსახურებაა ისიც, რომ სახლს, რომელშიც ვალერიან თევზაძე ცხოვრობდა, დღეს ამშვენებს მემორიალური დაფა, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ ცხოვრობდა პოლკონიკი ვალერიან თევზაძე (კრფიჯანოვსკი), დაბადებული 1892 წელს საქართველოში და გარდაცვლილი 1985 წელს ძერჟონიუვში, დამოუკიდებელი საქართველოს გენერალური

ქართველი ემიგრანტები პოლონეთში. პირველ რიგში მარცხნიდან მეორე — ვალერიან თევზაძე





იაროსლავ კრესა და მისი მეგობარი სპატიო ფარაულში ობელისკთან

შტაბის ოფიცერი 1918-1921 წლებში, შემდგომში ვოისკო პოლსკეს ოფიცერი, 1939 წლის სექტემბრის ვარშავის დაცვის ჩრდილოეთი სექტორის სარდალი, არმია კრაიოვას მებრძოლი, ვირტუტი მილიტარის ორდენის კავალერი. მემორიალური დაფა ძერჟონიუვის მცხოვრებთა სახელით 2008 წელს გაკეთდა.

იაროსლავ კრესამ მოგვიყვა, რომ სიძველის გამო და იმის გამო, რომ საფლავის შესანარჩუნებლად ფულს არაყინ იხდიდა (თევზაძეს შთამომავლობა არ დარჩენია), ვალერიან თევზაძის საფლავს გაუქმება დამუქრებია და გაუქმდებოდა კიდევ, ისევ იაროსლავსა და მის მეგობრებს რომ არ ემოქმედათ. ახლა ისინი გადასახადსაც იხდიან და საფლავის ქვის გამოცვლაც სურთ – ხელოვნური გრანიტის ქვის მარმარილოთი შეცვლა უნდათ. იაროსლავმა გვაჩვენა აგრეთვე კედლის საათი, რომელიც ვალერიან თევზაძეს ძერჟონიუვის წმინდა ერუჟის (გიორგის) სახელობის კათოლიკური ეკლესიისთვის შეუწირავს.

იაროსლავი და მისი მეგობრები გამოსაცემად აშხადებენ წიგნს, სადაც პოლონურ-ქართული ურთიერთობების შესახებ ცნობები იქნება თავმოყრილი, დაწყებული ბოგდან გრუზინისკიდან. ბოგდან გრუზინისკი გახლდათ

XVII საუკუნეში პოლონეთის მეფის იან კაზიმეჟის ელჩი, წარმოშობით ქართველი, რომელიც, აღმოსავლური და ევროპული ენებისა და სამხედრო საქმის საუკეთესო მცოდნე, პოლონეთის მეფის მუდმივი რეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა ირანის შაჰის კარზე.

იაროსლავმა გვითხრა, რომ სექტემბრის ბოლოს საქართველოში მიდიოდა და თევზაძის სახელთან დაკავშირებული ადგილების მონახულებას აპირებდა. თბილისში მყოფ იარეკს რომ შევხვდი, გულდაწყვეტილი იყო, პოლკოვნიკ თევზაძის ვერც ერთ ნათესავს ვერ მივაგენიო. იარეკი ბათუმშიც ჩავიდა – სწორედ ბათუმიდან გავიდა ის გემი, რომელმაც 1921 წელს სამუდამოდ წაიყვანა საქართველოდან ვალერიან თევზაძე და სხვა ქართველი ემიგრანტები. კომპაქტდისკზე, რომელიც იარეკმა გადმომცა, ჩაწერილია ერთადერთი სიმღერა — „ვარშავა, 1939. პან თევზაძე“, ალბათ ადამ მიცკევიჩის „პან ტადეუშის“ ალუზიით. სიმღერის ტექსტის ავტორი იაროსლავ კრესაა. აი, ასეთი რომანტიკული და ჰეროიკული სულის ხალხია პოლონელები და ასეთი დაფასება იციან თავიანთი არაპოლონური წარმოშობის გმირისა.

ძაითი ტორობაძე



ბალყარები

ისტორიულად დადასტურებულია, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიის განსაზღვრულ მონაკვეთში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სვანები ცხოვრობდნენ...

კავკასიაში ძირძველ კავკასიელებთან ერთად სხვადასხვა წარმომავლობის ეთნოსებიც მკვიდრობენ, მათ შორის თურქულ და ირანულენოვანი ხალხები. ერთ-ერთ თურქულენოვან ეთნოსს ბალყარები წარმოადგენენ, რომლებიც, ბუნებრივია, ისეთივე კავკასიელები არიან, როგორც ისინი, ვისი ეთნოგენეზიც კავკასიაში მოხდა.

ბალყარები ყარაჩაელთა მონათესავე თურქულენოვანი ხალხია, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის მთაში მკვიდრობენ. ბალყარები და ყარაჩაელები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, რომელიც ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ყივჩაღურ ჯგუფში შედის. ყარაჩაელებს ბალყარებისგან იალბუზის მთა ყოფს. XX საუკუნის 90-იან წლებში ყაბარდო-ბალყარეთში 70,8 ათასი ბალყარი ცხოვრობდა, მათი საერთო რაოდენობა კი 80 ათას კაცს აჭარბებდა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ბალყარები თავიანთ თავს ბალყარებს არ უწოდებდნენ. მათი

თვითსახელწოდებაა „თაულუა“, რაც მთიელს ნიშნავს. ბალყართა ლოკალური ჯგუფებია: ბალყარები (მალყარელები), ბიზინგიელები, ხოლაძელები, ჩეგემელები, ურუსბიელები ანუ ბაქსანელები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მალყარელები (ბალყარები) მხოლოდ ჩერეკის ხეობაში მოსახლეებს ეწოდებოდათ. ეს სახელწოდება ამ დროიდან მთელ ხალხზე გაერცვლდა. ქართულ წყაროებში ბალყარები **ბასიანის** სახელით იყვნენ მოხსენიებული.

ბალყარების ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ცენტრალურ ნაწილში დასახლება მოხდა მონღოლთა შემოსევების შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში. კავკასიის მთებში შემოსულ თურქულენოვან ეთნოსს აქ ადგილობრივი უძველესი, კავკასიურენოვანი მოსახლეობა და ირანულენოვანი ალანები შეერწყნენ.

რუსული წყაროები ბალყარებს (ბოლხარებს) პირველად XVII საუკუნეში იხსენიებენ. თუმცა სახელწოდება **ბალყარები** მხო-


ლოდ მდინარე ჩერეკზე მცხოვრებ მოსახლეობას აღნიშნავდა. დასავლეთეუროპულ წყაროებში კი პირველად 1718 წელს მოიხსენიებს მკვლევარი გოტლიბ შობერი **ბალყარ თათრებს**.

ადგილობრივი კავკასიური და ირანულენოვანი ტომების ასიმილირება თურქულენოვანმა ტომებმა XIII-XIV საუკუნეებშივე მოახდინეს. ამის დამადასტურებელია XIV საუკუნის არაბი გეოგრაფის აბულფედის ცნობა, რომელიც აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის აღმოსავლეთით, კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე ცხოვრობენ ალანთა თურქულენოვანი ტომები და მათ გვერდით აგრეთვე თურქული რასისანი, რომლებიც ასეზად იწოდებიან. წყაროებში ისიცაა აღნიშნული, რომ ბალყარეთის ზოგიერთ მხარეში ორ — თურქულ და სონურ ენაზე ლაპარაკობდნენ. გასაოცარია, როდესაც „სონურ“ ენაში რუსი ავტორები ოსურ ენას გულისხმობენ. სონური ენა, რა თქმა უნდა, სვანური მეტყველებაა. ისტორიულად დადასტურებულია, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიის განსაზღვრულ მონაკვეთში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სვანები ცხოვრობდნენ. მაგალითად, კლაპროტი აღნიშნავდა, რომ სოფელი ხულაში დასახლე-



სვანური კოშკი ბალყარეთში

1926 წელს საბჭოთა მთავრობის დაჯავლბით შედგენილი ვაბარდო-ბალყარეთის ეთნიკური რუკის კომპიუტერული რეკონსტრუქცია. მწვანე ფერით მითითებულია ბალყარების განსაზღვლების არეალი





ყარაჩელი და ბალყარი უზუცესები

ბულია სვანური გვარებით, რომლებიც ჯერ კიდევ იმერულად იმოსებთან და თავის თავს სვანებს უწოდებენ. სვანური გვარების მატარებელი მკვიდრობენ არა მარტო აქ (ე.ი. ხულამში), არამედ გაფანტული არიან მუზობელ კაშკატაუში და ექვემდებარებიან ყაბარდოელებსო. აქ მცხოვრები სვანები დროთა განმავლობაში ასიმილირდნენ ბალყარებთან. ბალყარეთში არის გვარი **შვანლარი**, რაც პირდაპირ სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს. არაერთ სხვა ბალყარულ გვარსაც აქვს გად-

მოცემა სვანური წარმომავლობის შესახებ (მაგალითად შეიძლება აბევეები და ედებოლოეები დასახელდნენ). ცნობილია, რომ ბალყარი შახმურზაეების გვარი გუჯეჯიანების გვარიდან მომდინარეობს. დადასტურებულია აგრეთვე რაჭველთა მიგრაციის ფაქტები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ურთიერთობანი ცალმხრივი არ ყოფილა. გვაქვს შემთხვევები ბალყართა სვანეთში მიგრაციისაც.

ამდენად, ბალყარებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ როგორც ქართველ მთიელებთან (სვანებთან, რაჭველებთან), ასევე მუზობელ ხალხებთან, ყაბარდოელებსა და ყარაჩაელებთან.

XIX საუკუნის პირველ მესამედში ბალყარული საზოგადოებები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ 1827 წელს ურუსბაევის, ჩეგემის, ხოლამისა და საკუთრივ ბალყარეთის მმართველებმა მიმართეს იმპერიის ხელისუფლებას, რათა ისინი რუსეთის ქვეშევრდომობაში მიეღოთ, იმ პირობით, რომ შეინარჩუნებდნენ შარიათული სამართლის ძველ წესებს, ისლამის თავისუფლად აღმსარებლობას.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში უძიწო ბალყართა ნაწილი (ყარაჩაელებთან ერთად) ბარში დაასახლეს. ბარში გადასახლების მიუხედავად, XIX საუ-

ბალყართა გადასახლება. თანამედროვე ბალყარი მხატვრის ტილო





საცხოვრისი ვარაჩაი-ბალყარეთში. ნ.სამოქიშის ნახატი

კუნის ბოლოს ბალყარები მიწის სიმცირეს მაინც განიცდიდნენ. მთიელები მარცვლეულს ბარში ყიდულობდნენ, მიდიოდნენ გარე სამუშაოზე.

1921 წელს ბალყართა ოკრუგი მთიელთა ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიყვანეს; 1922 წელს ჩამოყალიბდა ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1936 წელს გადაკეთდა ავტონომიურ რესპუბლიკად. 1944 წელს ბალყარებს საბჭოთა მთავრობამ მოღალატეობაში დასდო ბრალი და შუა აზიასა და ყაზახეთში გადაასახლეს. 1957 წელს მათ სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს და ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აღადგინეს. 1991 წელს ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა გამოცხადდა.

ბალყარები ძველისძველი მეცხოველეები არიან. მესაქონლეობა მათი მეურნეობის წამყვანი ტრადიციული დარგი იყო. მისდევდნენ მეცხვარეობას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას, მეცხენეობას; ჰყავდათ თხები. XVIII საუკუნის ბოლოს მეღორეობა ისლამის გავრცელებასთან ერთად გაქრა. მაისიდან ოქტომბრამდე საქონელს მთის საზაფხულო საძოვრებზე აბალახებდნენ. გვიან შემოდგომაზე კი ყაბარდოს ველის საზამთრო საძოვრებზე მიერეკებოდნენ. ბალყარებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაწილი ბაგურ კვებაზე ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ამტანობითა და გამძლეობით გამოირჩევა ბალყარული ცხენი.

მესაქონლეობასთან ერთად ბალყარები მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, რომელსაც აქ დამხმარე ხასიათი ჰქონდა. სახვნელი ნაკვე-

თები ტერასებზე ჰქონდათ. თესავდნენ ქერს, ზორბალს, შვრიას. ხნავდნენ ხის სახვნელით. ბალყარები არა მხოლოდ სახვნელ მინდვრებს, არამედ სათიბებსაც რწყავდნენ.

შინამრეწველობისა და ხელოსნობიდან აღსანიშნავია ქეჩების, ნაბდების წარმოება, ტყავისა და ხის დამუშავება. ნანადირევი ძეგლის, მგლის, კვერნის ტყავს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებსა და დასავლეთ საქართველოში ჰყიდდნენ. ვაჭრობდნენ თაფლითა და ცვილით. ბალყარები ძირითადად ვაჭრობდნენ ყაბარდოელებთან და დასავლეთ საქართველოს მთიანეთის — სვანეთისა და რაჭის მოსახლეობასთან. ონში გასაყიდად ნაბდები, თეჟა, ყაბალახები გადმოჰქონდათ, რასაც თამბაქოზე, სპილენძის ქვაბებზე, ჭურჭელსა და სხვა საგნებზე ცვლიდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსებისგან კავკასიასა და შავიზღვისპირეთში ძირითადად მარილს იძენდნენ. მოგვიანებით განავითარეს სარძევე მრეწველობა. თავადმა ურუსბაეებმა ბაქსანის მარცხენა ნაპირზე ააშენეს ყველის ქარხანა, სადაც შვეიცარიულ ყველსაც კი ამზადებდნენ.

ბალყარეთში დიდი სოფლები რამდენიმე გვარით იყო დასახლებული. XIX საუკუნის 30-იან წლებში ბალყარულ სოფელში სამუალოდ 130-140 კომლი ითვლებოდა. გვიან მათი რაოდენობა, ბარში გადასახლების გამო, შემცირდა. სოფლების დამფუძნებლებად, ჩვეულებრივ, რამდენიმე გვარს თვლიდნენ. მთის კალთებზე საფეხურებად შეფენილი სოფლების უმეტესობა შეჯგუფებული ტიპისა იყო. გვხვდებოდა ციხეთა ტიპის სოფლები, რომლებსაც ადგილობრივი ზედაფენა ფლობდა. თავდაცვის მიზნით სოფლებში აგებული ჰქონ-



საზეიმო კონცერტი ბალყარი ხალხის აღორძინების დღის აღსანიშნავად

დათ კოშკები, ძირითადად საბრძოლო ხასიათისა. საცხოვრებლისგან განსხვავებით, კოშკებს გათლილი ქვებისგან აშენებდნენ. კოშკები ძირითადად ორი ფორმისა ჰქონდათ — სწორკუთხოვანი (ზედა ჩეგემი) და ზედა ნაწილისკენ დაეწროებული. ასეთი ტიპის კოშკის ზედა ნაწილში, სხვათა შორის, ქრისტიანობის სიმბოლო — ჯვარია გამოსახული. ზოგიერთ სოფელში დღემდე შემორჩენილია საგვარეულო საძვალეები — აკლამები. ბალყართა საცხოვრებლის ტიპები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში იცვლებოდა. ყველაზე ძველ ტიპს წარმოადგენდა ნახევრად მიწისზედა და მიწისზედა ქვის სახლები, ტყით მდიდარ ადგილებში კი — ძელური სახლები.

ბალყარულ სახლში კერას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ის წმინდა ადგილი და ოჯახის ერთობის სიმბოლო იყო. კერასთან ბალყარები სხვადასხვა რიტუალს ასრულებდნენ. ოჯახის უფროსის გარდაცვალებისას, კერაში ცეცხლს აქრობდნენ. შშობლების სახლიდან გასვლამდე პატარძალს აუცილებლად კერისთვის სამჯერ უნდა შემოეფლო. კერის შემურაცხმყოფელი პირი ოჯახის მესისხლედ მიაჩნდათ. თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე საცხოვრებელი ერთკამერიანი იყო; ძველად მისი ზომები 50-100 კვადრატულ მეტრამდე მერყეობდა. საცხოვრებელთანვე ჰქონდათ სამეურნეო ნაგებობები. ორ-სამ ოთახიან სახლში ერთი ოთახი აუცილებლად სასტუმროდ იყო გათვალისწინებული.

ბალყართა ტანსაცმელი სხვა ჩრდილოეთ-

კავკასიელი ხალხების ტანსაცმლისგან თითქმის არ განსხვავდებოდა. ზედა ფენის წარმომადგენელთა გამოსასვლელი სამოსი თეთრი ჩოხა იყო. ბალყარები ატარებდნენ იარაღს, პირველ რიგში, ხანჯალს.

ბალყარები XX საუკუნემდე ერთმანეთსა და სხვა მეზობელ ხალხებს ვიწრო და ციცაბო ბილიკებით უკავშირდებოდნენ.

ბალყართა ძირითადი საკვები რძის პროდუქტი იყო: მაწონი, ყველი, არაჟანი. ყველს ძროხის, ცხვრისა და თხის რძისგან აკეთებდნენ. მარცვლეული კულტურებიდან წამყვანი იყო ქერი, რომლისგან ზდიდდნენ ლუდს. ბევრი ჰქონდათ თაფლი. თაფლის, მოშუშული ფქვილისა და კაკლის ნახავისგან ტრადიციულ ჰალვას ამზადებდნენ. ბალყარებს საკვების არაზომიერად, გადაჭარბებულად მიღება დიდ ნაკლად მიაჩნდათ. სუფრასთან განსაკუთრებულ ეტიკეტს იცავდნენ. პირველ ყოვლისა დიდ პატივისცემას გამოხატავდნენ ოჯახის უფროსისადმი, რომელსაც ახალგაზრდა მამაკაცები ემსახურებოდნენ. ახალგაზრდა მამაკაცთა არყოფნის შემთხვევაში, ოჯახის უფროსს შეიძლება გოგონებიც მომსახურებოდნენ. უფროსი მამაკაცის შემდეგ ჯერ დანარჩენი მამაკაცები შეექცეოდნენ, შემდეგ — ქალები ასაკისა და ოჯახში მდგომარეობის მიხედვით. ბავშვებს ცალკე აჭმევდნენ.

XIX საუკუნის დასაწყისში ბალყარეთში პატრიარქალური ურთიერთობები არსებობდა. ბალყარეთი ერთ მთლიან ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენ-

და. ის ცალკეული საზოგადოებებისგან შედგებოდა. ყოველ საზოგადოებას ერთი ან რამდენიმე დიდგვაროვანი (მიწისა და საქონლის მესაკუთრენი) მართავდა. ბაღყარეთის მმართველები — ტაუბიები XVII საუკუნის რუსულ წყაროებში მოხსენიებული არიან როგორც მურზები, მმართველები, მამასახლისები. ბაღყარების ძირითად ნაწილს თავისუფალი მეთემეები (ყარაკიშები, „შაი ხალხი“), შეადგენდნენ; დამოკიდებულ გლეხებს კი ეწოდებოდა „ჩეგარი“. ლაშქრობის შემდეგ ტყვედ ჩაგარდნილ მონებს („კულ“) ძირითადად საოჯახო მურენებაში ასაქმებდნენ.

XIX საუკუნეში ბაღყარული საზოგადოების ძირითად უჯრედს პატარა ოჯახი შეადგენდა. დიდი ოჯახები იშვიათად იყო. ქალები ემორჩილებოდნენ მამაკაცებს, უმცროსები — უფროსებს. არსებობდა აკრძალვა-უძმრახობის სხვადასხვა სისტემა. რძალს არ შეეძლო სხვათა თანდასწრებით დალაპარაკებოდა დედამთილსა და მამამთილს. მშობლებს არ შეეძლოთ შვილებისადმი სიყვარული აშკარად გამოეხატათ. წარსულში არსებობდა ლევირატის, სორორატის, ქალის მოტაცების ჩვეულება. გავრცელებული იყო სისხლის აღება, ძმად შეფიცვა, გაძიძავება... სოციალურად დაწინაურებულები აღსაზრდელად თავიანთ შვილებს ვასალებსა და გლეხებს აძლევდნენ. თავის მხრივ, ისინი აღსაზრდელად იყვანდნენ ყაბარდოელი და ქართველი (სვანი) თავადების შვილებს. გაძიძავება ძირითადად ნათესაური კავშირების დამყარების, აგრეთვე მფარველობის მიზნით ხდებოდა.

ბაღყარეთში ქორწინება ეგზოგამიური

იყო; ერთი გვარის შიგნით ქორწინება იკრძალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბაღყარები XVIII საუკუნიდან ისლამის მიმდევრები იყვნენ, მათში მრავალცოლიანობა არ გავრცელებულა. ქორწინების საკითხს ოჯახის უფროსი წევვტდა. ბაღყარებმა იცოდნენ ურვადი. საქმრო საცოლის მშობლებს ურვადს (საქონელს, ფულს, სხვადასხვა საგნებს) უგზავნიდა. მემკვიდრეობა მხოლოდ ვაჟიშვილებზე გადადიოდა, ვაჟიშვილების არყოლის შემთხვევაში — უახლოეს ნათესავ მამაკაცებზე. ქორწილის დროს მღეროდნენ საქორწილო სიმღერებს, განსაკუთრებით „უა რაიდას“.

ზედაფენის ისლამიზაცია ბაღყარეთში ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. XVIII საუკუნეში აქ ისლამს ძირითადად დაღესტნელები ქადაგებდნენ. თუმცა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბაღყართა რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანობის, ისლამისა და წარმართობის სინთეზს წარმოადგენდა. ისლამის გავრცელებას თან ახლდა წარმართული და ქრისტიანული ძეგლების განადგურება. XIX საუკუნის პირველ ნახევარში წმინდა გიორგის გამოსახულება შემორჩენილი იყო სოფელ ბიზინგის მახლობლად მდებარე ეკლესიაში. არაერთი პატარა ეკლესია იყო შემორჩენილი ბაღყარისა და ხოლამო-ბიზინგის ხეობებში. ეთაყვანებოდნენ წმინდა ქვებსაც. წმინდა ქვებთან შესაწირი მიჰქონდათ. აქვე ვაჟების სრულწლოვანებასაც აღნიშნავდნენ. თაყვანს სცემდნენ წმინდა ხესაც, რომელსაც სპეციალურად ტრადიციულ ღვეხელს უცხოებდნენ.

როლანდ თოფჩიშვილი

ბაღყარი ხალხის წარმომადგენელთა საპროტესტო აქცია კრემლთან



ამერიკის ინდიელები

ამერიკის კონტინენტი არ მიეკუთვნება დედამიწის იმ ადგილთა რიცხვს, საიდანაც წარმოიშვა კაცობრიობა. შორეულ წარსულში, როცა უძველესი ხალხი სწავლობდა ნადირობას, ცეცხლის მოპოვებას, საცხოვრებლის აშენებას და თანდათან სახლდებოდა აფრიკის, ევროპის, აზიის უსასრულო სივრცეებში, ამერიკის ტყეებსა და სტეპებში მხოლოდ ცხოველები და ფრინველები ბინადრობდნენ.

პირველად ადამიანები ამერიკის კონტინენტზე 25-30 ათასი წლის წინ მოვიდნენ. მაშინ ბერინგის სრუტე არ არსებობდა და აზიას ამერიკასთან სახმელეთო გზა აერთიანებდა — ხალხიც ამ გზით გადავიდა ამერიკაში. როგორც ჩანს, ეს იყო მონადირეთა მცირე ჯგუფი, რომლებიც მიიწვედნენ სამხრეთისკენ. ისინი დაახლოებით 20 ათასი წლის წინათ მექსიკამდე ჩავიდნენ. კიდევ 10 ათასი წლის შემდეგ მიაღწიეს სამხრეთ ამერიკის კონტინენტის დასასრულს.

იქ, სადაც ტუნდრა ესაზღვრება ტყეს, იწყება ინდიელთა სამფლობელოები. ტაპასკებს ეკავათ ჩრდილოეთის ტყეების დასავლეთი ნაწილი, ალგოლკინებს კი აღმოსავლეთი. ერთიც და მეორეც იყოფოდა მრავალრიცხოვან ტომად. ისინი თავს ირჩენდნენ ნადირობით, ფრინველთა რეწვით, მეთევზეობითა და საკვებად ვარგისი მცენარეების შეგროვებით. ჩრდილოეთი ამერიკის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ ზაიდები, ტლინკინები, რომლებმაც შექმნეს მაღალეფექტიანი თევზჭერის მეურნეობა.

მონადირეთა სამოსახლოების სამხრეთით, აშშ-ის დღევანდელი ტერიტორიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ბინადრობდნენ იროკეზები და სხვა ტომები, რომელთა მეურნეობაში ძირითადი მიწათმოქმედება იყო.

ჩრდილოეთი ამერიკის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია სტეპებს — პრერიებს. ამერიკაში



▲ უცნობი ამერიკელი ინდიელი. XIX ს. ფოტო
თანამედროვე ამერიკელი ინდიელი ▼



ევროპელთა გამოჩენამდე პრერიები მცირედ დასახლებული იყო. ინდიელები, ძირითადად, პრერიების განაპირას ცხოვრობდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპელებმა ცხენები შემოიყვანეს, ინდიელებიც დასახლდნენ პრერიების მთელ ტერიტორიაზე. მოგვიანებით ევროპელებმა განდევნეს ინდიელები ნაყოფიერი მიწებიდან დასავლეთის მთიან რაიონებში — რეზერვაციებში, საიდანაც გამოსვლის უფლება არ ეძლეოდათ.

აშშ-ის სამხრეთით, დღევანდელი მექსიკის, გვატემალის, ჰონდურასისა და სალვადორის ტერიტორიებზეც ცხოვრობდნენ ის ინდიელები, რომლებიც კულტურული მცენარეულობის მოყვანას მისდევდნენ. ინდიელებმა, ძირითადად მაიასა და აცტეკის ტომებმა, შექმნეს მაღალგანვითარებული სახელმწიფოები. ისინი აშენებდნენ ქალაქებს, ჰქონდათ თავისებური დამწერლობა და მიწათმოქმედების საუკეთესო გამოცდილება. დიდ და მცირე ანტილის კუნძულებზეც ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური ინდიელები — სიბონეები, გუანახატაბეები და სხვ. ბევრი მათგანი განადგურდა ეპიდემიების შედეგად.

ჩრდილოეთი ამერიკის ინდიელთა ტომების რაოდენობა ძალიან შემცირდა. მათი ნაწილი დღემდე იძულებულია, რეზერვაციებში იცხოვროს, ზოგი ქალაქში გადასახლდა. მაგრამ იქაც ინდიელთა ცხოვრების დონე ბევრად დაბალია, ვიდრე ევროპელი ამერიკელებისა — ინდიელები უფრო ღარიბულად იკვებებიან, იმოსებიან და უარესი საცხოვრებელი პირობები აქვთ.



ბევრი მცენარე — კარტოფილი, სიმინდი, კაკაო, კაუჩუკი — ამერიკიდან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამჟამად მექსიკისა თუ ამერიკის არაერთი ქვეყნის არქიტექტურაში იგრძნობოდა ინდიელთა კულტურის გავლენა. ინდიელები შეადგენენ მექსიკის, გვატემალის, ეკვადორის, პერუს, ბოლივიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

ლია მაჭავარიანი
წოდარ ელიზაბარაშვილი



ერთ-ერთი ტომის
ბელადი. XIX ს.
პორტრეტი



„მშრალი კანონი“ და ალ კაპონე

სოცვა-ქლექა ზმინლა ვალენბინის დლეს

1920 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის რიგით მეთვრამეტე შესწორების თანახმად, სახელმწიფოს მიერ ტერიტორიაზე იკრძალებოდა ალკოჰოლური სასმლის წარმოება და გაყიდვა. იკრძალებოდა აგრეთვე მისი იმპორტიც. ბუნებრივია, ეს მკაცრი შეზღუდვანი, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა ქვეყნის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმლის დაღვევასაც და სწორედ ამიტომ ეს შესწორება „მშრალი კანონის“ სახელით არის ცნობილი.

შეერთებულ შტატებში „მშრალი კანონი“ ძირითადად აღინიშნება ტერმინით Prohibition (პროჰიბიციცია), რაც ქართულად აკრძალვას ნიშნავს. ბუნებრივია, ცალკე სიტყვა „აკრძალვა“ კონტექსტის გარეშე არაფრის მოქმელობა. ინგლისურად აკრძალვა რამდენიმე სინონიმით გამოითქმის და აშშ-ში „პროჰიბიციცია“ სწორედ ალკოჰოლური სასმლის აკრძალვას ნიშნავს.

პროჰიბიციციის უარყოფითი გავლენის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი იყო ორგანიზებულ დანაშაულთა ზრდა. ის სპირტიანი სასმლის არალეგალური დამზადებისა და ვაჭრობის ნიშნად გზე აღმოცენდა. უკანონო ვისკის მწარ-

მოებლები და გამსაღებლები, ე.წ. ბუტლეგერები, ოციან წლებში ამერიკის რისხვად იქცნენ. მათ ბიზნესს ასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. წარმომადგენელთა პალატის პროჰიბიციციის შემსწავლელი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ჯორჯ ს. გრეჰემმა აღნიშნა, რომ ამ კანონმა ათი წლის განმავლობაში 1360 კაცის სიცოცხლე შეიწირა. აქედან 151 მოქალაქე მოკლეს პროჰიბიციციის აგენტებმა, ხოლო 64 აგენტი — მოქალაქეებმა. ერთი წლის განმავლობაში დააპატიმრეს 77 351 კაცი. გრეჰემმა პატიმართა რაოდენობის 4%-ით გაზრდაც პროჰიბიციციას მიაწერა.

ბუტლეგერებმა, თავიანთი საქმიანობიდან



მოლზენა ამერიკულად
„მშრალი კანონის“ მიღების წინ


გამომდინარე, ფანტასტიკურ ზემოგებათა ხარჯზე შექმნეს ის პირველადი კაპიტალი, რომელმაც შემდგომში განაპირობა „კოზანოსტრასა“ და სხვა ანალოგიური დანაშაულებრივი სინდიკატების შექმნა.

ოციანი წლების განგსტერული სტერეო-

ტიპები უმთავრესად იტალიელთა სახელებს გვახსენებს: ალ კაპონე, ტორიო, აპელო მარანცანო და სხვები, მაგრამ ბუტლეგერულ-განგსტერულ ბიზნესში ჯერ ირლანდიელები, შემდეგ კი ებრაელები ლიდერობდნენ. კარგადაა ცნობილი ირლანდიელი ო'ბანიონის, მო-

საავტაციო პოსტერი „დალვეიდან — თვითმკვლელობამდე“





90 წლის წინანდელი მოწოდება „ნულოვანი ტოლერანტობისკენ“

რანის, დონელის, ებრაელი ლანსკის, სიგელის, ცვილმანის სახელები. თუმცა საბოლოოდ მაინც იტალიელთა საეჭვო დიდებამ გადაწონა.

ბუტლერგერთა საქმიანობის საილუსტრაციოდ ყველაზე მეტად, ალბათ, ჩიკაგო გამოდ-

გება. ჩიკაგოელ განგსტერებში დიდი გავლენით სარგებლობდა ვინმე ჯონ ტორიო, რომელმაც „მშრალი კანონის“ მიღებისთანავე „იენოსა“, რომ ვისკის მათრობელა სურნელებას ძალიან დიდი ფულის სუნიც ასდიოდა. ტორიოს ბანდის წევრები არაორაზროვნად მიუთითებდნენ სხვადასხვა არალეგალური რესტორნის მფლობელთ, რომ მათ დიდი უსიამოვნებანი ელოდათ, თუ ვისკის ტორიოს კონკურენტებისგან შეისყიდდნენ. ტორიომ ჩიკაგოში მოიპატიჟა 23 წლის ალფონსო კაპონე იმ პირობით, რომ იგი თანამშრომლობის შემთხვევაში ბუტლერგერული ბიზნესის შემოსავლის ნახევარს მიიღებდა. სულ მალე ახალგაზრდა ნეაპოლელმა ბუტლერგერული ბიზნესი და რეკეტი ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანა.

თავისი საქმიანობის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ კაპონე უკვე 700-კაციან ორგანიზაციას მეთაურობდა.

ოციან წლებში სწორედ ჩიკაგოში იღუპებოდა ყველაზე მეტი ადამიანი. განგსტერთა „საწარმოო დისპუტების“ დაღწევების ყველაზე გავრცელებული ხერხი იყო კონკურენტის დაცხრილვა ავტომობილიდან ან შეტყუება



სპირტიანი სასმელების განადგურება „მშრალი კანონის“ მიღების შემდეგ

მისთვის სანდო მანქანაში და ზურგიდან სროლა. შემდეგ კი ავტომობილს უკაცრიელ ქუჩაში მიაგდებდნენ. თუმცა განგსტერები შესაშური იმპროვიზაციის უნარსაც ავლენდნენ. მაგალითისთვის გავიხსენოთ კაპონეს უმთავრესი კონკურენტის, ო'ბანიონის მკვლელობის ამბავი.

ო'ბანიონს ერთი სენტიმენტალური გატაცება ჰქონდა — ძალიან უყვარდა ყვავილები და თუ ღამდამობით სისხლიან საქმიანობას მისდევდა, დღისით, უცოდველი კრავივით, საკუთარ ყვავილების მაღაზიაში ფუსფუსებდა. ერთ მშვენიერ დღეს ო'ბანიონის მაღაზიას რამდენიმე ელეგანტურად ჩაცმული ჯენტლმენი ესტუმრა. ო'ბანიონს, რომელიც მუდამ სამ პისტოლეტს ატარებდა, ამჯერად თავდაცვის ინსტიქტმა უმტყუნა და გულთბილად ჩამოართვა ორივე ხელი ერთ-ერთ მყიდველს. სწორედ ამ დროს დანარჩენებმა იარაღი იმიშვლეს და საყვავილის ნაზ სურნელებას დენტის სუნი შეერია. ექვსი ტყვიით განგმირული ო'ბანიონის ცოდვილი სული სხეულს გამოეთხოვა და ნაკლებად საგარაუდოა, სამთხისთვის მიეშურებინა. მიცვალებული მეყვავილე-განგსტერის დაკრძალვაზე ჩვეულებრივზე მეტი სამგლოვიარო გვირგვინი იყო, ხოლო ერთ-ერთ უძვირფასეს, ყვავილებით შემკულ გვირგვინს მეტად ლაკონიური წარწერა ამშვენებდა — „ალისგან“. როგორც ჩანს, ო'ბანიონის მეგობრებმა ვერ დააფასეს ალის „კეთილშობილური“ საქციელი და 1926 წლის ერთ დღეს იმ სასტუმროს, რომელშიც ალ კაპონე იმყოფებოდა, რვა ავტომობილი მიადგა. ამჯერად ყვავილების სურნელზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. რვავე მანქანა ქუსდა და გრგვინაუდა. მაგრამ არც კაპონე, რომელიც მკვირცხლად განერთხა რესტორნის იატაკზე და არც სხვა ვინმე არ დაშავებულა.

1929 წლის 14 თებერვალს, როცა მთელი ამერიკა წმინდა ვალენტინის დღეს ზეიმობდა და ყველა ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდა, კაპონეს ბიჭებმა ისეთი საშინელი რამ ჩაიდინეს, რომ ამის შემდეგ ეს დღესასწაული ბევრის ცნობიერებაში უფრო „სიკვდილის ზეიმად“ ჩაიბეჭდა.

ჩიკაგოს ერთ-ერთ გარაჟში კაპონეს კონკურენტები გულარხეინად ელოდნენ ვისკის მორიგ პარტიას, როცა გარაჟს სამი პოლიციელი და ორი სამოქალაქო პირი მიადგა. პოლიციელებმა განგსტერებს ხელების აწევა და კედელთან დადგომა უბრძანეს. განგსტერებ-



პოლიციელების მიერ აღმოჩენილი სპირტიანი სასმელების არალეგალური სახდელი



ზოცვა-ჟლეტა წმინდა ვალენტინის დღეს. ედმუნდ უარდის ნახატი



ზოცვა-ფლეთა წმინდა ვალენტინის დღეს. ფოტო პოლიციის არქივიდან

მა კარგად იცოდნენ, რომ გაჩხრეკის ფორმალური პროცედურის შემდეგ, როგორც ყოველთვის, პოლიციელთა უფროსს განსაზღვრულ თანხას ჩაუჯიბავდნენ და ყველა თავის გზას დაადგებოდა. მაგრამ ამჯერად სხვაგვარად მოხდა. პოლიციელთა ორმა თანამგზავრმა ზურგით მდგომი შვიდივე განგსტერი ავტომატებით დაცხრილა.

ასევე სენსაციური იყო ვინმე ჯეკ ლენგლის მკვლელობა, რომელიც ორმავე ცხოვრებას მისდევდა, ერთსა და იმავე დროს განგსტერებთანაც თანამშრომლობდა და გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ საიდუმლო კორესპონდენტიც იყო. ბუნებრივია, განგსტერებს სულაც არ სჭირდებოდათ ზედმეტი საჯაროობა, მით უმეტეს, ასეთი გავლენიანი გაზეთის ფურცლებზე და ლენგლი დღისით-შნისით, ხალხით გაჭვდილ რეინგების სადგურზე მოკლეს.

1920-იან წლებში ჩიკაგოში განგსტერთა „საქმიანობას“ 500-ზე მეტი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ხოლო პირი, რომელიც უშუალო კავშირში იყო ყოველივე ამასთან, მხოლოდ ერთხელ დააპატიმრეს ფილადელფიაში

იარაღის უკანონო ტარებისთვის (ვინაიდან ფილადელფიაში „არ გაჭრა“ ჩიკაგოში გაცემულმა იარაღის ტარების უფლებამ). აღკვეთილში ციხეში მხოლოდ ერთ წელიწადს დაყო.

სამაგიეროდ, ჩიკაგოში მისტერ კაპონე ნამდვილი უგვირგვინო მეფე გახლდათ. თავის „სახასო“, ან თუ გნებავთ, სატახტო ქალაქში „მისი უდიდებულესობა“ დაჯავშნილი შავი ლიმუზინით დაქროდა და 18 მცველიც დაჰყვებოდა.

მაიამიში კაპონე დიდებულ ვილას ფლობდა, სადაც გულუხვად უმასპინძლებოდა ჩიკაგოელ განგსტერებს და ზოგჯერ ქალაქის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებსაც. სწორედ მათთან ახლო მეგობრობის წყალობით გახდა კაპონე ჩიკაგოს შემოგარენში პატარა ქალაქ სისეიროს ფაქტობრივი მფლობელი, სადაც მერიც მისი კაცი იყო. კაპონეს ჯგუფი ამ ზონაში აზარტული თამაშების ყველა წერტილსა და ბარს აკონტროლებდა. ფედერალური აგენტების გაანგარიშებით, 1927 წლისთვის კაპონემ მარტო ბუტლერეკრულ სარბიელზე 60 მლნ დოლარი მოიპოვა, გარდა ამისა, 25 მილიონი მას აზარტულმა თამაშებმა მოუტანა, 10 მილიონი რეკეტმა და 10 მილიონიც — პროსტიტუციის ბიზნესმა.

კაპონემ რეკეტიც ძალიან დახვეწა და სამართლიანად მიიჩნეოდა ამ საქმიანობის ერთ-ერთ „ნოვატორად“. რეკეტის არსი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ სამრეცხაოთა საქმიანობაში გამოიკვეთა. თავდაპირველად განგსტერები სამრეცხაოს მფლობელს დაცვასა და კონკურენტების ჩამოცილებას „სთავაზობდნენ“, ბუნებრივია, განსაზღვრული გასამრჯელოს ფასად. მაგრამ როგორ უნდა გადაეხადა სამრეცხაოს მფლობელს თავს მოხვეული მეგობრობისთვის საკმაოდ დიდი გასამრჯელო? იგი იძულებული იყო, მომსახურების ფასი აეწია, მაგალითად, 1-დან 1,5 დოლარამდე. ასე რომ, განგსტერები გადასახადს იღებდნენ არა მარტო სამრეცხაოს მფლობელისგან, არამედ, ფაქტობრივად, ყველა იმ მოქალაქისგან, რომელიც ამ სამრეცხაოს მომსახურებით სარგებლობდა. სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვან ასპექტში უპირისპირდება დანაშაულებრივი სამყარო არა ერთეულ ბიზნესმენს, რომელიც, თავისთავად, დასანანი მსხვერპლია, არამედ მთელ საზოგადოებას. სწორედ ეს არის რეკეტის ერთ-ერთი მთავარი სოციალური საშემოქმედება... ჩიკაგოელი განგსტერები, ჩიკაგოს მე-

წარმეთა ასოციაციის მონაცემით, ჯამურად წელიწადში 136 მილიონ დოლარს შოულობდნენ. ე.ი. ჩიკაგოს ყოველი მცხოვრები, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მათ წლიურად დაახლოებით 45 დოლარს უხდიდა. ხოლო თუ ბიზნესმენი გაურჩდებოდა და უარს იტყოდა რეკეტიორთა „დიდსულოვან“ დახმარებაზე, მის სახლსა თუ დაწესებულებას მაშინვე ყუმბარებს დაუშენდნენ. 1920 წელს ჩიკაგოში 50 დაბომბვა აღირიცხა, 1921 წელს — 60, 1922 წელს — 69, 1923 წელს — 55, 1924 წელს — 92, 1925 წელს — 113, 1926 წელს — 89, 1927 წელს — 108, 1928 წელს კი სარეკორდო, 116 დაბომბვა!

ბოროტმოქმედნი არა მარტო საკუთარ მტრებს ხოცავდნენ, ისინი კარგად ირგებდნენ დაქირავებული მკვლელების როლსაც და ერთგვარი პრეისკურანტიც კი გააჩნდათ. მაგალითად, რიგითი მოქალაქის მკვლელობა 50-დან 100 დოლარამდე ღირდა; ჟურნალისტს 1.000 დოლარად მოკლავდნენ; ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მკვლელობისთვის 10 ათას დოლარს მოითხოვდნენ, ხოლო დიდი კორპორაციის პრეზიდენტის მკვლელობა დამკვეთს 50-დან 100 ათას დოლარამდე დაუჯდებოდა.

რაც შეეხება თავად ალ კაპონეს, მანაც არაერთი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა თავისი ბანდის ორ წევრს, რომელთაც ღალატში დასდო ბრალი. კაპონემ ისინი სადილად დაპატიჟა თავისთან და ორივეს თავი ბეისბოლის კეტით გაუჩქჩქა.

პარადოქსია, მაგრამ ალ კაპონეს კეთილი საქმეებიც გაუკეთებია. მიუხედავად კაპონეს ლიდერობისა, ჩიკაგოში სხვა ყაჩაღური ჯგუფებიც მოქმედებდნენ და ერთი ასეთი ბანდა, თავისდა ჭირად, გადაეყარა ტანსაცმლის წმენდის ფირმის პატრონს, ვინმე ჯონ ბეკერს, რომელმაც უარი განაცხადა ზარკის გადახდაზე და გამომძაღველებს სასამართლოში უჩივლა. მაგრამ სასამართლო პროცესზე, განგსტერების შიშით, მისი საკუთარი შვილის გარდა არც ერთი მოწმე არ გამოცხადებულა. როცა ბეკერმა მოსამართლეს ჰკითხა, სხვა მოწმეები სადღა არიანო, მოსამართლემ უხეშად მიუგო, — თუ გინდა წადი და შენ თვითონ მოიყვანეო. ასეთი შესავლის შემდეგ ზედმეტი იყო რამე ობიექტურ განჩინებზე ფიქრი. სამართალში იმედგაცრუებულმა კაცმა დახმარებისთვის კაპონეს მიმართა და მას თავის ფირმასთან თა-



იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი ელიოტ ნესი

ნამშრომლობა შესთავაზა. ალ კაპონე დათანხმდა და კონკურენტების ჩამოცილების მიზნით სასწრაფოდ დასწია მომსახურების ფასი. სიტუაციის ანეკდოტურობა ის იყო, რომ კაპონე, მომსახურების ფასის დაწვეით ბეკერს კი არა, ყველა მის მომხმარებელს დაეხმარა. სხვათა შორის, ისეთი ფაქტებიც არის ცნობილი, როცა თავისი ავტორიტეტის ასამაღლებლად ალ კაპონე ზოგჯერ საქველმოქმედო სადილებსაც კი აფინანსებდა.

თუმცა დასასრული ყველაფერს აქვს. ჩიკაგოში ალ კაპონეს პარპაში უკვე ზოგადეროვნული მასშტაბის სკანდალად იქცა და ძირს უთხრიდა ამერიკელთა რწმენას დემოკრატიული მმართველობის ძლევა-მოსილებაზე. განა ის რა ქვეყანაა, სადაც რამდენიმე ასეულ, თითქმის წერა-კითხვის უცოდინარ დეკლასირებულ ელემენტს უზარმაზარი ქალაქის დატერორება შეუძლია. მრავალი მკვლელობის უშუალო ჩამდენსა და ორგანიზატორის დაპატიმრების ვერაფერითარ საბაბი ვერ გამოუნახეს (გარდა ფოლადელფის ინციდენტისა). საბოლოოდ, ეს რთული ამოცანა იუსტიციის



ალ კაპონეს დაპატიმრება



ფოტო ალ კაპონეს დოსიედან

სამინისტროს თანამშრომელმა ელიოტ ნესმა და საგადასახადო სამმართველოს აგენტმა ფრენკ უილსონმა გადაწყვიტეს. სანამ კაპონე ფილადელფიის ციხეში იმყოფებოდა, უილსონმა მისი ერთ-ერთი სამორინეს საბუღალტრო წიგნი ჩაიგდო ხელთ და აღმოაჩინა, რომ ლეგალური შემოსავლიდან იგი საგადასახადო

ლო სააგენტოს დიდ თანხას უმაღლავდა.

შეერთებულ შტატებში საგადასახადო სააგენტოსგან საკუთარი შემოსავლის რაოდენობის დაფარვა ერთ-ერთ უძვირეს დანაშაულად ითვლება. ამჯერად კაპონე ვეღარ გადაურჩა კანონის ძალას, თუმცა მისდამი წაყენებული ბრალდება ბავშვის თამაში იყო მის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებთან შედარებით. სასამართლო პროცესზე კაპონეს მეგობრებმა თორმეტზე ნაფიცი მსაჯულის მოსყიდვა ან დაშინება მოახერხეს და კაპონე ამჯერადაც არ შეინად გრძნობდა თავს. მაგრამ, მოულოდნელად, მოსამართლემ თორმეტზე მსაჯული შეცვალა და ახალმა მსაჯულებმა იგი დამნაშავედ ცნეს. შედეგად, სასამართლომ მას 11 წლით პატიმრობა, 50 ათასი დოლარი ჯარიმა და სასამართლოს ხარჯების (30 ათასი დოლარი) ანაზღაურება მიუსაჯა. ეს ამბავი ბრწყინვალედ არის ასახული 1987 წელს გადაღებულ გახმაურებულ ფილმში „შეუხებელი“.

სულ მალე, ჩიკაგოს უგვირგვინო მეფე სან-ფრანცისკოს ყურეში, კუნძულზე მდებარე უმკაცრესი რეჟიმის ციხე ალკატრასში აღმოჩნდა. 1939 წელს ათამანგის მძიმე ფორმით დაავადებული ალ კაპონე ციხიდან ვადაზე ადრე გამოუშვეს. შემდგომში იგი აღარ დაბრუნებია ჩვეულ საქმიანობას და მშვიდობიანად ცხოვრობდა მაიამის ვილაში. მით უმეტეს რომ, როგორც ვარაუდობდნენ, მას 5 მლნ დოლარი ჰქონდა გადანახული. 1947 წელს 48 წლის ალ კაპონემ ცოდილი სული უფალს მიაბარა. მართალია, კაპონე გამორჩეული განგსტერი გახლდათ, მაგრამ არა ერთადერთი და ის, რაც ჩიკაგოში ხდებოდა, ამა თუ იმ ფორმით, მრავალ სხვა დიდ ამერიკულ ქალაქშიც მეორდებოდა.

ვასილ კახარავა

ალკატრასის ციხეში
ვევლაზე საშიში დამნაშაუები ისხდნენ



სიკვდილის კონვეიერი

№ 731



ანუ თეთი ხანათებში ბაჟონოზიჩი მხვდელნი

„ჩვენი ცდებით დადგინდა, რომ მსგავს პირობებში ადამიანის გამძლეობა მტრედის გამძლეობის ტოლია. იმ პირობებში, რომელშიც მტრედი იღუპება, იღუპება ადამიანიც“

2011 წლის 2 სექტემბერს შესრულდა 65 წელიწადი მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან. ამერიკულ სამხედრო ზომად „მისურიზე“ ხელი მოეწერა იაპონიის კაპიტულაციას. იაპონელი სამხედრო დამნაშავეები, ისევე როგორც გერმანელი ნაცისტები, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარდგნენ. გერმანელთაგან განსხვავებით, იაპონელ დამნაშავეებს ასამართლებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში და განსხვავებული მიდგომებით. გაიმართა ორი პროცესი. ტოკიოში 1946 წელს 29 აპრილს გაიხსნა სამხედრო ტრიბუნალის სხდომები, ხოლო მოგვიანებით, 1949 წელს უკვე საბჭოთა კავშირში, ქალაქ ხაბაროვსკში

სასამართლოს წინაშე წარდგა 22 იაპონელი უმაღლესი სამხედრო პირი.

ამ ორ პროცესს შორის ბევრი განსხვავებაა. უპირველესად ის, რომ ტოკიოს პროცესის მსვლელობისას ბევრ იაპონელ დამნაშავეს მოუხსნეს ბრალდებები სხვადასხვა მიზეზით. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სასამართლო დევნის შეწყვეტა „სიკვდილის რაზმ № 731-ის“ (ოფიციალურად ეწოდებოდა „კვანტუნის არმიის წყალმომარაგებისა და პროფილაქტიკის სამმართველო“) ხელმძღვანელებისადმი. 1947 წლის 6 მაისს იაპონიაში მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების სარდალი, გენერალი დუგლას მაკარტური

ვაშინგტონს ატყობინებდა, რომ „ბაქტერიოლოგიური იარაღის შესახებ არსებული ინფორმაციის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ამ სახის იარაღის მომზადებაში მონაწილე იაპონიის არმიის არც ერთი თანამშრომელი არ უნდა დაისჯოს, როგორც სამხედრო დამნაშავე“. მართლაც, „სიკვდილის რაზმის“ ხელმძღვანელებმა მიიღეს არა მარტო ხელშეუხებლობის გარანტიები, არამედ ბაქტერიოლოგიური ომის იდეის ერთ-ერთი მხარდამჭერი, იაპონიის იმპერატორის ბიძაშვილი, პრინცი ტაკედა მოგვიანებით იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, ხოლო მისაკი კიტანო თავკაცობდა იაპონიაში უმსხვილეს ფარმაცევტულ კომპანია „მწვანე ჯვარს“, სხვები ხელმძღვანელობდნენ სამედიცინო სკოლებს და მუშაობდნენ იაპონიის ჯანდაცვის სამინისტროში. შირო იშიი კი, სიკვდილის რაზმის ხელმძღვანელი, ხშირი სტუმარი გახლდათ მერილენდისა, სადაც იგი ბიოლოგიური იარაღის სრულყოფაზე მუშაობდა (გარდაიცვალა 1959 წელს, მშვიდ გარემოში).

ამ საკითხებთან დაკავშირებით 1981 წელს ატომისტ მკვლევართა ბიულეტენში გამოქვეყნდა ჯონ ვ. პაუელის სტატია, სადაც დეტალურად იყო აღწერილი 731-ე რაზმის მიერ დადგმული ექსპერიმენტები, რომლებიც არათუ არ განსხვავებოდა იოზეფ მენგელეს მიერ წარმოებული ცდებისგან, არამედ სისასტიკითა და ცინიკურობით აღემატებოდა კიდევ მათ. ამ პუბლიკაციასთან ერთად გამოქვეყნდა ტოკიოს პროცესის მონაწილე მოსამართლე ბ.ვ.ა. როლინგის განცხადება: „საერთაშორისო ტრიბუნალის პროცესებში მონაწილეობა დღემდე მწარედ მახსენდება. დღეს გამოძეურებული მასალები უცნობი იყო ჩვენთვის. აღმაშფოთებელია, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ დაგვიძალა ინფორმაცია იაპონელ სამხედროთა სასტიკ დანაშაულებათა შესახებ“.

რაც შეეხება ხაბაროვსკის პროცესს, აქ განაჩენი თორმეტ სამხედროს გამოუტანეს. ოთხს 25 და 20 წლით, თითო-თითოს კი 12 წლით, 15 წლით, 10 წლით, 3 და 2 წლით პატიმრობა მიესაჯა.

საქმე ეხებოდა კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს: მასობრივი განადგურების (ბაქტერიოლოგიური) იარაღის წარმოებასა და გამოცდას ცოცხალ ადამიანებზე, ასევე მათზე დადგმულ სამედიცინო თუ სხვა სახის ექსპერიმენტებს.



სიკვდილის რაზმის ხელმძღვანელი შირო იშიი



იაპონიის იმპერატორი ჰიროკოიტო. 1928 წ.



„სიკვდილის რაზმ №731“-ის ექიმები ცდებიან ცოცხალ ადამიანებზე აწყობდნენ. ექსპოზიცია მუზეუმში

ეს ხდებოდა მანჯურიის მთებში, ჩინეთის ჩრდილოეთით, სადაც განთავსებული იყო საშინელი „ქარხანა“, რომლის „ნედლეულსაც“ ცოცხალი ადამიანები წარმოადგენდნენ, ხოლო „წარმოებულ პროდუქციას“ კაცობრიობის განადგურება რამდენიმე თვეში შეეძლო.

ყველაფერი 1926 წელს დაიწყო, როცა იაპონიის ტახტზე იმპერატორი ჰიროჰიტო ავიდა. მან თავისი მმართველობის ხანას უწოდა „შიოუა“ („განათლებული სამყაროს ეპოქა“). ჰიროჰიტო განათლებით ბიოლოგი იყო და მიიჩნევდა, რომ მეცნიერება ყოველთვის მკვლელთა საუკეთესო მეგობრად ითვლებოდა: „მეცნიერების მიღწევებს შეუძლია ერთბაშად, უმოკლეს ვადაში მოსპოს ათასობით, ათიათასობით, ასიათასობით და მილიონებით ადამიანიც კი“. მისი რწმენით, ბიოლოგიურ იარაღს შეუძლია შეასრულოს ეს მისია და მას (იმპერატორს), ქალღმერთ ამატერასუს ჩამომავალს, მოუტანოს მსოფლიო ბატონობა.

იმპერატორის იდეების დანერგვას მაშინვე შეუდგნენ და 1930-იანი წლების დასაწყისში სამხედრო უწყების დაჯარვებით პოლკოვნიკი, ბიოლოგი შირო იშიი გაემგზავრა ევროპაში ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების დასათვალისწინებლად, გამოცდილების გასაზიარებლად. მოგზაურობის ანგარიშში იგი ირ-

წმუნებოდა, რომ ამ სახის იარაღს სამხედრო თვალსაზრისით დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო:

„სართილერიო ჭურვებისგან განსხვავებით, ბაქტერიოლოგიურ იარაღს არ ძალუძს მოწინააღმდეგეების ცოცხალი ძალის ერთბაშად მოსპობა. იგი ნელა, წამებით კლავს მსხვერპლს. ჭურვების წარმოებაც არ არის აუცილებელი. საკმარისია ბაქტერიებით გაჯღენილი ტანსაცმელი, კოსმეტიკა, საკვები პროდუქტები და სასმელი. შეიძლება ბაქტერიები უბრალოდ მიმოაფრქვიო ჰაერში. დაე, ნუ იქნება პირველი შეტევა მასირებული. ბაქტერიები თავის საქმეს მაინც გააკეთებენ – გამრავლებიან და სამიზნეს დააზიანებენ“.

ამ მოხსენების შემდეგ სამხედრო უწყებამ დიდძალი თანხა გამოყო ბაქტერიოლოგიური იარაღის შემუშავებისა და წარმოებისთვის სპეციალური კომპლექსების შესაქმნელად. სწორედ ამგვარ კომპლექსთაგან ყველაზე ცნობილია „რაზმი № 731“.

გადაწყდა, რომ საიდუმლოების უკეთ შესანახად და უსაფრთხოებისთვის რაზმი იაპონიის გარეთ განეთავსებინათ. ამ მიზნით მანჯურია შეარჩიეს. ამ ტერიტორიაზე მაშინ იაპონელთა პროტექტორატი ზონციელდებოდა. მანჯოუ-ეოს მთავრობამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია იაპონელთა სურვილებს. ამ გადაწყვე-



ერთ-ერთი „ექსპერიმენტის“ მსხვერპლი



„სიკვდილის რაზმ №731“-ის ლაბორატორია

ტილების მიღების მთავარი მიზეზი „ნედლეულის სიაფე“ და სიმრავლე იყო. ადამიანებს, რომელთაც ექსპერიმენტებისთვის იყენებდნენ, „მორებს“ (იაპონურად მარუტა) ეძახდნენ.

1936 წელს მანჯურიის სოფელ პინფანთან დაიწყო „სიკვდილის ქარხნის“ მშენებლობა. კომპლექსი გაშენებული იყო ექვს კვადრატულ კილომეტრზე, შედგებოდა 150 ნაგებობისგან. შენობები მკვიდრად ნაგები იყო. კომპლექსში შედიოდა სხვადასხვა „სააქრო“: 4500 კონტეინერი შავი ჭირის გადამტანი ტილების მოსაშენებლად, ექვსი დიდი ქვაბი სხვადასხვა სახის ქიმიური ნივთიერების და 1800 კონტეინერი — ბიოლოგიური ნივთიერებების დასამზადებლად. კომპლექსის ცენტრში მოჩანდა დიდი მილი. რაზმის ერთ-ერთი წევრი იგონებს:

„ცენტრში მდებარე შენობის აღმოსავლეთ მხარეს ჩანდა დიდი მილი, საიდანაც შავი ბოლი ამოდიოდა. სიცოცხლეში პირველად ვნახე ასეთი დიდი მილი“. ამ „სააქროში“ კრემატორიუმი იყო განთავსებული.

დღეს ამ „ქარხნის“ ტერიტორიაზე მუზეუმი, ხოლო ზოგიერთ შენობას ჯერ კიდევ იყენებენ სხვადასხვა (ძირითადად სამრეწველო) დანიშნულებით.

რაზმის ძირითადი პერსონალი დაკომპლექტდა იაპონიის პრესტიჟული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთაგან, დამხმარე პერსონალი კი საშუალო და ოთხკლასდამთავრებულებს შორის შეირჩა. ანაზღაურება საკმაოდ მაღალი გახლდათ.

„სიკვდილის ქარხანაში“ კვლევა სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა: ვირუსოლოგია; მწერების; შავი ჭირის; ცდები მომწამლველ აირებზე; დაბალი ტემპერატურის პირობებში ადამიანთა სხეულის ცვლილებებზე დაკვირვება; დიზენტერიის გამოკვლევა; ქოლერის გამოკვლევა; პათოგენების (ავადმყოფობის წარმოშობისა და განვითარების თანამიმდევრობა); ტიფის; ტუბერკულოზის კვლევა; ფარმაკოლოგიური კვლევები; რენტგენით დასხივება; სისხლის პლასმის; მცენარეების; ბაქტერიოლოგიური ჭურჭლების დამზადება; ბაქტერიების გამოყვანა...

შირო იშიი განსაკუთრებული ყურადღებით იკვლევდა შავი ჭირის ბაქტერიებს (კვლევაძიებას პირველი განყოფილება წარმართავდა). მეორე მსოფლიო ომის მიწურულისთვის მან ვირულენტურობით შეძლო ამ დაავადების ჩვეულებრივზე 60-ჯერ ძლიერი შტამის შექმნა.

ექსპერიმენტები ასე მიმდინარეობდა: „სატუსალოში“ ჰქონდათ იმ ზომის ცხაურები, რომ ტყვეებს განძრევა არ შეეძლოთ. „ზოგადად „მორს“ ადამიანად კი არა, პირუტყვადაც არ ვთვლიდით, — იხსენებს რაზმის ერთ-ერთი წევრი, — თანამშრომელთა შორის იშვიათად თუ ვინმეს შეეცოდებოდა იგი“. „მორები“ (ძირითადად მათ ჯამშუშებდნენ იხსენიებენ) უნდა ყოფილიყვნენ ფიზიკურად ჯანმრთელი. შემდეგ მსხვერპლის ორგანიზმში შეჰყავდათ ბაქტერიებით დასნებოვნებული ხსნარი და განსაზღვრული დროის განმავლობაში ვირუსის განვითარებას აკვირდებოდნენ. დაავადების ნიშნების აღმოჩენის შემდეგ პაციენტს გამაყუჩებლის გარეშე კვებდნენ და ცოცხლად აკვირდებოდნენ მის ცალკეულ

ორგანოებს. პაციენტების უმეტესობა იღუპებოდა. გვამს, სპეციალური კარბოლიუმის ხსნარით დამუშავების შემდეგ, კრემატორიუმში წვედენენ.

ზოგიერთი პაციენტი დაავადებას უძლებდა. ამ შემთხვევაში მას მორაჩენდნენ და სხვა ექსპერიმენტისთვის იყენებდნენ. ერთი სიტყვით, „მორი“ „ქარხნიდან“ ცოცხალი ვერ გამოდიოდა.

შედარებით „უმართლებდათ“ იმათ, ვინც გაზის გამოცდისას მაშინვე იღუპებოდა. „წყალბადის ციანიდით გაგუღულებს სახე მუქი წითელი ფერისა ჰქონდათ, – გვიამბობს ერთ-ერთი მოსამსახურე, – იმას, ვინც აირით იწამლებოდა, მთელი ტანი ისე ჰქონდა დამწვარი, შებუდვის შეგემინდებოდა“.

ექსპერიმენტების „დადებითი შედეგების“ განხილვის შემდგომ, იაპონელებმა დაიწყეს ბაქტერიოლოგიური იარაღის სხვადასხვა სახით (ჭურვები, სათამაშოები, საკვები...) დამზადება. ამ იარაღის გამოყენებას გეგმავდნენ აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ: 1944 წელს აშშ-ის წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღი უნდა გამოყენებინათ. იგეგმებოდა იაპონური წყალქვეშა ნაუბით აშშ-ის სანაპიროსთან მიახლოება და სან-დიეგოს ცაზე შავი ჭირის მატარებელი ბუზების გაშვება. ამ მიზნით შექმნეს კერამიკული ჭურვების ნიმუშები, მაგრამ საბედნიეროდ, ოპერაცია ჩაიშალა. იაპონიას არ აღმოაჩნდა საკმარისი რაოდენობის წყალქვეშა ნაუბი, ხოლო საჰაერო ბურთებითა და დირიჟაბლებით ჩანაცვლების იდეას მხარი არ დაუჭირეს. პრე-

მიერ-მინისტრ ტოძეს მკვეთრმა პოზიციამ იხსნა აშშ, უფრო კი იაპონია სრული კატასტროფისგან.

მოგვიანებით, გამოძიების შედეგებით გახდა ცნობილი, რომ „რაზმი №731“ მხოლოდ ბაქტერიოლოგიურ და გაზის იარაღს კი არ აწარმოებდა, არამედ იაპონელი მეცნიერები დგამდნენ სამედიცინო ექსპერიმენტებს „გამძლეობაზე“. „ჩვენი ცდებით დადგინდა, რომ მსგავს პირობებში ადამიანის გამძლეობა მტრედის გამძლეობის ტოლია. იმ პირობებში, რომელშიც მტრედი იღუპება, იღუპება ადამიანიც“, – იგონებს ერთ-ერთი სტაჟიორი.

ცდებისას მონაწილეები გაჰყავდათ ღამით ცივ ამინდში, როცა ჰაერის ტემპერატურა მინუს 20 გრადუსზე დაბლა იყო და ცივი წყლით სავსე კასრში ხელებსა და ფეხებს აყოფინებდნენ. შემდეგ კიდურებისკენ ხელოვნურ ჰაერის ჭავლს იქამდე მიმართავდნენ, ვიდრე არ მოეყინებოდათ. მოყინულობის ხარისხის შესამოწმებლად ჯოხით უკაკუნებდნენ თითებზე. შემდეგ მოყინულ კიდურებს აყოფინებდნენ სხვადასხვა ტემპერატურის წყალში და მისი ცვალებადობით აკვირდებოდნენ, როგორ კვდებოდა კუნთოვანი ქსოვილი. ასეთ ექსპერიმენტში სამი დღის ბავშვიც გამოუყენებიათ. ჩვილს ხელი რომ არ მოეკუმშა, შუა თითში ნემსი ჩაარჭვეს.

ხანგრძლივი კვლევის შედეგად მოყინვის საწინააღმდეგო საშუალება ვერ აღმოაჩინეს. მხოლოდ დადგინდა, რომ საუკეთესო საშუალება მაინც პაციენტის ცივ აბაზანაში ჩასმა იყო.





*იაპონელთა შეჯავშნული
კოლონა მანჯურიაში*

ექსპერიმენტი ეწყობოდა ადამიანის ორგანიზმის გაუწყლოვნებაზე: ამისთვის ადამიანებს დაბალი ტენიანობის ცხელ ოთახში ათავსებდნენ. ტექნერატურის მატებასთან ერთად, ადამიანი უფრო და უფრო ოფლიანობდა. მას არ ასმევდნენ წყალს, ვიდრე მთლიანად არ „გამოშრებოდა“ და მუშიად არ იქცეოდა. ამის შემდეგ სხეულს აწონიდნენ. ცდების შედეგად დადგინდა, რომ წყალი შეადგენს ადამიანის ორგანიზმის 78%-ს.

საიმპერატორო საპაერო ძალების შეკვეთით, ექსპერიმენტები ეწყობოდა დიდ სიმადლეებზე ადამიანის გამძლეობის ზღვრის დასადგენად. თვითმხილველი მოგვითხრობს: „ვაკუუმის ბაროკამერაში მოათავსებდნენ ადამიანს, საიდანაც ნელ-ნელა ამოტუმბავდნენ ჰაერს. გარეთა და შინაგან წნევებს შორის სხვაობის ზრდის კვალობაზე, მსხვერპლს თვალები გადმოკარკლებოდა, შემდეგ სახე გაუსივდებოდა, სისხლძარღვები გველის სიმსხო გაუხდებოდა, ხოლო სწორი ნაწლავი ცოცხალი არსებასავით გარეთ გამოდიოდა. ბოლოს ადამიანი უბრალოდ სკდებოდა“.

„რაზმ №731-ის“ ექსპერიმენტები ცინიზმითაც გამოირჩეოდა. ცდები ეწყობოდა უბრალო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. მსხვერპლს ორგანიზმიდან ამოაჭრიდნენ სხვადასხვა ორგანოს, აჭრიდნენ ხელებსა და ფეხებს, რომელთაც მამინვე აკერებდნენ,

ან ცვლიდნენ მარჯვენასა და მარცხენას და ისე აკერებდნენ. ადამიანის ორგანიზმში უშვებდნენ ცხენისა და მაიმუნის სისხლს, ძლიერი დასხივების ქვეშ ამყოფებდნენ დიდხანს, უდუღრავენ სხეულის სხვადასხვა ნაწილს, ამოწმებდნენ დენის მოქმედებაზე. 2007 წელს ექიმი კენ იუასა „ჯაპან ტაიმსისთვის“ მცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა: „ჩემი პირველი ვივისექციის (ცოცხალი ორგანიზმის გაკვეთა ორგანოთა შესწავლის მიზნით. — გ. ჟ.) შემდეგ ძლიერ შევიინდი. მეორეზე უკვე ნაკლებად მეშინოდა და მზად ვიყავი მესამისთვის“.

ამ მოგონებებს ამჟღავნებს თვითმხილველის ჩანაწერები: „1943 წელს რაზმში მოიყვანეს ჩინელი ბავშვი. იგი შეიყვანეს საოპერაციოში. გააშიშვლეს და საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს. სახეზე ქლოროფორმით (სადილე საშუალება. — გ. ჟ.) გაუღენთილი ნიღაბი გაუკეთეს. ბავშვს მალე ჩაეძინა. ექიმები საქმეს შეუდგნენ: სხეული სპირტით დაუზილეს. ერთ-ერთი ექიმი დასწვდა სკალპელს, მიუახლოვდა ბავშვს და მკერდზე Y-ს ფორმის იარაგაუკეთა. საქმეში რამდენიმე სხვა ექიმიც ჩაერთო. მათ სათითაოდ ამოაცალეს ორგანოები, რომლებსაც ფორმალინის ხსნარით საესე მინის ჭურჭლებში ათავსებდნენ. გაკვეთიდან მცირე ხანში ბავშვს ყველა ორგანო ამოაცალეს, ხელშეუხებელი მხოლოდ თავის ქალა

რჩებოდა. ერთ-ერთმა ექიმმა ერთი ყურიდან მეორემდე სკალპურით კანი გადახსნა და შემდეგ ელექტროზერხით თავის ქალაც გაჭრეს, ამოიღეს ტვინი და ჭურჭელში მოათავსეს. მცირე ხნის წინ საოპერაციო მაგიდაზე ბავშვი იწვა, ახლა კი სხეულის ცალკეული ფრაგმენტებიდა დარჩენილიყო“.

ამ ექსპერიმენტების შედეგად, უხეში გამოთვლით, 10 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, თუმცა ეს არ არის სრული ციფრი. რადგან ექსპერიმენტები ვრცელდებოდა მთელ რიგ სოფლებზეც. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ მსხვერპლი 300 ათასამდე იქნებოდა. აი, რას მოგვითხრობენ თვითმხილველები და რაზმის წევრები:

„1940 წლის ოქტომბერში, — გვიამბობს ჩინელი ვუ ში-გენი, რომელიც ამ ამბების დროს 11 წლის ყმაწვილი იყო და შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, — სოფელს მოულოდნელად გადაუფრინეს იაპონურმა თვითმფრინ-

ნავეებმა, საიდანაც უცნაური ბომბები ჩამოყარეს. ეს ბომბები არ აფეთქებულა. უბრალოდ, კვერცხებივით გასკდა, საიდანაც ბრინჯის, ხორბლისა და ტილების უცნაური ნაზავი გადმოიყარა.

რამდენიმე დღეში სოფელში სიკვდილიანობა დაიწყო (ვუს ერთ-ერთი ძმაც დაიღუპა). სულ მალე გამოჩნდნენ თეთრხალათიანი იაპონელი სანიტრები, თითქოს ეპიდემიასთან საბრძოლველად. სინამდვილეში კი მათ აიღეს სინჯები და გაუჩინარდნენ“.

ამ სოფელს სხვასთან შედარებით „გაუმართლა“ — იგი არ გადაუწვავთ.

ნაკლებად უმართლებდათ რაზმის უშუალო მეზობლად განთავსებულ სოფლებს. ერთ-ერთი სტაჟიორის მონათხრობიდან:

„ერთხელ გვიჩვენეს დოკუმენტური ფილმი ჭირის ბაცილების პრაქტიკული გამოყენების შესახებ. გადაღებული იყო სპეციალური დივერსიული რაზმის მოქმედება „მტრის ღრმა

საბჭოთა ჯარისკაცები მანჯურიაში. 1945 წ.



ზურგში“ (ჩინურ სოფელში). კალათებში ცალ-ცალკე გამოყოფილ სათავეებში ჰყავდათ დატილიანებული დაავადებული ვირთხები, რომლებიც სოფელში გაუშვეს. დაავადების გასავრცელებლად გამოიყენებოდა ვირთხაცა და ტილიც, ასევე ბუხები და სხვა მწერები.

ფილმში ნაჩვენებია, როგორ აწვდიან დივერსანტები ბავშვებს დასნებოვნებულ ტკბილულს...

ყველა სოფელი, სადაც ასეთი ჯგუფები მოქმედებდნენ და გავრცელდა ჭირი, გადაწვეს ვითომ ინფექციისგან თავის დასაღწევად. სინამდვილეში კი ეს კვალის დასაფარავად მოხდა“.

1945 წლის ზაფხულისთვის ამ სასიკვდილო პროექტის ისეთი მარაგი დაგროვდა, რომ რამდენიმე თვეში მსოფლიოს განადგურება შეეძლო. ამ დროისთვის „ქარხნის“ საწარმოო სიმძლავრემ წელიწადში 300 კილოგრამი (დაახლოებით 30 000 000 მლრდ ბაქტერია) სასიკვდილო ნივთიერების დაშლას მიადგინა.

სიკვდილის კონვეიერის საქმიანობა მას შემდეგ შეწყდა, რაც 1945 წლის 9 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა იაპონიას. სწორედ საბჭოთა ჯარების მოქმედების ზონაში აღმოჩნდა „სიკვდილის ქარხანა“. ამ ქარხნის ევაკუაცია 10-11 აგვისტოს დაიწყო. საჭირო გახდა „მაკომპრომეტებული მასალების“

– ცოცხალი ადამიანების, შენობების, მომწამლავი ნივთიერებების მოსპობა. საიდუმლოდ შენახვის მიზნით, თანამშრომლებს კალიუმის ციანიდინი ამპულები დაურიგეს, ხოლო შიშით იშიმამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო: „ოფიცრობო და ჯარისკაცობო, ახალი გზა გველის. არ იფიქროთ, რომ იაპონიის იმპერია დამარცხდა. შენაერთი დაშლილია, მაგრამ ჩვენი შრომის ნაყოფი მომავალში გამოვლინდება.“

ვებძანებ: 1. ერთიმეორესთან კავშირი არ იქონიოთ; 2. შენაერთის წევრობის შესახებ ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახეთ; 3. სახელმწიფო სამსახურზე უარი თქვით. ამ პუნქტების შესრულებით ჩვენ კიდევ შევიტანთ წვლილს ჩვენი ქვეყნის მედიცინის განვითარებაში“.

„სასიკვდილო კონვეიერის“ მონაწილეთა უმეტესობა ფიცის ერთგული დარჩა თითქმის სიცოცხლის ბოლომდე და ჟურნალისტებს ან სხვა დამოუკიდებელ პირებს, ვინც იძიებდა ამ რაზმის ისტორიას, ძალიან უჭირდათ მათთან კონტაქტი და ინფორმაციის მოპოვება. ბოლო დროს კი გაიმართა არაერთი სასამართლო პროცესი, საპროტესტო აქცია. ხალხი ითხოვს ამ რაზმის საქმიანობის შესახებ სრულ ინფორმაციას, რათა მომავალში მსგავსი დანაშაული აღარავინ ჩაიდინოს.

ბიოგრაფიული ჟურნალი

„სიკვდილის რაზმ №731“-ის მსხვერპლთა მხარდასაჭერი აქცია





მახეი დასო

„ზესიური“ მაგნატი

ვენევის საქმიანი ავიაციის სალონზე, 2008 წლის მაისში ფრანგულმა კომპანია Dassault Aviation-მა ევროპის უმსხვილეს ავიაგადაშვიდ ფირმა NetJets Europe-სთან ხელი მოაწერა კონტრაქტს ოცი თვითმფრინავის — Falcon 2000 LX-ის მიყიდვაზე. ვარიეტების საერთო თანხა \$720 მილიონი იყო, თუმცა აპარატების შემდგომი მომსახურების გათვალისწინებით, იმ საქმიდან დასოს ოჯახის შემოსავალი მილიარდს აჭარბებს. ბიზნესავიაციის სფეროში ეს ერთ-ერთი უმსხვილესი ვარიეტება გახლდათ. Dassault Aviation-ის ეს წარმატება კანონზომიერი იყო. წინა მოდელისგან განსხვავებით, Falcon-ის „შევარდენს“ განსაკუთრებული თვისებები აქვს და დაშვების გარეშე 8900 კილომეტრის დაფარვა შეუძლია.

ოჯახური კომპანიის „რეინის ჩიტები“ სულ უფრო მაღლა ფრენენ. ბიზნესის ფუქემდეგელ მარსელ დასოს ვაჟი სერჟი, ცხრამილიარდიანი ქონებით, ფულს არა მარტო ბიზნესავიაციითა და საბრძოლო თვითმფრინავებით შოულობს — ფრანგული ბიზნესის პატრიარქი მედიამაგნატიც გახლავთ.

პატრიარქის ზეცა

„ადამიანი ფრენას საფრანგეთს უნდა უმაღლოდეს“, — წერია პარიზის ცენტრალური ავიაკლუბის პლაკატზე, ტრიუმფალური თადის ახლოს. იქვეა საფრანგეთის გამოჩენილ ავიაკონსტრუქტორთა და მფრინავთა პორტრეტები. ამ უღვაშიან, ტყავის მუხარადიან მუშეკეტორთა გუნდში ერთგვარი

დისონანსი შეაქვს ხანდაზმული მამაკაცის ფერმკრთალ სახეს, ბუღალტრის სათვალითა და უბრალო შლაპით...

17 წლის მოშე ბლოხი თვალს ვერ წყვეტდა მარსის ველზე, წაბლის კორმის თავზე მოღვივლივე ძმები რაიტების აეროპლანს. ოდესელი ემიგრანტის ვაჟმა მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ეფრინა. მაგრამ

როგორ? — ამაში ახლომხედველობა უეჭველად შეუშლიდა ხელს. მაშინ, აეროპლანების შექმნით! და მოშე მსოფლიოში პირველი საავიაციო უმაღლესი სასწავლებლის, პარიზის აერონავიგაციის უმაღლესი სკოლის სტუდენტი გახდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას კი მოშე ბლოხი, აწ უკვე ფრანგულ ყაიდაზე გადაკეთებული სახელით — მარსელ ბლოკი, ავიაციის სამყაროში ავტორიტეტი შეიქნა. მისი დაპატენტებული საჰაერო ხრახნი Eclair-ი კომპანია Caudron-მა იყიდა, რომელმაც ავიამანადგურებლების სერიული წარმოება ააწყო. დიდწილად სწორედ მათი წყალობით მოიპოვა ანტანტამ გერმანიასთან სამხედრო უპირატესობა.

1918 წელს მარსელ ბლოკმა ანრი პოტეზთან ერთად ორადგილიანი გამანადგურებელი SEA-4, 1928 წელს კი ლუი ბრელიოსთან ერთად — ბომბდამშენი MB-60 ააგო.

1930 წელს შეიქმნა ფირმა Avions Marsel Bloch-ი, რომელსაც მოგვიანებით ხელისუფლებაში მოსულმა მემარცხენეებმა ნაციონალიზაცია უყვეს. მუსიე ბლოკმა გვარიანი საგირავნო მიიღო, ავიაკონსტრუქტორობასაც განაგრძობდა და სახელმწიფო კომპანიასაც ხელმძღვანელობდა.

მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეთა ავიაციის საგრძნობ ნაწილს სწორედ მარსელ ბლოკის კონსტრუირებული გამანადგურებლები შეადგენდა, რომლებიც გერმანულ „მესერ-შიმდტებს“ ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ მუსიე ბლოკი დააპატიმრეს და გერმანელებს გადასცეს, რომელთაც მას გერმანულ ავიაფირმებში მუშაობა შესთავაზეს, მაგრამ ტანდაბალი კონსტრუქტორის პასუხი შეუვალი იყო — „ნაინ“.

მარსელს სხვაგვარად არ შეეძლო. მისი ვაჟი, სერჟი, წინააღმდეგობის არმიაში იბრძოდა, დე გოლის მხარდამხარ იბრძოდა მისი ძმა პოლ დარიუს ბლოკიც, წარსულში ფრანგული არმიის გენერალი. იგი წინააღმდეგობის რიგებში ცნობილი იყო მეტსახელით დასო, რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მოიერიში“. სწორედ ეს საფრონტო მეტსახელი იქცა მომავალში მტერთან შეურიგებელი სახელოვანი ოჯახის გვარად.

კოლაბორაციონისტობაზე უარის თქმის შემდეგ, მარსელს ბუხენვალდში უკრეს თავი, სადაც ავიაკონსტრუქტორმა ნამდვილი „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ გაიარა და გადარჩა. ომის



„დასო“ წარმოების ბომბდამშენი Rafale („რაფალი“)

დამთავრების შემდეგ, თითქმის დაბრმავებული და ნაადრევად დაბერებული, პარიზში დაბრუნდა, სადაც მისი ძმა სამხედრო გუბერნატორი იყო.

ოფიციალურად მარსელ დასოდ ქცეული, ჯანგატეხილი ავიაკონსტრუქტორი, 1949 წელს ინსულტმა მთლად დაადამბლა. მაგრამ მოხდა სასწაული — უიმედო ავადმყოფი ფეხზეც დადგა და მეტყველებაც აღუდგა. მან საკუთარი ფირმა შექმნა, ამჯერად Das-sault-ის სახელწოდებით.



მარსელ დასოს ხელმძღვანელობით თვითმფრინავთა 90-ზე მეტი მოდელი შეიქმნა, მათ შორის ზებეგერითი გამანადგურებელი „მირაჟი“. სწორედ **Mirage-3** დაეხმარა ისრაელს 1967 წლის ექვსდღიან ომში გამარჯვებაში.

განსაკუთრებულმა ალლომ ავიამშენებელს ბიზნესმენებისთვის მომცრო ლაინერების შექმნა უკარნახა. პირველი იყო **Falcon-20**. მისი წყალობით ფრანგებმა ამერიკული ბიზნესავიაციის ბაზარი დაიპყრეს.

მარსელ დასოს საქმე მისმა ვაჟმა სერჟმა განაგრძო. სწორედ მამა-შვილი დასო გამოიყვანა ფილიპ ლაბრომ ცნობილ ფილმში „მემკვიდრე“ ჟან-პოლ ბელმონდოს მონაწილეობით.

ფეტრის ქუდსა და ზამთარ-ზაფხულ თბილ პალტოში გამოწყობილი (დამბლის შემდეგ დასოს მუდამ სციოდა) ყოვლისშემძლე მოხუცი და მისი ვაჟი — მედესანტე და სამხედრო მფრინავი, უკვე მასმედიის მეფობაზე ოცნებობდნენ.



მარსელ დასო

მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეთა ავიაციის საგრძნობ ნაწილს სწორედ მარსელ ბლოკის კონსტრუირებული გამანადგურებლები შეადგენდა, რომლებიც გერმანულ „მესერშმიდტებს“ ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ

არწივად ქცეული შვივარდნი

1986 წელს 95 წლის მარსელ დასო მარადიულ სამყაროში გადავიდა. გამოსათხოვარ ცერემონიაზე სენის თავზე ზეცა „მირაჟთა“ სამგლოვიარო კორტეჟმა დასერა. ვერცხლისფერი ფრთოსნები თავიანთ შემქმნელს ემშვიდობებოდნენ...

დღეისთვის დასოს ოჯახი 11 მილიარდამდე დოლარის მფლობელია. სერჟ დასო კი მსოფლიოს 100 უმდიდრეს ადამიანთა სიაში 96-ე ადგილზეა \$9,3 მილიარდიანი ქონებით. ამ საუნჯის მთავარი მარგალიტი კი ფირმა Groupe Industriel Marsel Dassault-ა, იგივე GIMD. ეს კომპანია უშვებს გამანადგურებელ Mirage-ს, ბომბდამშენ Rafale-სა და ბიზნეს-ჯეტ Falcon-ს.

კომპანიის პრეზიდენტი სერჟ დასო 1999 წელს იძულებული გახდა, პოსტი დაეტოვებინა — ფირმის წესდების თანახმად, პრეზიდენტი 75 წელზე ხნეირი არ უნდა იყოს. სერჟი საპატიო თავმჯდომარე გახდა, თუმცა თავს მოხუცად სულაც არ გრძნობს. 1996 წელს სინგაპურის ავიასალონზე 72 წლის ყოფილი მფრინავი „მირაჟის“ შტურვალს მიუჯდა და საგვარეულო ქმნილების უდიდესი შესაძლებლობები აჩვენა.

პროგრამა Falcon-მა დიდი წარმატება მოიტანა. თუ ადრე დასოს კონცერნი სამხედრო ბაზარს კვებავდა, დღეს მისი ლამის მთავარი შემკვეთი, Falcon-ების მოდელების წყალობით, ბიზნესის სამყაროა.

ამჟამად Dassault Aviation-ის აქციათა 50,5%-ს დასოს ოჯახი აკონტროლებს, 46,3%-ს — ევროპული პოლდინგი European Aeronautic Defence and Space Company (EADS), დანარჩენს კი წარმოების პერსონალი.

მელიაბაზნატი

ჟაკ შირაკის 12-წლიანი მმართველობა დასოს ოჯახის ბიზნესისტვის ოქროს ხანა გამოდგა. როცა დინასტიის პატრიარქი მარსელ დასო 30-იან წლებში მუხლებზე აბუქნავებდა მეგობრის პატარა ვაჟს, მაშინ ვერც წარმოიდგენდა, რომ ეს ბიჭი ქვეყნის პრეზიდენტი გახდებოდა. ჟაკ შირაკის მამა მარსელმა ვიშის წყლებზე დასვენებისას გაიცნო. ეს ნამდვილი მეგობრობა გახლდათ. მოგვიანებით, ჟაკ შირაკი იტყვიის საფრანგეთის თანამედროვე ისტორიაზე: „იგი იწყება არა გალებისგან, და არც დე გოლისგან 1940 წელს, არამედ მარსელ დასოსგან!“ ამ ჰიპერბოლა-



სერჟ დასო



„რაფალი“ და ფრანგული ავიამზიდი R-91 „შარლ დე გოლი“

ში სიმართლის მარცვალი მართლაც არის.

სერჟ დასო იყო სენატორი და ქალაქ კორბეი-ესონის მერი. პოლიტიკოსია მისი ვაჟი ოლივიეც, რომელიც მრავალი წელია, ეროვნული კრების დეპუტატია, რასაკვირველია, მემარჯვენეთა პარტიიდან, ნეოგოლისტებიდან, რომლებსაც დასოს ოჯახი ტრადიციულად აფინანსებს.

სერჟ დასო დიდხანს ოცნებობდა მედიამაგნატობაზე და მედიაკონცერნ Socpresse-ის 82% შეიძინა. ავიამშენებლის პატრონაჟის ქვეშ 700-ზე მეტი გამოცემა აღმოჩნდა, მათ შორის, ისეთი გავლენიანი, როგორებიცაა გაზეთი Le Figaro, ჟურნალები L'Express-ი და L'Expansion-ი.

სერჟ დასო არ მალავს, რომ მედიაიმპერია საკუთარი ავიაბიზნესის მხარდასაჭერად და თავისი პოლიტიკური შეხედულებების პროპაგანდისტთვის სჭირდება. ყველაფერი მართვია: დასო თავისი გამოცემების ფურცლებზე ხელისუფლებას უჭერს მხარს, ის კი ავიამეკვეთებს აძლევს. როგორც იტყვიან, „ხელი ხელს ბანს“...

დღეს დინასტია უზარმაზარი მედიაკონცერნის მფლობელია, რეგიონული გამოცემების ფართო ქსელითა და დედაქალაქის მთავარი

გამოცემით. მართალია, მთავარი საკმე მისთვის თვითმფრინვაებია, მაგრამ არც მედიას სწევს უკანა პლანზე. დასოს ჯან-ლონე ყველაფრისთვის ყოფა — ტყუილად კი არ შეცვალა Socpresse-ის მართვის სისტემა, როცა პოლიტიკის მეთაურის ასაკი 95 წლამდე „ასწია“.

მოაშადა ნატა ენუქიძემ



ბიზნესჯეტ „ფალკონ-20“-ის ერთ-ერთი მოდელის სალონის ინტერიერი



სეითური დამწერლობის საიდუმლოება

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ინგლისელი მოგზაური ჰენრი მონდრელი და ფრანგი დე ლა როკი თავიანთ დღიურებში აღწერდნენ სირიაში ნანახ უცნაურ იეროგლიფურ ნიშნებს. ამ ცნობებისთვის მამინ ყურადღება არავის მიუქცევია. მეცნიერები ძირითადად ძველევკვიპტური და ლურსმული დამწერლობების გაშიფვრის პრობლემებით იყვნენ დაკავებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯერ გენიალურმა ჟან-ფრანსუა შამპოლიონმა და შემდეგ გეორგ გროტეფენდმა გაშიფრეს ეგვიპტური და სპარსული ლურსმული წარწერები; მას შემდეგ, რაც გაითხარა ბიბლიაში მოხსენიებული და მანამდე ლეგენდად მიჩნეული ბაბილონისა და ასურეთის, ძველადმოსავლური ცივილიზაციების ამ ორი უდიდესი სახელმწიფოს ქალაქები, საზოგადოება მეტი ყურადღებით მოეკიდა „წიგნთა წიგნს“, „ათასგვარი ცნობების სავანძურს“ – ძველ აღთქმას.

„წიგნი შესაქმეთა“ მოგვითხრობს: როდესაც ქანაანის მიწაზე 127 წლის ასაკში გარდაიცვალა პატრიარქ აბრაამის მეუღლე სარა, აბრაამი მივიდა „ამ მიწის შვილებთან“ — ხეთებთან და სთხოვა მათ მიწა საგვარეულო აკლდამისთვის. ხეთები დათანხმდნენ. აბრაამმა ეფრონ ხეთისგან შეიძინა პატარა მინდორი და გამოქვაბული, რომელიც ებრაელთა პატრიარქის საგვარეულო სამარხი გახდა. „მეფეთა მეოთხე წიგნში“ მოთხრობილია

ქალაქ სამარიას გათავისუფლებაზე: ქალაქის გარემომცველ სირიელების ბანაკში მოესმათ ეტლების ბორბლებისა და ცხენების ფლოქვების ხმა და უთხრეს მათ ერთმანეთს: „ეტყობა, ისრაელის მეფემ დაიქირავა ხეთებისა და ეგვიპტელების მეფეები ჩვენს წინააღმდეგ“. ამ ცნობის მიხედვით, ხეთები არათუ გათანაბრებულად, არამედ ეგვიპტელებზე უწინ მოიხსენიებიან, რაც მათ მნიშვნელობაზე მიუთითებდა. ამავე დროს, ორივე აღნიშნული და

ბიბლიის სხვა ცნობებიც ხეუბს წარმოადგენდნენ, როგორც პალესტინაში მცხოვრებ ხალხს. ბიბლიას მეტი არაფრის მიცემა აღარ შეეძლო მკვლევართათვის. ხეუბი აღმოაჩინეს და მათი აღმოჩენი, კოლუმბის მსგავსად, ისე მოკვდა, რომ წარმოადგენაც კი არ ჰქონდა ამ აღმოჩენის მნიშვნელობაზე. მისი სახელი გახლდათ იოჰან ლუდვიგ ბურგჰარდტი, მუსლიმურ სამყაროში შეიხ იბრაჰიმის სახელით ცნობილი მოგზაური, რომელმაც თავის დღიურებში აღწერა სირიის ქალაქ ჰამას — ბიბლიური ჰამათის ბაზრის კედელში ჩატანებული ქვა, დაფარული პატარა ფიგურებითა და ნიშნებით. ბურგჰარტის დღიურები კემბრიჯის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა. თუმცა მხოლოდ 60 წლის შემდეგ მიაქციეს მას ყურადღება, როდესაც ჰამათის ზემოაღნიშნული და იქვე მოძიებული კიდევ ოთხი ქვა გადაიგზავნა კონსტანტინოპოლის, ხოლო მათი ასლები — ბრიტანეთის მუზეუმში. აღსანიშნავია, რომ ქალაქის მოსახლეობა მტრულად შეხვდა ქვების წადლების მცდელობას, ვინაიდან მათ ღვთაებრივ და სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ.

მსოფლიოს მეცნიერებმა დაიწყეს ჰამათის ქვებზე ამოტვიფრული ნიშნების შესწავლა. იმთავითვე შეამჩნიეს, რომ ნიშნები საოცრად წააგავდნენ მესოპოტამიაში, ნიმროდის ბორცვზე აღმოჩენილ, წარწერებიან საბეჭდავზე ამოტვიფრულ ნიშნებს, რომელთა ავტორადაც ირლანდიელმა მისიონერმა უილიამ რაიტმა ბიბლიური ხეუბი გამოაცხადა. ამავე დროს, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა არჩიბალდ ჰენრი სეისმა წამოაყენა მოსაზრება, რომ ჰამათის ქვების დამწერლობა ანალოგიური იყო ცენტრალურ ანატოლიაში, სოფელ ბოლან-ქოიში და მის მიმდებარე იაზილიქაიაში, ასევე ჩრდილოეთ სირიაში, ისტორიულ ქალაქ ქარხემიშის ადგილას აღმოჩენილი დამწერლობის ძეგლებისა. შესაბამისად, სეისმა და რაიტმა იფარაუდეს, რომ მცირე აზიასა და სირიაში აღმოჩენილი წარწერები უკავშირდებოდა ბიბლიასა და ეგვიპტურ ებროგლიფურ და ასურულ ლურსმული დამწერლობის ტექსტებში მოხსენიებულ „ხეთა“-სა და „ხათი“-ს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბოლან-ქოიში მიაკვლიეს ლურსმული ტექსტების ფრაგმენტებს. მიუხედავად ამისა, ანატოლიაში აღმოჩენილი ძეგლების მნიშვნელობა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში დადგინდა, როდესაც გერმანელმა ორიენტალისტმა, პანბაბილონური თეორიის ერთ-ერთმა



იოჰან ლუდვიგ ბურგჰარდტი, მუსლიმურ სამყაროში შეიხ იბრაჰიმის სახელით ცნობილი მოგზაური

ფუძემდებელმა ჰუგო ვინკლერმა გათხარა ბოლან-ქოი და დადგინდა, რომ იგი იყო ხეუბის იმპერიის დედაქალაქი. დედაქალაქი სახელმწიფოსი, რომელსაც მოიხსენიებდნენ ეგვიპტური წყაროები ეგვიპტის ფარაონებს თუთმოს III-ისა და რამზეს II-ის მიერ წარმოებულ ბრძოლებთან დაკავშირებით ჩრდილოეთ სირიაში, განსაკუთრებით ცნობილი ქადემის ბრძოლის აღწერისას.



ხეუბის სამეფო ძვ.წ. XIV საუკუნეში



ხეთების ღმერთების პროცესია, იაზილიქაიას კლდის რელიეფი



ბედრეიხ პროზნი

გათხრებისას აღმოჩნდა ლურსმული დამწერლობით შესრულებული ათასობით წარწერა, მათ შორის უკვე კარგად ცნობილ აქადური ენაზე. განსაკუთრებული აფიოტაფი გამოიწვია რამზეს II-სა და ხათის მეფე ჰათუსილი III-ს შორის დადებული, კაცობრიობის ისტორიაში პირველი საზავო ხელშეკრულების აქადური ვერსიის აღმოჩენამ. ტექსტისა, რომლის ვევიპტური ვერსიაც შემონახულია ვევიპტეში, კარნაკის ტაძარზე. ეს აღმოჩენა თავიდანვე შეადარეს შლიმანის მიერ ტროასა და სხვა ლეგენდარულ აღმოჩენებს. უმდიდრესი ლურსმული წარწერების არქივების აღმოჩენა მართლაც რომ ძვირფასი საჩუქარი იყო აღმოსავლეთმცოდნეებისთვის, მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ, როდესაც გაირკვა, რომ წარწერები კი იკითხებოდა, მაგრამ გაუგებარ ენაზე. ვინკლერმა სწორად ივარაუდა, რომ ტექსტები შედგენილი იყო აქადური დამწერლობით ადგილობრივ, ამ ცივილიზაციის შემქმნელი ხალხის, ხეთების ენაზე. ვინკლერი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა წარწერების ამო-

კითხვაზე, მაგრამ წარუმატებლად. მისი სიკვდილის შემდეგ ბოლახ-ქოის არქივის ლურსმული ტექსტების ასლების გადასაღებად გერმანიის აღმოსავლურმა საზოგადოებამ სტამბულში მიაგვლინა ბედრჟიხ ჰროზნი. ჰროზნი დაიბადა 1879 წელს, ჩეხეთში, რომელიც მაშინ ავსტრია-უნგრეთის შემადგენელი ნაწილი იყო. ბავშვობიდანვე დაინტერესებული იყო აღმოსავლური ენებითა და თეოლოგიით. უკვე გიმნაზიაში შეისწავლა არაბული და ებრაული ენები, ხოლო ვენის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბერლინში გაემგზავრა, სადაც შეისწავლა ასირიოლოგია, აქადური ენა და ლურსმული დამწერლობა. 24 წლის ასაკში იგი უკვე ვენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მცველი და უშტატო ე.წ. ექსტრაორდინარული პროფესორი იყო.

თავდაპირველად ჰროზნი ცდილობდა დაედგინა ნათესაური კავშირი ხეთურ ენასა და კავკასიურ ენებს შორის. მეცნიერს კვლევაში ეხმარებოდა ის მრავალრიცხოვანი შუმერული იდეოგრამები, რომლებითაც გაჯერებული იყო ბოლახ-ქოის ხეთური ლურსმული ტექსტები. იდეოგრამების დახმარებით ჰროზნიმ შეძლო გაეშიფრა ხეთური სიტყვები „თევზი“ და „მამა“. მეცნიერმა დაადგინა, რომ ხეთური ენის გრამატიკული ფორმები, განსაკუთრებით მიმღეობითი ფორმა, ტიპური იყო ინდოევროპულ ენათა ჯგუფისთვის. ინდოევროპულ ენებთან ხეთურის მსგავსების ჰიპოთეზა ადრეც გამოითქვა, მაგრამ ეს მაშინ იმდენად ფანტასტიკური ჩანდა, რომ თავიდანვე უარყვეს. შესაბამისად, ჰროზნიმაც დამთხვევად მიიჩნია თავისი აღმოჩენა, თუმცა მალე აზრის შეცვლამ მოუწია. მოსაზრების სისწორე დამტკიცდა ერთმა წინადადებათ, რომლის მნიშვნელობაც ხეთური ენის გაშიფრვის ისტორიაში თავისუფლად შეგვიძლია შევადაროთ შამპოლიონის როზეტის ქვის პტოლემეაიოსისა და კლეოპატრას კარტუშებს, ან გროტეფენდის დარიოსისა და ქსერქსეს ტიტულატურებს. წინადადებაში, რომელიც ხუთი სიტყვისგან შედგებოდა, ცნობილი იყო მხოლოდ მეორე სიტყვა, შუმერული იდეოგრამა „წინდა“ — „პური“ და შემდეგნაირად იკითხებოდა: **nu** პური-**an e-iz-za-at-te-ni wa-a-tar-ma e-ku-ut-te-ni**. სიტყვა „პურის“ გაგრძელება მარცვალში **-an** გრამატიკულ დამატებას წარმოადგენდა.

ჰროზნიმ დაიწყო სიტყვა „პურის“ ასოციაციური შემასმენლის ძიება და მიხვდა, რომ



თიხის ფირფიტა ხეთური დამწერლობის ნიმუშით

შემდეგი სიტყვა **ezzateni** წარმოადგენდა ინდოევროპული ენების ჯგუფის, ზმნის „ჭამა“ ხეთურ შესატყვისს, რომელიც ძველ ზემოგერმანულად ჟღერდა, როგორც **ezen**, გერმანულად — **essen**, ბერძნულად — **edein**, ლათინურად — **edere**. როგორც გამოცდილმა სემიტოლოგმა, ჰროზნიმ კარგად იცოდა აღმოსავლური სამყაროსთვის დამახასიათებელი პარალელური სტრუქტურების ფენომენის შესახებ წინადადებებში. მან იფარაუდა, რომ ამ შემთხვევაშიც წინადადება შესაძლოა ორ, პარალელური შინაარსის ნაწილად დაყოფილიყო. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, რა უნდა ყოფილიყო შინაარსობრივად ევვლახზე ახლოს პურისა და ჭამასთან? შემდეგი სიტყვის ამოცნობა უკვე არავითარ სირთულეს აღარ წარმოადგენდა, ტერმინი **wadar** (გერმანული **wasser**, ინგლისური — **water**) თავისთავად მიუთითებდა წყალზე და შესაბამისად, სიტყვა **ekuteni** „სმა“-ს, „დალევა“-ს აღნიშნავდა. რაც შეეხება სიტყვა **nu**-ს, ჰროზნიმ მასში მოისაზურა დამაკავშირებელი ნაწილაკი „და“; **-teni**,

როგორც ზმნის სუფიქსი და კავშირი **-ma** — როგორც „ხოლო“.

პროზნი აღმოჩნდა პირველი, ვინც სამი ათასი წლის შემდეგ ხეთურ ენაზე წარმოთქვა და შემდეგ გერმანულად თარგმნა პირველი ფრაზა: „და პურს შეჭამთ, ხოლო წყალს დალევთ“. ხეთური ენის დეშიფრირების გასაღები ნაპოვნი იყო!

1915 წლის 24 ნოემბერს, პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას, ავსტრია-უნგრეთის არმიის სამხედრო მოსამსახურე ბედრეიხ პროზნი „წინა აზიის შემსწავლელ ბერლინის საზოგადოების“ წინაშე წარდგა 33-გვერდიანი მოხსენებით, რომელმაც სენსაცია გამოიწვია. ეს დღე სამართლიანად ითვლება შუამდინარული და ეგვიპტური ცივილიზაციების შემდეგ კაცობრიობის მესამე უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციის — ხეთოლოგიის დაბადების თარიღად.

1917 წელს პროზნიმ გამოაქვეყნა წიგნი „ხეთების ენა“, რომელშიც დამტკიცებული იყო ხეთური ენის ინდოევროპული წარმომავლობა.

მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარი გახლდათ, ვინაიდან ჯერ კიდევ გაუშიფრავი იყო ხეთური იეროგლიფური დამწერლობა. ჰამათისა და ქარხემიშის, ბოლახ-ქოისა და იაზილიქაიას გარდა, ამ დამწერლობის ძეგლები აღმოჩნდა ანატოლიისა და სირიის მთელ რიგ

რეგიონებში. ამ ფაქტმა დაადასტურა მოსაზრება, რომ ლურსმულთან ერთად ხეთური იეროგლიფური დამწერლობა ეკუთვნოდა ძვ.წ. II-I ათასწლეულების მცირე აზიასა და სირიაში არსებულ ხეთურ და გვიანხეთურ ცივილიზაციებს. არჩიბალდ ჰენრი სეისმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დამწერლობა მარცვლოვანი უნდა ყოფილიყო, მრავალრიცხოვანი იდეოგრამითა და დეტერმინატივით. მანვე სწორად ამოიკითხა სახელობითი ბრუნვის სუფიქსი, ღმერთის აღმნიშვნელი დეტერმინატივი, ქვეყნის, ქალაქისა და მეფის აღმნიშვნელი იდეოგრამები და მარცვლ თარ-ის აღმნიშვნელი იეროგლიფი. აღსანიშნავია ფრანგ მეცნიერ მენანის დამსახურებაც, რომელმაც სწორად ამოიცნო პირველი პირის ნაცვალსაზელ „მე“-ს მნიშვნელობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანელი მკვლევარის, პეტერ იენსენის ღვაწლი, რომლის თეორიები საფუძვლად დაედო ყველა შემდგომ გამოკვლევას. წიგნში „ხეთები და სომხები“, იენსენი ასკვნია, რომ ხეთები იეროგლიფებით წერდნენ ურარტულ ენაზე და ამტკიცებდა ურარტულის ნათესაობას სომხურთან. მეორე გერმანელი მკვლევარი იოჰანეს ფრიდრიხი პასუხად წერდა: „ეს წიგნი (იგულისხმება იენსენის ნაშრომი. — ე.ა.), გონებას მძიმე ამოცანას უყენებს. ადვილი როდია სწორად გაიგო მასში მოყვანილი ყველა მო-




სფინქსი ხეთების ერთ-ერთი ქალაქიდან

საზრება. 1000-1200 წელი აშორებს პერიოდს, როცა ხმარობდნენ ხეთურ ეროგლიფურ დამწერლობას იმ პერიოდისგან, როდესაც დაიბადა სომხური ანბანი“. ენსენს მიაჩნდა, რომ ეროგლიფური ტექსტები წარმოადგენდნენ ტიტულატურებს და მხოლოდ იდეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ. ამავე დროს მან სწორად ამოიცნო ქალაქ ქარხემიშის აღმნიშვნელი ეროგლიფები.

გერმანელი მეცნიერი კარლ ფრანკი კვლევას კრიპტოგრაფიას მიმართავდა და ცდილობდა, პირველი მსოფლიო ომის დროს გამოყენებული საიდუმლო კოდებით ამოეცნო ეროგლიფების მნიშვნელობა. იგი ეროგლიფებს ხურიტულ დამწერლობად მიიჩნევდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იტალიელი ლინგვისტი პიერო მერიჯი, რომელმაც სწორად განსაზღვრა სიტყვების: „შვილი“, „შვილიშვილი“, „შვილთაშვილი“, „ქვეყნის მმართველი“, „ღმერთების რჩეული“ და სხვ. გამომხატველი ეროგლიფების მნიშვნელობა. მერიჯი ეროგლიფების ენას ინდოევროპულად მიიჩნევდა. მერიჯის კვლევა ისეთი იმპულსი გამოდგა, რომ ინგლისელ მკვლევარ ბარნეტის სიტყვებით, ეს იყო ბიძგი, რომელმაც ზვაი გამოიწვია. „ზავს“ სამი მეცნიერი წარმოადგენდა: გელბი, ფორერი და ბოსერტი.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა იგნაც გელბმა დაადგინა, რომ ეროგლიფური დამწერლობა დაახლოებით სამოც ნიშანს შე-



ჟვიბტე-ხეთების სამშვიდობო ზელშეკრულება (ძვ.წ. 1258). სტამბოლის არქეოლოგიის მუზეუმში

ჰელმუტ თუდორ ბოსერტი (მარცხნიდან პირველი) არქეოლოგთა ჯგუფთან ერთად ხეთების ნაკვალავის ძიებისას



იცავდა და იწერებოდა თანხმომანი+ხმომნის პრინციპით. დამწერლობა გამოიყენებოდა პირველი ათასწლეულის მცირე აზიაში გავრცელებული ლუვიური ენის გადმოსაცემად და ახლოს იდგა ინდოევროპულ ხეთურ ენასთან.

შვეიცარიელმა მკვლევარმა ემილ ფორერმა განსაზღვრა ეროვლიფური დამწერლობის გრამატიკული სტრუქტურა, სუფიქსები, კაემირები, ნაწილაკები, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები და სხვ. მანვე ამოიკითხა ხათის ერთ-ერთი მეფის, მუვათალის სახელიც.

რაც შეეხება გერმანულ ჰელმუტ ბოსერტს, მან არა მარტო ამოიკითხა ბევრი ეროვლიფი, არამედ ქრონოლოგიურად დაალაგა აქამდე აღმოჩენილი ყველა ტექსტი თუ ფრაგმენტი, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია პალეოგრაფიის განვითარებას.

XX საუკუნის 30-იან წლებში ზემოსხენებულ მეცნიერთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად დაგროვდა საკმაო მასალა დამწერლობის საბოლოო გაშიფვრისთვის: ამოცნობილი იყო დაახლოებით სამოცამდე ეროვლიფი, რომელთა მცირერიცხოვანმა ნაწილმა მოითხოვა შემდგომი კორექტირება; დადგინდა მარცვლის სტრუქტურა: თანხმომანი+ხმომანი; განისაზღვრა გრამატიკის მრავალი ელემენტი; გამოითქვა საფუძვლიანი მოსაზრება ხეთური ენის ინდოევროპულ ჯგუფთან მიკუთვნების შესახებ.

საბოლოო წარმატების მისაღწევად კვლავ და კვლავ საჭირო იყო მეცნიერებისთვის ესოდენ

სანუკვარი დიდი ბილინგუური ხასიათის ტექსტი. და აი, 1947 წელს ჩრდილოეთ სირიაში, ყარა-თეფეში წარმოებული გათხრების დროს, ჰელმუტ ბოსერტმა ასეთი ბილინგვაც აღმოაჩინა. ეს იყო მორიგი სენსაცია. ბილინგვა შესრულებული იყო ეროვლიფებით და მეცნიერებისთვის უკვე კარგად ცნობილი ფინიკიური დამწერლობით, რამაც მისი წაკითხვა ადვილი გახადა.

ხეთური ეროვლიფების ენა აღმოჩნდა ახლო მონათესავე ინდოევროპული ლუვიური ენისა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ ანატოლიაში. ეროვლიფური დამწერლობა ხეთურ ლურსმულ დამწერლობასთან ერთად გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ხეთების ძველი სამეფოს დროს, ძვ.წ. II ათასწლეულში. მას იყენებდნენ როგორც მონუმენტურ, ისე პირად მიმოწერაშიც. ამგვარი მიმოწერისთვის საწერ მასალად გამოიყენებოდა ხე, რის გამოც ჩვენამდე ასეთ ძეგლებს არ მოუღწევია. ხეთების იმპერიის განადგურების შემდეგ ეროვლიფები გამოიყენებოდა ძვ.წ. I ათასწლეულის ჩრდილოეთ სირიის ე.წ. გვიანხეთურ ქალაქ-სახელმწიფოებში. სწორედ მათ უნდა ვუმაღლოდეთ იმ აღმოჩენებს (ჰამათის ქვები, ქარხემისის წარწერები, ყარა-თეფეს ბილინგვა), რომლებმაც მეცნიერთა რამდენიმე თაობას დაახლოებით საუკუნის განმავლობაში შეაძლებინა, ამოიკითხათ უცნობი ნიშნები.

მერაქლე ასტახიშვილი

ქალაქ ხათუსას გალენის კედლის თანამედროვე რეკონსტრუქცია



„ისტორიანი“

საქართველოსა
და მსოფლიოს
ისტორიის ნაცნობი
და უცნობი ფაქტები,
პიროვნებები,
მოვლენები-ახალი
კუთხით!



თოქოუს
ავტორი და წამყვანი
ჯაბა სამუშია

ჩვენთვის გაგუდადებული თემები არ არსებობს!



უსვინათ!

FM 103.9

www.palitratv.ge

უყურათ!



ყოველ სამუშაოს
16.00 სთ-ზე
განმეორებით კვირას
17.00 სთ-ზე

ნუნუ გაბუნია:

ვესტნიკი, რობორც შემოქმედია

იშვიათად ხდება ზოლმე, როცა აღდამიანი აზერხებს თავი აარიდოს ხმაურთან პოპულარობას და მაინც პოპულარული იყოს ამ სიტყვის ძალიან დახვეწილი ვაგებით... არ ითხოვდეს, მეტიც — ერიდებოდეს ყურადღებას და მაინც შეუძლებელი იყოს, მისდამი ყურადღების გარეშე მოისაზრო ქართული მუსიკა... იშვიათად ხდება ზოლმე და ეს იშვიათი შემთხვევა გახლავთ ნუნუ გაბუნიას ცხოვრება და შემოქმედება.

სწორედ მისი ხასიათის ბრალია, რომ მისი შემოქმედების ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს ნაკლებად იცნობს საზოგადოება, მაგრამ რასაც იცნობს, ისიც საკმარისია აღიარებისთვის. თავს არასოდეს არავის ახვევდა რამეს, პირიქით, უკან და უკან იხვედა — ჩრდილისკენ. ასე უფრო მშვიდად გრძნობდა თავს. მაგრამ სინათლის თვისება ზომ ასეთია: ჩრდილშიც იჩენს თავს. ნუნუ გაბუნია ჩრდილშიც ჩანდა... იმიტომ რომ მართლაც ნათელი პიროვნება იყო და არის...

სინათლით სავსეა მისი ყოველი მოგონებაც, მაშინაც კი, თუ მძიმე ფერებით იშლება წარსული.



— ორი წლის ვყოფილვარ, როცა ბაბუაჩემის მშობლების სოფელში — ბანძაში ჩამიყვანეს. იმდროინდელი მოგონებები მძაფრად მახსოვს. წითელი კაბა მეცვა და ეზოში ინდაური გამომეკიდა... მისი ხმა ახლაც ყურში ჩამესმის. მახსოვს დიდი სახლი, რომლის კიბეზეც აფოთებდას ვცდილობდი. მერე რომ ვნახე ეს სახლი, თურმე პატარა ყოფილა, ძალიან პატარა...

დღემდე მახსოვს ჩემი საბავშვო ბაღი ოპერის უკან. ბორშჩის თუ სუპის სუნი იდგა. ერთხელ ბაღში წაყვანისას, დედას დაავიწყდა ჩემთვის საცვლის ჩაცმა და მთელი დღე სკამი-

დან არ ავმდგარვარ... სკამით დავდიოდი. შინ მოსულმა ისიც ვერ გავამხილე, რა გადამხდა. ბაღში ერთი ბიჭი იყო — თამაზი. ყველაზე ლამაზი იყო და ბავშვებიცა და მასწავლებლებიც სულ ეფერებოდნენ. მეც მომწონდა. როცა დედა ორსულად იყო ჩემს ძმამზე, მითხრა, სახელი შენ დაარქვიო. ცხადია, მომიხდა, თუ ბიჭი იქნებოდა, თამაზი დამერქმია. როცა მამამ სამშობიაროში წამიყვანა და ძმა მაჩვენა, თან მკითხა, აბა, რას დაარქმევო, გავჩუმდი. იმდენად უშნო მომეჩვენა ჩვილი, ისეთი წითელი და დაჯდანული, თამაზის სახელი ვერ გავიმეტე... მამამ, მგონი შენი სახელი გურამი მოგ-

წონსო, — მკითხა. თავი დაგუქნიე. ჩემთვის მნიშვნელობა ადარ ჰქონდა, რას დავარქმევდი ძმას, რომელიც საშინელი მეგონა.

სამი წლიდან ოპერისა და ბალეტის თეატრის მაყურებელი გახლდით. ჩვენ ოპერასთან ძალიან ახლოს ვცხოვრობდით. ჩემი მეზობელი ბერძენი ქალი ოპერაში დამლაგებლად მუშაობდა. მისი გოგონა 16-17 წლისა იქნებოდა, შეყვარებული იყო ოპერაზე. მართო რომ არ წასულიყო, მეც მივყავდი. მსახიობების შესასვლელში დაგვხვდებოდა დედამისი და შეგვიყვანდა. პატარაობიდანვე ვიცოდი არიები. ერთხელ მეფისტოფელის არიაც კი ვიმღერე შინ. ვოცნებობდი ბალერინობაზე... კიდევ ექიმობაც მინდოდა. სათამაშო სამედიცინო ნივთები მქონდა შინ და ამის გამო, ალბათ...

მასხოს პირველი გამოცდა მუსიკალურ სკოლაში. რატომღაც ყველა ნოტი გამოვიცანი, რომელიც დაუკრეს. მიმამბრუნებდნენ, დაუკრავდნენ, მოვბრუნდებოდი და სწორედ იმ ნოტს ვადებდი თითს. ჩამრიცხეს, ცხადია.

პირველ კლასში რომ მიმიყვანეს, დედამ სთხოვა დირექტორს, იქნებ ისეთ მასწავლებელთან მიგვამაგროთ, ჩვენთან ახლოს რომ ცხოვრობდესო... ამიტომაც მიმამაგრეს ბუტულოვასთან. მასთან მივიღოდი და ვუკრავდი, სახაზავი ედო გვერდით და თუ შემემლებოდა, ხელებში მირტყამდა. იმ სახაზავის შიშით ყველაფერი მავიწყდებოდა... არადა, ძალიან ადვილად ვსწავლობდი ნაწარმოებებს შინ. მასწავლებელმა დედა დაიბარა და უთხრა, ამისგან არაფერი გამოვა, გაიყვანეთო... გავიდა დრო, უკვე კონსერვატორიაში მეორე ფაკულტეტს ვამთავრებდი (ჯერ საკომპოზიციო და ვამთავრე და მერე პედაგოგების მოთხოვნით — ვოკალის), როცა ვფიქრობდი, კიდევ კარგი, დედაჩემმა არ დაუჯერა და სამუსიკო სკოლიდან არ გამომიყვანა...

მერე საბედნიეროდ, პედაგოგი შემიცვალეს. მაშინ ახალი ჩამოსული იყო ოდესიდან ირინა ლანშტრასსე. აი, მასთან კი სიხარულით დავდიოდი. უსაზღვროდ მიყვარდა. ისიც ამაყობდა ჩემით.

დავიწყე სწავლა და მუსიკის წერაც...

ძალიან ცუდი ბავშვობა მქონდა... იყო ბედნიერი წუთებიც, მაგრამ ეს იშვიათი და პატარა გამონათებები გახლდათ... მასხოს, ბედნიერი ვიყავი, როცა პირველად დაწერე პიონერული მარში სკოლისთვის. მერე ჩვენი გუნდის მასწავლებელმა ეს ხმებში გაშალა... დე-

რეფანში რომ მივდიოდი, მესმოდა, როგორ ამბობდნენ, კომპოზიტორი მოდისო და მიხაროდა. დაწერე პატარა ვალსი, ეტიუდი, სონატინა... თუ მასხოს? როგორ არა! სხვათა შორის, მოგვიანებით სიმფონიური ორკესტრისთვის მოვამზადე სუიტა და მაშინდელი დაწერილი „ტარანტელა“ და „ესპანური საცეკვაო“ გამოვიყენე!

მძიმე ბავშვობა კი იმიტომ მქონდა, რომ მამა მეყვდა ავად. ფეხი იტკინა ერთხელ და სულ პატარა სიმაგრე გაუწნდა. მისი მეგობარი იყო ქირურგი ღვამიჩავა, კი უთქვამს, მოდი და სულ იოლად ამოვიღებ ამ სიმაგრესო, მაგრამ არ მივიდა. რვა წელიწადს ატარა... მერე საშინელი რამ დაემართა. ერთ დამეში ეს პატარა სიმაგრე მუშტისოდენა გახდა. ექიმთან კი მივიდა, მაგრამ სარკომის დიაგნოზი დაუსვეს. ოპერაცია გაუკეთეს. ფეხიც მოჰკვეთეს, მაგრამ ვერ გადაარჩინეს, 41 წლისა გარდაიცვალა. საშინლად მასხენდება, დედა რომ



ნუნუ გაბუნია და გონა აბაშიძე

ცალ ფეხზე ჩააცვამდა და მეორეზეც ჩამაცვიო, — რომ ეტყოდ... მეორე ფეხი კი უკვე არ ჰქონდა!

დედა ლუბა დიასამიძე ოფშკვითელი გახლდათ, ამბობენ, ერეკლე I-ის დედის ჩამომავლები იყვნენ. მამამისი ივანე ავეჯის ქარხნის მფლობელი იყო გერმანელ ზელცერთან ერთად. ვერაზე საკუთარი სახლი გვქონდა. იქაც მდგმურები შეუსახლეს. ვიცი, რომ მისი ქარხნის ნაწარმი ავეჯი პრიზებს იღებდა. სამწუხაროდ, ჩვენ არაფერი შემოგვრჩა. ჩემი ძმა სულ ამბობდა, ძეგლი ავეჯი არ გვინდაო, და ბევრი რამ გაატანინა დედას სახლიდან.

სკოლა არ მქონდა დამთავრებული, როცა ჯიმშერ მუჯირმა მიმიწვია და თეორიას ვასწავლიდი პირველ სკოლაში.

კონსერვატორიის გამოცდები მახსოვს. მივედი სასწავლებლის დიპლომითა და ჩემი ნაწარმოებებით. იქ ერთი კაცი დამხვდა, მაშინ დიდი მეგონა. მელოტი იყო. ხელში დიდი საქაღალდე ეჭირა. შემომხედა და აგდებულად მკითხა, თქვენ რა, საკომპოზიციოზე რომ აბარებთ, „დუხაოი“ ორკესტრისთვის რაზე თუ გაქვთ დაწერილიო. არა-მეთქი. ვნახოთ, ვინ მოხვდებაო. მთელი დამე გავათენე შიშით. ვაითუ სასულე ორკესტრისთვის რაზე მართლა აუცილებლად უნდა დამწერა-მეთქი. დედა მაშვიდებდა, ასე რომ ყოფილიყო, ხომ გაგაფრთხილებდნენო. მეორე გამოცდიდან ის მელოტი კაცი აღარც მინახავს...

რადიოში ვმუშაობდი მუსიკალურ რედაქტორად სტუდენტობიდანვე. საბავშვო მუსიკალური გადაცემის რედაქტორი ვიყავი. ვწერდი გადაცემებს, რომელიც დღემდეა შემორჩენილი ოქროს ფონდში... მახსოვს, როგორ მაქებდნენ ხოლმე... ამის გამო მუსიკალური რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილე აღარც კი მესალმებოდა. ბრახობდა.

„ალბათ უფრო თამამი და მომთხონე უნდა იყო... ჩემმა ცხოვრებამ ბევრი რამ განსაზღვრა. სვერდლოვსკში დაიდგა ჩემი ოპერა „იმპრესარიო კანარის კუნძულებიდან“. ამით გახსნეს კამერული თეატრი. მიმიწვიეს, მაგრამ საშუალება არ მქონდა, ვერ წავედი... ატლანტის საპატიო მოქალაქე ვარ. დაწერილი მაქვს ორი ოპერა. არ ვიცი, სად დაიდგება ან როდის. არ შემიძლია მივიდე, მოვითხოვო რაიმე...“

ძლიერი თუ ვარ? ალბათ ვარ... ასე ვფიქრობ, რადგან ცხოვრებაში ბევრი რამ გადავიტანე. 16 წლისა გაეთხოვი გოჩა აბაშიძეზე... აპრილში მოვაწერეთ ხელი, 17 წლის ივლისში გავხდი. სკოლა იმ წელს დავაბრუნე.

გავიცანი ჩემი მეგობრის მამიდაშვილის დაბადების დღეზე. იქ ახალგაზრდა მსახიობები გურამ გოგავა, ნოდარ ფირანიშვილი, ნუკრი ალხაზიშვილი და გოჩა აბაშიძე იყვნენ დაპატიჟებული... მეგობარი ღია თოხაძე ძალიან მთხოვდა მივიდეთო, უნდოდათ, გვემდერა... ძალად წამიყვანა, ფაქტობრივად. მაშინ პირველად ვიცეკვე ბიჭთან — ნუკრი ალხაზიშვილთან. რას წარმოვიდგენდი, რომ მერე ის ჩემი შვილის ნათლია გახდებოდა. საღამოს შინ გოჩამ მოგვაცილა მეც და ჩემი მეგობარიც. მეორე დღეს ვიღაც მოვიდა. კარი გავადე და — გოჩა! ასე უბრალოდ შემოვიდა ჩვენს ოჯახში და დაგვიახლოვდა. მოდიოდა ყოველდღე, იჯდა, გვიამბობდა ათას ამბავს, გვაცინებდა.

მანამ სულ გოგონებთან ვმეგობრობდი. სკოლაშიც მხოლოდ იმ წელს შეაერთეს გოგონები და ბიჭები და ერთმანეთს ვუფრთხოდით. ეზოში მყავდა ერთი-ორი ბიჭი ამხანაგი, რომლებთანაც ვთამაშობდი და ეს იყო და ეს. გოჩასთან ისე დაემეგობრდი, რომ საიდუმლოებსაც კი ვანდობდი. მხოლოდ მან და ჩემმა მეგობარმა გოგონებმა იცოდნენ, რომ მომწონდა „ცისკარას“ მთავარი როლის შემსრულებელი თამაზ ტოგონიძე. ნანი ბრეგვაძესთან ვნახე პირველად. მისი სურათიც კი მქონდა ამოჭრილი საგანგებოდ... შინ ვიყავი ჩაკეტილი, სხვებს ვიღაც უყვარდათ, ხვდებოდნენ... ეტყობა მეც მინდოდა, ვინმე მყვარებოდა.

გოჩა ჩემზე სამწლიანხევრით უფროსი იყო... მასაც მძიმე ბავშვობა ჰქონდა, მამა დაპატიმრებული ჰყავდა, დედა გათხოვდა სხვაზე... მამა დაბრუნდა, შერიგებას სთხოვდა მეუღლეს... მესმოდა გოჩას ტკივილისა...

ერთ დღეს სიყვარული ამიხსნა და მითხრა, თავს მოვიკლავ, შენ რომ სხვას გაჰყვო. ვუთხარი, აღარ მოხვიდე, ვიდრე არ გადაგვიღის ეს გრძობა და ჩვენ ისევ მეგობრები ვიქნებით-მეთქი. გაუცხოება გამიჩნდა. წავიდა და რამდენიმე დღე არ მოსულა. სხვათა შორის, რაღაც დამაკლდა... ერთ დღეს კი ის და მისი მეგობარი მოვიდნენ. ტიროდა, თავს არ ვიცოცხლებო. მეც ავტირდი. მისმა მეგობარმა — სოსო ხელაშვილმა კი მითხრა, ხიდიდან მტკვარში ხტებოდა, თავს იკლავდა, შენ რომ ხელი



ჰკარო... კარგი, ხვალ მოდი-მეთქი... ვიფიქრე, თავს რამეს მაინც აღარ აუტყხავს-მეთქი. იმასაც ვტიროდი, თამაშ ტოგონიძეზე რომ აღარ უნდა მეფიქრა... არაფერი არ მინდა, ხელი მოვაწეროთ და დაემშვიდდები, სხვას ვეღარ გაჰყვებიო. როცა შენ მეტყვი, მერე წამომყვებიო. დაუთანხმდი. წაუვდიოთ ჩუმი ლესელიძეზე მმანის ბიუროში. დანგრეული და ჭუჭყიანი შენობა იყო, ხელსაც აწერდნენ და მიცვალებულის ცნობებსაც იქ იღებდნენ. ვიღაც კაცი მოიყვანა — უნივერსიტეტის ლექტორი. იმას ჩააწყო ბინა, რომ ხელი მოგვეწერა, მე ზომ არასრულწლოვანი ვიყავი... ხელი რომ მოვაწერეთ, ფუნქციონირებდა ვისადილეთ. ძალიან ციოდა. თხელი ლაბადა მეცვა. გახსნილი მქონდა. ნეტავ გავცივდე და მოგკვდე-მეთქი...

შინ რომ მიმაცილებდა, პირობა ჩამოვართვი, არავისთვის ეთქვა, ხელი რომ მოვაწერეთ. დამთანხმდა. მივედი. შევედი თუ არა, დედაჩემს ხელმოწერის მოწმობა აჩვენა, აიო! გაგიჟდა დედა, ისე ინერვიულა. ჩემს დედამთილსაც არ მოეწონა ეს ამბავი, რად უნდოდა ასეთი პატარაო... ორ თვეს მაინც არ გავყოლილვარ... მხოლოდ ზაფხულში გავყვი, თავის ბებიასთან წამიყვანა სოფელში... ბიძამისთან წამიყვანა სტუმრად ყვირილას იქით. ისე-

თი ხიდი იყო, შემეშინდა გასვლა... მდინარე ჩანდა ფიცრებს შორის. ამაზე ვერ გავივლი-მეთქი. გოჩამ ზურგზე წამომიკიდა და გამიყვანა... სინათლე არ იყო იმ სოფელში, უკუნითი იდგა. ძალიან მეშინოდა, გოჩამ მართლად აღარ დამტოვა...

მერე მანანაც შეგვეძინა.

ძალიან ახლოს ვიყავი ლილა აბაშიძესთან. ხშირად მოდიოდა ჩვენთან, ჩემი რძალიო, — ასე მეძახდა. დედის მხრიდანაც და მამის მხრიდანაც ნათესაუბი იყვნენ. გოჩას დედაცა და მამაც აბაშიძე ჰყავდა. მერე ქვეყანას მოედო ამბავი გოჩასა და ლილაზე...

თულავში იყვნენ გადაღებაზე. იქიდან ერთი მსახიობი ჩამოვიდა, გოჩა ძალიან ცუდადაა, დამბაჩა გაუვარდა და მგონი სისხლი ეწამლებო... კონსერვატორიის სტუდენტიც კი არ ვიყავი ჯერ, პატარა მანანა მყავდა... დედამ მითხრა, ყველაფერი დატოვე და წადი, მუსიკალურ სასწავლებელშიც მე ვეტყვი, რა ხდებაო... 11 ოქტომბერი იყო. პირველად ვიმგზავრე თვითმფრინავით, მე, ვისაც შინიდან ფეხი არსად გამიდგამს, თულავში წავედი. „კუკურუნნიკში“ რომ დავჯექი, მთელი გზა სიმფონიური მუსიკა ჩამესმოდა, საიდან მესმოდა, არ ვიცი!

დაგვიანებით ჩავფრინდი. მე უკვე აღა-

რავინ დამხვდა აეროპორტში... დაერეკე. ვი-
ლაცამ მომაკითხა და წამიყვანა სასტუმრო-
ში. აღმოჩნდა, გოჩამ არც კი იცოდა, რომ მიე-
დიოდი. სასტუმროში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ
და მიყურებდნენ... თურმე რა მოხდა: გოჩას
რომ დამბაჩა გაუვარდა და ძალიან ცუდად იყო,
მძალი სიცხე ჰქონდა, ლეილამ გადაიყვანა
თავისთან, მოუუვლიო... მე რომ ჩავედი, გოჩა
უკეთ იყო, მაგრამ მაინც ლეილას ნომერში
რჩებოდა.

რომ დავინახე, გამოჯანმრთელებული, მო-
ულოდნელობისგან ცუდად გავხდი. მერე მახ-
სოვს, ვიწეკი და ლეილა ჩემს საწოლთან იყო
ჩამუხლული, ხელებს მითბობდა, მეფერებო-
და... გოჩამ, აქედან არ გაგიშვებ, რომ წახვი-
დე, დავილუპებო. წამოვედი. არ ვიცი, ეს სიძ-
ლიერე იყო თუ სისუსტე...

მერე სულ მოდიოდა გოჩა, შერიგებას
მთხოვდა.

ერთხელ ტაქსით მომაკითხა, მანქანაში
ვილაპარაკოთო. ჩავეჯექი და გამიტაცა. ერთი
ამბავი ავტეხე, მძღოლს ისე შეეშინდა, აყვირ-

და: ნუ დამლუპავთო და ახლა რომ რესტორა-
ნი „ქალაქურია“, იქ გადმოგყვარა...

მერე ძალიან ცუდი რამ მოხდა, მე თვი-
თონაც ასე ვიცოდი, რომ თავი ლეილას გამო
მოიკლა, მაგრამ ასე არ ყოფილა... მრავალი
წლის მერე გავიგე ეს ამბავი.

„თეთრ ქარავანზე“ მთავარ როლში იყო
დამტკიცებული. რეჟისორთან შელაპარაკება
მოსვლია, უზრდელურად უთქვამს რაღაც...
ასე იყო თუ ისე, მოხსნეს როლიდან და სუ-
ლაც არ გამტყუნებ რეჟისორს, შემოქმედი
ადამიანის ბუნება სხვაა. გოჩას კი იმედი ჰქონ-
და. მანქანა გაეიდა სომეხ კაცზე, ნაწილი ფუ-
ლისა აიღო, მეორე ნაწილი მერე უნდა აეღო,
როცა მანქანას გაუფორმებდა. მაშინ გადა-
ფორმება მხელი იყო. ვერ გაუფორმებია და
ფული უკან მოუთხოვია. გოჩას კი ფული აღარ
ჰქონდა, ვისაც მიაბარა, დაუხარჯავს იმას. სა-
შინელ დღეში აღმოჩნდა. მეკვლე სადარბაზო-
ში ელოდა. და თვითონ ფანჯრიდან უხდებო-
და გადასვლა სახლში. კინოსტუდიაში მისუ-
ლა, ავნსი მოუთხოვია... იქ კი ძალიან უხე-
შად უთხრეს, მოხსნილი ხარ როლიდანო. თავს
მოვიკლავეო... შენ კი არა, შავგულიძე მოკვდა
და არავინ გადაყოლიაო. ეს ამბავი მდივანმა
გამოიტანა... ამ დროს ფოიეში ლეილა აბაში-
ძე და დევი აბაშიძე მისულან სულ სხვა საქმე-
ზე. გოჩა გიფიფით გამოვარდნილა. დევის ლე-
ილასთვის უთხოვია, გაჰყვი, რამე არ მოი-
წიოსო. ლეილა გაჰყვა... გოჩა შინ მისულა და
შაბიამანი დაუღვია. სასწრაფო გამოიძახეს.
სასწრაფოში ლეილაც ჩაჯდა. ამის გამო ყვე-
ლა ალაპარაკდა, ვითომ მის გამო მოხდა ყვე-
ლაფერი... არადა, მთავარი მიზეზი როლიდან
მოხსნა იყო.

გოჩას ეკითხებოდნენ, კრისტალებიც თუ
გადააყოლე წყალსო. მან არც იცოდა და
არაო... თან უკვე კარგადაც იყო. რვა დღე
იცოცხლა. მერე კრისტალები გაიხსნა და მო-
წამვლა მოხდა. სიკვდილის წინა დამეს უმ-
ღერია კიდევ ბიჭებთან... ეგონა, გადარჩა. სამ-
წუხაროდ, ვერ გადაარჩინეს.

რომ მიასვენეს შინ, მივედი... ვფიქრობდი,
მერე არ ვინანო-მეთქი... პანაშვიდებსა და დაკ-
რძალვებზე კი ვეღარ წავედი. სიცხე მქონდა...

ადრე თუ ვინმე მაძინევდა და მიხაროდა,
მოვწონვარ-მეთქი, ახლა მრცხვენოდა, მეგო-
ნა, ყველა მე მკილაუდა... ძალიან ცუდად ვი-
ყავი.

ჩემთვის ყველაფერი იყო ჩემი ქალიშვი-
ლი მანანა. დღემდე ეს არის ჩემი მიზანი, რომ



ყველაფერი გააკეთო მისთვის, მისი შვილებისთვის.

ბევრი ტკივილი გადავიტანე, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ვმუშაობდი. ვწერდი მძიმე დღეებშიც, აღელვებულაც...

ერთხელ რაღაც წიგნი დამხვდა გადაღებული, ვერ ვიპოვე. ავლელი... ძებნისას ესენინის კრებული მომხვდა ხელში. მაშინ დაწერე ძალიან მშვიდი სიმღერა...

მიყვარს ცხოველები... მყავდა კატა, რომელიც 15 წელიწადს ცხოვრობდა ჩვენთან. მერე წაეიდა.. დაიკარგა. დღემდე ვდარდობ.

მყავდა ბიკოლინო — იაპონკას რომ ეძახიან. სმენა ჰქონდა. ვეტყვოდი მოდი, ვიმღეროთ-მეთქი და სუფთად იღებდა ნოტს. ნამღერი ჰქონდა არხიპოვასთან, ლენა ობრაზცოვასთან, ზურიკო სოტკილავასთან, მეღვა ამირანაშვილთან...

მე მაინც ჩაკეტილი ცხოვრებით ვიცხოვრე... ბევრგან არ ვჩანდი, ბევრჯერ ვერიდებოდი გამოჩენას...

ალბათ უფრო თამამი და მომთხოვნი უნდა იყო... ჩემმა ცხოვრებამ ბევრი რამ განსაზღვრა.

სვერდლოვსკში დაიდგა ჩემი ოპერა „იმპრესარიო კანარის კუნძულებიდან“. ამით გახსნეს კამერული თეატრი. მიმიწვიეს, მაგრამ საშუალება არ მქონდა, ვერ წავედი... ატლანტის საპატიო მოქალაქე ვარ. დაწერილი მაქვს ორი ოპერა. არ ვიცი, სად დაიდგმება ან როდის. არ შემიძლია მივიდე, მოვითხოვო რამე...


კინოსტუდიაში გააფორმე მულტფილმები, ერთი მხატვრული ფილმი... დიდი თეატრის სცენაზე ვიმღერე „მთფარის მოტაცება“... მაქვს სიმღერები ბავშვებისთვის, უფროსებისთვის... ჩემი სიმღერების დისკები გამოდის. რომ დავითვალო, 14 დისკის მასალა მაქვს.

მიხარია, რომ „მზიურის“ შექმნას ირიბად მაინც ვუკავშირდები. მე მომივიდა იდეა, შეგვექმნა ანსამბლი, მოვიწვიე ჩემი მეგობრის — ლილი შავერზაშვილის მეუღლე კონსტანტინე იუჟკოვი... მათ შექმნეს რადიოსთან ბავშვთა ანსამბლი... მერე დაფინანსება შეუწყვიტეს, ვურჩიე, ამ იდეით წასულიყვნენ სადმე. ასე დაიბადა „მზიური“...

ჩემი მეგობრები ამბობენ, ვაიმე, ნაოჭი გამიჩნდაო. უნდა გაგიჩნდეს, აბა რა! ჭლარაც უნდა მომემატოს. დიდი ბებიაც მინდა გავხდე. ძალიან ბევრი რამ მაქვს კიდევ გასაკეთებელი. ამიტომ დროის გასვლაზე ვერ ვფიქრობ... ვცხოვრობ, როგორც შემიძლია.

ლელა ჯიყაშვილი

მიხარია, რომ „მზიურის“ შექმნას ირიბად მაინც ვუკავშირდები. მე მომივიდა იდეა, შეგვექმნა ანსამბლი, მოვიწვიე ჩემი მეგობრის — ლილი შავერზაშვილის მეუღლე კონსტანტინე იუჟკოვი... მათ შექმნეს რადიოსთან ბავშვთა ანსამბლი... მერე დაფინანსება შეუწყვიტეს, ვურჩიე, ამ იდეით წასულიყვნენ სადმე. ასე დაიბადა „მზიური“...



სზვადასზვა დროოს გამოცემული დისკები



„საქართველოს ისტორიას საბჭოთა სკოლაში კარგად არ გვასწავლიდნენ“

„საქართველოს ისტორია არა მხოლოდ ჩემი, არამედ ჩემი თაობის „აქილევსის ქუსლია“. საბჭოთა სკოლაში ამ საგანს მხოლოდ კვირაში ერთ დღეს უთმობდნენ. სამაგიეროდ, საფუძვლიანად გვასწავლიდნენ სსრ კავშირის ისტორიას“; — ამბობს რეჟისორი ლევან წულაძე. რაც თავი ახსოვს, წიგნებთან მეგობრობს. ერთხანს ფილოსოფიური ლიტერატურით დაინტერესდა, ახლა ნოველები იზიდავს.

— ბატონო ლევან, სსრ კავშირის ისტორიას კარგად სწავლობდით?

— საკმაოდ კარგად ვსწავლობდი, მინდოდა გავრკვეულიყავი, როგორ მოხდა და საერთოდ, რა იყო რევოლუცია? ვინ იყვნენ ბოლშევიკები? სამწუხაროა, რომ საქართველოს ისტორიას კარგად არ გვასწავლიდნენ.

— მომავალში ეს დანაკლისი როგორ აინახლავრეთ?

— პერიოდულად სხვადასხვა ლიტერატურას ვკითხულობდი. ჩემი აზრით, სისტემური ცოდნა ადამიანმა ბავშვობაში უნდა მიიღოს, იმ პერიოდში ნასწავლი არ ავიწყდება. მერე ყველაფერს იგებ, მეტს კითხულობ, მაგრამ აღვილად გავიწყდება.

— კითხვარზე გადავიდეთ. მწიგნობარი, ეს იყო თანამდებობა ძველ საქართველოში. ვის ექვემდებარებოდა იგი და რა შედიოდა მის მოვალეობაში?

— ჩემი აზრით, მწიგნობართუხუცესს და ექვემდებარებოდა. მოვალეობას ზუსტად ვერ განვსაზღვრავ.

— სხვადასხვა შინაარსის საბუთებს, ბრძანებებს, სიგელებს ადგენდა. ვინ იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-მდე?

— დავით V დეკდარიანი.

— „თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც აღვილად

დაამარცხებთ“... ერთიანი საქართველოს რომელმა მეფემ მიმართა ამ სიტყვებით ჯარს ბრძოლის წინ?

— დავით აღმაშენებელმა, დიდგორის ბრძოლის წინ იქნებოდა. ხომ არ ვცდები?

— არა. ვინ იყო ერთიანი საქართველოს პირველი მეფე?

— ბაგრატ III.

— რომელ წლებში მეფობდა?

— ზუსტად არ მახსოვს.

— 975-1014 წლებში. სად არის იგი დაკრძალული?

— აფხაზეთში, ბედის მონასტერში.

— 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე ქართველი ერის სატკივარი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი. ვინ აიმაღლა ხმარუსეთის წინააღმდეგ? მან გენუის კონფერენციას მემორანდუმით მიმართა და საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა მოითხოვა. მალევე დაპატიმრეს და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

— (ფიქრობს).

— მის მიერ ნათქვამ ცნობილ ფრაზას შეგახსენებთ „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული — ჩემს სამშობლოს, მძორი ჯალათებო თქვენ და რაც გინდათ ის უყავით“.

— კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

— სად არის ის დაკრძალული?

— სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ.

— სიონის საკათედრო ტაძარში. რომელმა ისტორიკოსმა აღწერა „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“?

— ვერ გიპასუხებთ.

— ჯუანშერმა. რა სახელწოდებითაა ცნობილი ინგლისელ ფეოდალთა შორის ატეხილი ბრძოლა (1469-1485)? ამ ბრძოლაში ლანკასტერთა დინასტიის გერბზე წითელი ვარდი იყო გამოსახული, ხოლო იორკელებსაზე — თეთრი.

— ვარდების ომი.

— რომელი ქართველი გმირის თავგანწირვამ იხსნა კოხტასთავის შეთქმულება?

— ცოტნე დადიანის.

— ერთ დროს იქ ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკი იყო, გაზის კამერებში სიცოცხლე ასეულობით ათასმა ტყვემ დაასრულა. ახლა მუზეუმი.

— პოლონეთში მდებარე „ოსვენციმის“ საკონცენტრაციო ბანაკი.

— რა აკავშირებდა ნიკიტა ხრუშჩოვს ვასილ მჭავანაძესთან?

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებთ.

— ნათესაურ კავშირზეა ლაპარაკი.

— მართლა? პირველად მესმის.

— ისინი ქვისღები იქნენ. თბილისში მდებარე ეს უძველესი ბაზილიკური ეკლესია ვახტანგ გორგასლის ვაჟის, დაჩის ბრძანებით აშენდა. რომელ ეკლესიაზეა ლაპარაკი?

— ანჩისხატის ტაძარზე.

— რომელი ქართველი მეფის მამას და შეიღს ერქვა ბაგრატი?

— (ფიქრობს) გიორგი I-ის.

— 1886 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა 20 წლის ახალგაზრდამ ხანჯლით მოკლა ამავე სემინარიის რექტორი პავლე ჩუღუცკი. მას ცოლისა და ცოლისდის თვალწინ გაუსწორდა. მანამდე გაუგონარი ამბავი მთელ იმპერიას ელვის სისწრაფით მოედო. ვინ იყო ის 20 წლის ბიჭი?

— ვერ გიპასუხებთ.

— იოსებ ლალიაშვილი. რომელი ქართველი მეფე იყო სტუმრად რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსთან?

— ფარსმან II.

— კალიგულა, ტიბერიუსი, კლავდიუსი, ნერონი დაალაგეთ ქრონოლოგიურად რომის იმპერატორები.

— პირველი ტიბერიუსი იქნება, შემდეგ (ფიქრობს) ნერონი.

— ცდებით, ტიბერიუსი (14-37), კალიგულა (37-41), კლავდიუსი (41-54) და ნერონი (54-68). რას გიწოდებდათ ძველი რომაელი თუ მას მართაონზე შეხვდებოდით?

— არ ვიცი, მართაონელს ხომ არა, თუ კონკურენტს?

— დიახ, კონკურენტს გიწოდებდათ. ვინწვისი, ვარძია, დავითგარეჯა, უფლისციხე — ამ ძეგლთაგან რომელი არ მიეკუთვნება კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულთა კომპლექსს?

— ვინწვისი.

— რომელია ინდოელების წმინდა მდინარე?

— განგი.

— რა ერქვა თამარ მეფის დედას?

— ბურდუხანი.

— დიახ. „თუ მიზნის მიღწევა გსურთ, ნუ ეცდებით იყოთ დელიკატური და გონიერი“. რომელი ცნობილი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწეა ამ გამონათქვამის ავტორი?

— უინსტონ ჩერჩილი ხომ არა?

— გამოიცანით. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისადმი პროტესტის ნიშნად, ოთხმა ახალგაზრდა ინტელიგენტმა გლოვის ნიშნად შავი ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა. ვინ იყვნენ ისინი?

— კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი.

— „კიდევაც დაიზრდებიან / ალგეთს ლეკვები მგლისანი, / ისე არ ამოწყდებიან, / ჯავრი შესჭამონ მტრისანი“. დაასახელეთ ამ ლექსია ავტორი.

— ვერ დამაბნევთ, ეს ლექსი ხალხურია.

ტეს, დედა გადაუსახლეს. 1943 წელს ისიც დააპატიმრეს შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით და 25 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მალე სასჯელი დახვრეტით შეუცვალეს. სამთვე-ნახევარი სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა. დაასახელეთ იგი.

— ჭაბუა ამირეჯობი.

— რომელ ქრისტიანულ ტაძარშია შემონახული შოთა რუსთაველის ფრესკა?

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— იმ დღეს, როცა მწერალთა სასახლიდან შალვა დადიანის ცხედარი გამოასვენეს, დაასვენეს პოეტის ცხედარი. რომლის?



— ცნობილია, რომ თავისუფლების ქანდაკება ფრანგი ხალხის საჩუქარია ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისადმი. იგი მოქანდაკე ფრედერიკ ბარტოლდიმ შექმნა. მუშაობის დროს, ვინ იყო მისი მოდელი?

— არ ვიცი.

— მოქანდაკის დედა. რომელი ღმერთის პატივსაცემად აიგო მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება როდოსის კოლოსი?

— ჰელიოსის.

— სად მდებარეობს კუნძული როდოსი?

— ეგეოსის ზღვაში.

— რომელია ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ქალაქი საქართველოში?

— ახალქალაქი.

— ამ ქართველ მწერალს მამა დაუხვრი-

— არ ვიცი.

— გალაკტიონის. რამდენ ხანს გაგრძელდა ტროას ომი?

— ათ წელიწადს.

— ამ ომში ვინ იყო ბერძენთა ლაშქრის მთავარსარდალი?

— აგამემნონი.

— იტალიის ერთ-ერთი ქალაქის საკათედრო ტაძარში ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდე ინახება. თანამედროვე ღვთისმეტყველები მას „მჭუთე სახარებას“ უწოდებენ. გადმოცემის თანახმად, სიწმინდე თავდაპირველად წმინდა პეტრე მოციქულთან ინახებოდა. შემდეგ კი გადაეცემოდა მოციქულებს. ქრისტიანობის დევნის დროს მას მალაქდინენ, რადგან იუდეველები და რომაელები

ქრისტიანული რელიკვიების განადგურებას ცდილობდნენ. დაასახელოთ, რომელ სიწმინდეზეა ლაპარაკი?

— ტურინის სუდარა, რომელშიც მაცხოვარი გარდაცვალების შემდეგ გაახვიეს.

— მეფეთა ერთ ჯგუფში შედიან: ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ერეკლე II. მეორე ჯგუფში — დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი, პეტრე I. რა ნიშნის მიხედვით არიან დაჯგუფებული ეს მეფეები?

— (ფიქრობს) ტანდაბალი და ტანმალალი მეფეები. ხომ არ ვცდები?

— ნამდვილად ასეა. რომელ მშობლიურ

— პეტრიწონის. ის გრიგოლ ბაკურიანის ძემ დაარსა.

— რატომ ატარებდა იულიუს კეისარი ყოველთვის დაფნის გვირგვინს?

— არ ვიცი. გამარჯვების ნიშნად?

— სიქაჩლის დასაფარავად.

— დღეს ბევრი საინტერესო რამ გავიგე.

— კაპადოკია მისი უძველესი სახელია. სწორედ აქედან წამოვიდა წმინდა ნინო საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად. სად მდებარეობს ეს ისტორიული ადგილი?

— როგორც ვიცი, თურქეთის ტერიტორიაზეა.

— დიახ. „ეს გაფრენილი ფაფარი თუ მშობ-



ენაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტი ადამიანი მსოფლიოში?

— ჩინურზე.

— ინგლისის მეფე რიჩარდ IV აქტიურად მონაწილეობდა ჯვაროსანთა III ლაშქრობაში. საფრანგეთის მეფე ფილიპე II-სთან ერთად დიდ წარმატებასაც მიაღწია. გასაოცარი სიმამაცისა და შუუპოვრობის გამო რა მეტსახელი უწოდეს მას?

— ლომეული.

— რომელი მხედართმთავარი აარსებდა დაპყრობილ ტერიტორიებზე თავის მოსახლელე ქალაქებს?

— ალექსანდრე მაკედონელი მახსენდება.

— რომელი ქართული მონასტერი მდებარეობს ბულგარეთის ტერიტორიაზე?

ლიური ნისლია? / ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?! / საით წავიდნენ ვაჟები, სად მიატოვეს რაშები, / რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები?!“ ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ლადო ასათიანი.

— ლექსი ვის ეძღვნება?

— ცხრა ძმა ხერხეულიძეს.

— დაასრულეთ ლარომფუკოს ცნობილი გამონათქვამი: „როდესაც მოისურვებ, ვინმეს დაეღაპარაკო შენი საქმეების თაობაზე, ჯერ იმას მიაქციე ყურადღება, როგორ აქვს მას თავად საკუთარი...“

— „...საქმე აწყობილი“.

თამარ კვინიკაძე

მეცნიერები და მოაზროვნენი

96 ბერძნებს უყვარდათ კითხვების დასმა და პასუხებზე კამათი. მართალია, მათ ღმერთებისა და მისნობის სწამდათ, მაგრამ აგრეთვე სურდათ სამყაროს შესწავლა პრაქტიკული გზით. ბერძნებმა ეგვიპტელებისა და ბაბილონელებისგან მათემატიკა და ასტრონომია შეისწავლეს, შემდეგ კი ეს ცოდნა გამოიყენეს, რათა კიდევ უფრო მეტი შეემეცნათ თავდაც.

► ძველმა ბერძნებმა მეცნიერმა და ასტრონომმა პიპარქემ (ძვ.წ. 170-126) 800-ზე მეტი ვარსკვლავი შეისწავლა და მათი სიკაშკაშის გაზომვის მეთოდიც შეიმუშავა.



დაუჯერებელია!

პითაგორას მიმდევრებს რეინკარნაციის (ამქვეყნად სხვა სხეულით მოვლინება) სჯეროდათ. ისინი ვგეტარიანელები იყვნენ, მაგრამ არ ჭამდნენ ზოგიერთ მარცვლეულსაც, მაგალითად, ცერცვს. მათი რწმენით, ცერცვში შეიძლებოდა ხელახლა მოვლენილი ადამიანის სული ყოფილიყო ჩასახლებული.



97 მათემატიკოსებისა და ასტრონომების მნიშვნელოვანი აღმოჩენები. არისტარქე იყო პირველი, რომელიც მიხვდა, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს; პიპარქემ შეადგინა ვარსკვლავების რუკა, ხოლო თალებმა აღმოაჩინა მათემატიკური კანონები წრეებსა და სამკუთხედებზე; პითაგორას „რიცხვთა მამას“ უწოდებდნენ. მისი მოძღვრება რიცხვზე დიდი აღმოჩენების საფუძველი გახდა მათემატიკაში, ასტრონომიაში, მუსიკის თეორიასა და მედიცინაში.


98 ძველი ბერძნების უმრავლესობას მიაჩნდა, რომ აუადმყოფობა ღმერთების სასჯელი იყო. ექიმები, რომლებიც ჰიპოკრატეს (ძვ.წ. 460-370) მიმდევრები იყვნენ, ცდილობდნენ ხალხისთვის ჯანსაღი საკვებით, სუფთა ჰაერით, ვარჯიშითა და მცენარეული წამლებით ემკურნალათ. ისინი გულდასმით აღწევდნენ პაციენტის აუადმყოფობის ნიშნებს და შემდეგ მკურნალობის შედეგებს იწერდნენ. ამ გზით ცდილობდნენ მეცნიერულად დაემტკიცებინათ, რომელი წამლითა და მეთოდით იყო ეფექტიანი ამა თუ იმ დაავადების მკურნალობა.

▼ ბერძენი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ასტრონომი არქიმედე უნიჭიერესი ინჟინერიც იყო. მან გამოიგონა წყალსაქაჩი მანქანა — ხრახნისებრი ტუმბო, რომლითაც შეიძლებოდა წყლის აღმაღლება და მიწდგრების მოსარწყავად გადაქაჩვა.

— სახელურს მოძრაობაში მოჰყავს ხის ხრახნი.

— ხრახნის ბრუნვისას სითხე განუწყვეტლად ნაკადად ამოდის.

— ხრახნის ბრუნვით წყალი მექანიზმში ადის.



► ქვაზე ამოკვეთილ ამ გამოსახულებაზე ნაჩვენებია ექიმი, რომელიც პაციენტის დაშავებულ მკლავს სინჯავს. ბერძენი ექიმები პირველი იყვნენ მსოფლიოში, რომლებიც მეცნიერულად მიუღწერდნენ მკურნალობას.




99 ინჟინრებმა ბევრი საოცარი და საჭირო მანქანა თუ მექანიზმი შექმნეს. ათენის კრებაში ორატორებს სიტყვით გამოსვლის ვადას წყლის საათით განუსაზღვრავდნენ; არსებობდა ისეთი მექანიზმიც, რომელიც ცხელი ჰაერის ჭავლით ტაძრის კარს აღებდა. არქიმედემ (ძვ.წ. 287-211) აღმოაჩინა კანონი ამომგდები ძალის შესახებ, რომლის მიხედვითაც სითხეებსა და აირებს სხეული ტიფტივებს და წონასწორობას ინარჩუნებს. მანვე შექმნა ე.წ. შხის იარაღი — მინის უზარმაზარი ლინზა, რომლითაც შესაძლებელი იყო მზის სხივების მიმართვა მტრის გემებისკენ, რათა მათ ცეცხლი მოსდებოდათ.

100 ბერძენი მოაზროვნეები ფილოსოფიის საკითხებზე მსჯელობდნენ. ისინი იკვლევდნენ სამყაროს და ახალ-ახალი გამოგონებებით აკვირვებდნენ იმდროინდელ მსოფლიოს. მათ სურდათ, უფრო მეტი გაეგოთ ადამიანსა და საზოგადოდ, საზოგადოებაზე. „როგორ ვაზროვნებთ?“, „როგორ ვხედავთ და შევიგრძნობთ?“, „რა არის სიკეთე?“, „როგორ ვიცხოვროთ სწორად?“ — ეს იყო ის კითხვები, რომლებზეც პასუხების მისაღებად არაერთი ნაშრომი შექმნეს ბერძენმა ფილოსოფოსებმა.

იმპერიის ცენტრი

101

ცენტრალური იტალიის ქალაქი რომი უძლიერესი იმპერიის ცენტრი იყო. მის შემადგენლობაში შედიოდა უამრავი ქვეყანა, რომელთაც ერთი მმართველი მართავდა. ჯერ კიდევ ძვ.წ. 1000 წელს რომი ერთი პატარა, ქოხმახეხიანი სოფელი გახლდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში გაიზარდა, გამდიდრდა და ძლევამოსილი გახდა. ეს იყო საქმიანი, ხმაურიანი, მკვიდროდ დასახლებული ქალაქი, ულამაზესი მონუმენტური შენობებით. ძვ.წ. 200 წლისთვის რომაელები მხოლოდ იტალიაში ბატონობდნენ, მაგრამ გაძლიერების კვალდაკვალ მეზობელი ქვეყნების დაპყრობა დაიწყო. ასე შეიქმნა უზარმაზარი იმპერია, გადაჭიმული თანამედროვე შოტლანდიიდან თურქეთამდე.






დედაქალაქი

102

რომში მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობდა. ახ.წ. 300 წლისთვის ის მსოფლიოს უდიდესი ქალაქი იყო. აქ ცხოვრობდნენ მოქალაქეები, რომელთაც შეეძლოთ ჯარში სამსახური და ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, მაგრამ ამავე დროს იყვნენ უუფლებონიც. მთავრობას სათავეში ედგნენ დიდგვაროვნები და მხედართმთავრები, რომლებიც ძალიან მდიდარი იყვნენ. დაბალი ფენა ღარიბულად ცხოვრობდა, თუმცა რომის მოქალაქეებად ითვლებოდა. სამაგიეროდ, უუფლებო იყვნენ მონები. ისინი სიცოცხლის ბოლომდე პატრონის საკუთრებად რჩებოდნენ.



103 ფორუმი ხალხის თავშეყრის ადგილი იყო რომის ცენტრში. აქ სვდებოდნენ მეგობრებს, საქმიან პარტნიორებს, საუბრობდნენ პოლიტიკაზე და უსმენდნენ ცნობილ ორატორებს. ფორუმის გარშემო იყო თავმოყრილი სამთავრობო შენობები და სასამართლოები.



105 რომაელები დიდებული ჰიდრომშენებლები იყვნენ. მათ ააგეს აკვედუკები, გაიყვანეს არხები, რომელთა მეშვეობითაც ქალაქს წყალი მიეწოდებოდა. მდიდარ რომაელებს სახლებში წყალსადენი მილები ჰქონდათ გაყვანილი. უბრალო ხალხი წყალს საზოგადოებრივი წყაროებიდან ეზიდებოდა.



106 რომს გამართული წყალსადინარი სისტემაჲ ჰქონდა. ქალაქის მჭიდროდ დასახლებული და მცხოვრებლები დაბინძურებული წყლით რომ არ დააუადებულებოდა, კარგ წყალსადენს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. კლოაკა მაქსიმა (დიდი ჩასადინარი მილი), რომის საკანალიზაციო სისტემის შემადგენელი ნაწილი, იშველა იყო, რომ შიგ ეტლს შეეძლო გავლა.

104 რომი კარგად დაცული ქალაქი იყო. მას გარს ერტყა 50 კმ-იანი ქვის გალავანი, რომელიც რომს მტრის თავდასხმისგან იცავდა. ვისაც ქალაქში შესვლა სურდა, ჯარისკაცებით დაცული ერთ-ერთი კარიბჭე უნდა გაეკვლო. ასეთი კარიბჭე სულ 37 იყო.



დაუჯერებელია!
რომაელმა ინჟინრებმა საზოგადოებრივი ტუალეტებიც შექმნეს, საკმაოდ მოხერხებულიც, მაგრამ მათი ნაკლი ის იყო, რომ კაბინები არ ჰქონდა.

ქალაქური სსოვრება

107

რომაელებმა ააგეს მსოფლიოში პირველი მრავალსართულიანი სახლები. რომთან ახლოს იყო ოსტია, საქმიანი ნავსადგური, ოსტიელთა უმრავლესობის ყოველდღიური საქმიანობა უკავშირდებოდა ვაჭრობას, გემთსაშენებს თუ ფულის გადაცვლას. ისინი 3-4-სართულიან აგურის სახლებში (ინსულებში) ცხოვრობდნენ. პირველ სართულზე სააჯრო დუქნები იყო, მეორეზე, მაღალჭერიან, ფართო ოთახებში, შეძლებული ხალხი ცხოვრობდა, მესამე და ზედა სართულებზე — ღარიბები.



108

მდიდარ რომაელებს რამდენიმე სახლი ჰქონდათ. ზაფხულობით რომში ძალიან ცხელოდა და შეძლებული რომაელები ცდილობდნენ, გარიდებოდნენ ქალაქს. მათ ქალაქგარეთ ან რომიდან შორს, სოფლებში, ვილები ჰქონდათ, ბაღ-ვენახითა და აგრარული მეურნეობით.

109


რომაელთა ბევრ სახლს აუზიც ამშვენებდა, მაგრამ მათ საბანაოდ არ იყენებდნენ. აუზებს უფრო დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. აუზის გარშემო მცენარეები და ქანდაკებები იყო. ზოგიერთს შადრევნები ამშვენებდა, ზოგის ფსკერი კი მოზაიკით — პაწაწინა ფერადი ქვებითა და შუშის ნამსხვრევებით იყო მოპირკეთებული.



ბააკეთი ქალაქის მოზაიკა



110 მდიდარ ოჯახებს სახლებში იატაკის ქვემოთ გათბობის სისტემა ჰქონდათ გაყვანილი. ჰაერის ცხელი ნაკადი, რომელიც შეშით გახურებული ქურიდან გამოდიოდა, იატაკქვეშა არხების მეშვეობით ოთახებს ათბობდა. ქურა მუდმივად ცხელი რომ ყოფილიყო, მონები შეშას ჩეხდნენ და ძლიერ ცეცხლს აჩაღებდნენ.



კედელში დატოვებული ღარებიდან ცხელი ჰაერი ოთახებში აღწევდა.

იატაკქვეშა არხი, რომელშიც ჰაერის ცხელი ნაკადი მიედინებოდა.

სახლის გასათბობად დანთებული ცეცხლი.

დაგვირდება:
დიდი ფურცელი, მაკრატელი, ფანქარი, წებო, ფერადი და მკვრივი ქალაქის ნაკუწები.
დიდ ფურცელზე გააკეთე ნახატიც ესკიზი. წინასწარ მოიფიქრე, რომელ ფერებს გამოიყენებ მოზაიკის შესაქმნელად.
ქალაქის ნაკუწები ერთი და იმავე ზომის კვადრატებად დაჭერი. საქმე რომ გაიადვილო, ქალაქი ჯერ ზოლებად დაჭერი, მერე კი კვადრატებად.
დააწებე კვადრატები დიდ ფურცელზე ისე, რომ ესკიზის კონტურებს მიჰყვე.



111 რომს თავისი მეხანძრეთა ბრიგადა ჰყავდა. მეხანძრეებად 7000 აზატს — გათავისუფლებულ მონას ამუშავებდნენ. უბრალო ხალხს სახლებში ცენტრალური გათბობა არ ჰქონდა, სახლებს თიხის დიდი ქურებით ათბობდნენ, რის გამოც ხშირი იყო ხანძარი.



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი

1 თამარ მეფის ეზოს მსომღვარი

2 „დაკედებული ბაღების“ მომწვობი

3 საზოგადოების განვითარების დონე

4 მალტის დედაქალაქი

5 მარადიული ქალაქი

6 ქართველთა წმინანი

7 რუსეთის ავტონომია

8 ბელგიური პისტოლეტი

9 ... ბასკევი

10 ქრისტეს ერთი მოციქული

11 ვეპატის მეფეთა ტიტული

12 წინთა წინთი

13 მემამულის მისაზე მცხოვრები გლეხი ბევლად

14 რუგანის შეუღლის სახელი

15 მდინარე რუსეთში

16 იგეგვა, რაც ბირმა

17 კუბის დედაქალაქი

18 რამე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი

19 რისამე დედაზრი

20 ფიურერი

21 ... ჟორდანია

22 ლაშქარი

23 მდინარე აფრიკაში

24 ებრაელთა რეპარაციის პროცესი

25 თურქეთის პრეზიდენტი

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანორდის პასუხები:
 1. ორტეკა; 2. ტარანი; 3. თემიდა; 4. გობი; 5. ოკრიბა; 6. ოხრანკა; 7. სორბონა; 8. ასტანა; 9. რაიხი; 10. ულიანოვი; 11. ანდალუსია; 12. ზრო; 13. ულუ; 14. კიი; 15. დრაქმა; 16. ნატო; 17. დარკი; 18. ტაო; 19. სანა; 20. მაია; 21. კარლოს; 22. შივა; 23. საარი; 24. შარტაყა; 25. ნიკიტინი. სურათზე: ოტო ბისმარკი.